# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 დეკემბერი ოთხშაბათი 2009

№ 302 (12981) ფასი 60 თეთრი




## მარტო ზენიტი? სხვებიც არიან...

### აწყობს ჭანტურიას რუსული პერსპექტივა?

>> გვერდი 2

კალათბურთი



## ჩიქვილაძის დებიუტი ალბასეტეში: 31 ქულა და გაძევება

## წილი ნაყარია, ფავორიტით ვიწყებთ

>> გვერდი 2

## ახალი მტკიცებულებები და ცოცხალი მოწმე

### ისევ გარიგებულ მატჩებზე...



>> გვერდი 10



## შეპირებული ბინები ჰაერში და ქაღალდზე

>> გვერდი 11



## შენგელიას ეფექტური დუბლი

გვერდი 12

## შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატსაც ვუმასპინძლოთ

>> გვერდი 13



## მინდორაშვილი გერმანიაში

>> გვერდი 11




## ყურადღება, არ გამოგრჩეთ!

შაბათის ლელო და მუნდიალის კალენდარი ჯერ კიდევ გაყიდვაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსპექტივა




ქვედა რიგში მარცხნიდან მესამე გიორგი ჭანტურია

# კახა ჭუმბურიძე: მარტო ზენიტი არა, სხვებიც არიან...

**გიორგი ჭანტურიამ** „ბარსელონასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და „ჟუვენილ B-ში" წარმატებითაც თამაშობს. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" 16 წლის თავდამსხმელი „ბარსელონამ" ერთწლიანი იჯარით აიყვანა. გიორგიმ უკვე ძირითად გუნდშიც ივარჯიშა, ამხანაგურ შეხვედრაში დიდი „ბარსას" მაისურაც მოირგო და ბოლივიის ჩემპიონ „ბოლივარს" გოლიც გაუტანა...

16 წლის ქართველმა ესპანური მედიის ყურადღება მიიპყრო: *„ჭანტურიამ „კამპ ნოუზე" ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა და „ჟუნიორ B-ს" მთავარმა მწვრთნელმა სერხი ბარხუანმა კლუბში დაუფიქრებლად ჩარიცხა. ის ქართული ფეხბურთის უპირველეს იმედად ითვლება, მშვენიერი ტექნიკა გააჩნია და პოზიციას კარგად გრძნობს. ქართველი „ბარსას" ახალი ბრილიანტია"*, - წერდა sport.es.

*„შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში ლიონელ მესიმ „ბარსელონა" დატოვოს, მასიმო მორატის ოცნება ახდეს და არგენტინელი „ინტერში" იხილოს. „ბარსამ" თადარიგი დაიჭირა და ლეოს შემცვლელი მოძებნა - გიორგი ჭანტურია, 16 წლის ქართველი, „ბარსელონას" ახალგაზრდული გუნდის ვარსკვლავი"*, - აღნიშნავს „პუნტოსპორტი".

...და იმ დროს, როცა ჭანტურიას მსოფლიო ფეხბურთის გრანდში მოხვედრის პერსპექტივა გადაეშალა, გადაცემა „საფეხბურთო ღამეში" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ასეთი რამ თქვა - როგორც ვიცი, ჭანტურიას რუსეთის უმდიდრესი კლუბი, სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" იწვევსო...

პირდაპირ ვიტყვით - ახალ თაობაში ყველაზე ნიჭიერი ქართველის რუსეთში გადაბარგების პერსპექტივა ძალზე უსიამოვნო სიახლეა - „ბარსელონას" იმედად მონათლული ჭანტურია საამისოდ ნამდვილად არ გვემეტება. რუსულ ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს, რუსული პრემიერლიგა მსოფლიოს უმდიდრეს ლიგათა სამეულშიც კი შევიდა, მაგრამ რუსეთის ეროვნული გუნდი და ამ ქვეყნის რომელიმე კლუბი მსოფლიოს სამ საუკეთესო ნაკრებსა და გუნდს შორის ნამდვილად ვერ ხვდება. ამიტომ, ეს ჭანტურიას დონედ არ მიგვაჩნია.

რეალურია თუ არა „ზენიტში" მისი გადასვლა, ამის თაობაზე „საბურთალოს" გენერალურ დირექტორ **კახა ჭუმბურიძეს** მივმართეთ.

**- სანკტპეტერბურგელები ჭანტურიათი როდის დაინტერესდნენ?**

- ამის თაობაზე „საბურთალოს" დამფუძნებელ გიორგი ნემსაძეს აცნობეს. დაინტერესება არის, მაგრამ „ზენიტს" „საბურთალოსთვის" ოფიციალურად არ მოუმართავს.

**- ცნობილია, რომ „ბრეშა" ჭანტურიაში მილიონ ევროზე მეტს გთავაზობდათ, მაგრამ ბარსელონური პერსპექტივის იმედად, გიორგი იტალიაში არ გაუშვით. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „ზენიტი" გაცილებით დიდ თანხას შემოგთავაზებთ?**

- გეტყვით პირდაპირ - ამ ეტაპზე „საბურთალოს" არ ულხინს და ჩვენთვის თითოეული თეთრიც მნიშვნელოვანია. ამის მიუხედავად, არ ვჩქარობთ. ფეხბურთელი ისეთ კლუბში უნდა მოეწყოს, რომელიც მისი დაოსტატებისა და კარიერისთვის უკეთესი იქნება. ეს



არის ჩვენი სკოლის პოლიტიკა. სხვათა შორის, ჭანტურიას მხოლოდ „ზენიტი" არ იწვევს, სხვა საინტერესო წინადადებებიც აქვს, მაგრამ ახლა დაკონკრეტებას მოვერიდები.

**- სამწუხაროდ, ფინანსური გასაჭირის გამო, ჩვენში ბევრს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია და არც გაემტყუნება...**

- როცა კლუბი ბრენდად ჩამოყალიბდება, მერე მასთან ყველა სიამოვნებით ითანამშრომლებს. ჩვენი მიზანი კი სწორედ „საბურთალოს" ბრენდად ჩამოყალიბებაა. თუ რომელიმე კლუბი მოგვმართავს, წინადადებას განვიხილავთ და გადავწყვეტთ. წინასწარ ლაპარაკი მიულებელია, მაგრამ პრინციპებს არ ვუღალატებთ. „ზენიტს" კი ჩვენთვის ოფიციალური წინადადებით არ მოუმართავს.

**- მართალია, თითქოს იანვრიდან ჭანტურიას „ბარსელონას" დუბლშემადგენლობაში გადაყვანას უპირებენ?**

- გიორგი სწრაფი ტემპით „იზრდება", 4 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა და ბუნებრივია, მის პროგრესს კლუბის ხელმძღვანელობაც ამჩნევს. ასე რომ, გიორგის დუბლებში გადაყვანა გამორიცხული ნამდვილად არ არის. იმედია, მერე ძირითად შემადგენლობასაც მიუახლოვდება.

**- სხვათა შორის, კატალონიელი გულშემატკივრები ჭანტურიას „ახალ მესის" უწოდებენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გიორგის მომავლით „ბარსელონას" მმართველებიც განსაკუთრებულად არიან დაინტერესებულნი...**

- „ბარსელონაში" არაევროკავშირელ 16 წლის ბიჭს არანაირად არ დატოვებდნენ, მასში განსაკუთრებულ ნიჭს რომ არ ხედავდნენ. თავად ის ფაქტიც მრავლისმეტყველია, რომ ბოლივიის ჩემპიონის წინააღმდეგ ათამაშეს და თან გოლიც გაიტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ გიორგი „ბარსელონას" გაფართოებულ შემადგენლობაშია.

**- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ექტორ კუპერიც აპირებდა ჭანტურიას ეროვნულ ნაკრებში მიწვევას...**

- ეს ინფორმაცია უკვე სცილდება ჩემი კომპეტენციის ფარგლებს.

**- ეს ინფორმაცია ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ დაგვიდასტურა. რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს 16 წლის ბიჭი, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ნაკრებში სათამაშოდ მზად იქნება?**

- ახლა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაიაა და მისი გადასაწყვეტია, იმსახურებს თუ არა 16 წლის ბიჭი თუნდაც გაფართოებულ სიაში მოხვედრას. ისე, გიორგი მტკიცე ხასიათის, მიზანმიმართული ადამიანია და მისი ფსიქოლოგიური მდგრადობა ჩემში ეჭვს არ იწვევს.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17. ელიტრაუნდის კალენდარი

# საქართველო ფავორიტით იწყებს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში ჩვენი მეტოქეების ვინაობა დეკემბრის დასაწყისში გაირკვა. სანამ ჩვენი ნაკრები ზუგდიდურ შეკრებაზე იმყოფება, ჩვენი ჯგუფის კალენდარიც დადგინდა.

**I ტური. 25 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო
ჰოლანდია-უკრაინა

**II ტური. 27 მარტი**
ჩეხეთი-უკრაინა
საქართველო-ჰოლანდია

**III ტური. 30 მარტი**
ჰოლანდია-ჩეხეთი
უკრაინა-საქართველო

სპეციალისტები ჩვენი ჯგუფის ფავორიტად ჩეხეთის ნაკრებს მიიჩნევენ. ჩეხთა უპირატესობაზე ის ფაქტორიც ასხამს წყალს, რომ ჯგუფის მასპინძლები თავად არიან. როგორც ხედავთ, **გიორგი დევდარიანის** გუნდი ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ბრძოლას სწორედ ჩეხეთის ნაკრებთან იწყებს და თუ ამ მატჩში დადებით შედეგს მიაღწია, მიზანს საგრძნობლად მიუახლოვდება. ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის რეგლამენტით, ფინალურ რაუნდში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებულები გავლენ და შესაბამისად, პირველ ტურში დამარცხება ფაქტობრივად, ბრძოლიდან გამოთიშვას ნიშნავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი



# ზურაბ იონანიძე მწვრთნელი ხდება

უბერებელმა ფორვარდმა **ზურაბ იონანიძემ** ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ეს ინფორმაცია იმერული კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემაც** დაგვიდასტურა. როგორც გავიგეთ, თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ იონანიძე ზესტაფონელთა კლუბის დუბლებში მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ იმუშავებს.

*„ზურაბი არა მარტო ჩვენს კლუბში, არამედ მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული და თვალსაჩინო ფიგურაა. მას ფეხბურთში დიდი გამოცდილება დაუგროვდა. მოთამაშის კარიერა კი დაასრულა, მაგრამ ფეხბურთში დარჩენა გადაწყვიტა. კერძოდ, სურს სამწვრთნელო კარიერა დაიწყოს. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, მან მწვრთნელობა სწორედ ჩვენს გუნდში დაიწყოს... დიახ, განიხილება ვარიანტი, რომ იონანიძემ „ზესტაფონის" მეორე გუნდში, მთავარ მწვრთნელ გურამ ასპინძელაშვილის თანაშემწედ იმუშაოს. ეს საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ იმედი გვაქვს, მალე დადებითად გადაწყდება"*, - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა იმერული კლუბის პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ.

2 დეკემბერს იონანიძე 38 წლის გახდა. ის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანია, ვინც პირველი ეროვნული ჩემპიონატიდან მოყოლებული დღემდე ასპარეზობს. „სამტრედია", ქუთაისის „ტორპედო", სოჭის „ჟემჩუჟინა", ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი", სარატოვის „სოკოლი", სიმფეროპოლის „ტავრია" - ეს იმ კლუბებია, სადაც იონანიძეს უთამაშია.

2005 წლიდან ის „ზესტაფონში" გამოდის. 1996-2006 წლებში იონანიძემ ეროვნულ გუნდში 4 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზურაბი ორჯერ (1998 და 1999 წლებში) ქუთაისის „ტორპედოდან" ერთად ქვეყნის ჩემპიონი გახდა. რამდენჯერმე იყო საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი. სამჯერ - 2000, 2003 და 2006 წლებში ეროვნული პირველობის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**დავით ცაბაძე**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ამბები

## იაშვილი ტურის სიმბოლურში

მეორე ბუნდესლიგის გასულ ტურში **ალექსანდრე იაშვილმა** „ფიურტის" კარში ორი გოლი გაიტანა. „კიკერმა" „კარლსრუეს" ქართველ კაპიტანს დუბლი დაუფასა და სეზონში პირველად, ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. იაშვილისთვის ეს მართლაც სეზონის საუკეთესო მატჩი იყო, მეორე ბუნდესლიგის პირველ წრეში მან სულ 5 გოლი გაიტანა. თვითონ „კარლსრუეს" კი საქმეები არცთუ სახარბიელოდ მისდის. იაშვილის გუნდმა პირველი წრე 24 ქულით მე-8 ადგილზე დაასრულა და მესამე ადგილს, რომელიც გადათამაშებაში მოხვედრის უფლებას იძლევა, 6 ქულით ჩამორჩება.

## ცხადაძის ოთხი მატჩი

**კახა ცხადაძეს** ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. აქედან ორ მატჩს სასჯელი პირობითად ეხება და ამიტომაც ბაქოს „ინტერის" ქართველი მთავარი მწვრთნელი თავის გუნდს სათადარიგოთა სკამიდან მხოლოდ ორ შეხვედრაში ვერ უხელმძღვანელებს. როგორც იცით, აზერბაიჯანის ჩემპიონატის რამდენიმედღისწინანდელი მატჩისას ცხადაძეს კონფლიქტი მოუვიდა თოვუზის „თურანის" თავკაც **ნიზამი სადიხოვთან**. მართალია, „ინტერის" მწვრთნელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ამისთვის ბოდიში მოიხადა, მაგრამ ამან ვერაფერი შეცვალა. ცნობისათვის, სადიხოვიც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

## პრეეტცს კობიაშვილის იმედი აქვს

**ლევან კობიაშვილის** „ჰერტაში" გადასვლის ამბავი უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმაც გაავრცელა. იქვე მოყვანილია ბერლინური კლუბის გენერალური მენეჯერის, ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელის **მიხაელ პრეეტცის** კომენტარიც.

*„მოხარული ვარ, ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი ჩვენს გუნდში რომ გააგრძელებს კარიერას. დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოსვლით „ჰერტა" უფრო სტაბილურად ათამაშდება"*, - აცხადებს პრეეტცი. როგორც იცით, „ჰერტამ" ბუნდესლიგის პირველი წრე უკანასკნელ საფეხურზე დაასრულა ექვსიოდე ქულით, კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ახალწვეულების, კობიაშვილისა და ბერძენი **თეოფანის გეკასის** დამატებით მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას გადაურჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

*ბენდელას თასი*

## გრაფიკი დადგინდა

გუშინ „ბენდელას თასის" წილისყრა გაიმართა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ტურნირში 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. „ბენდელა" იოსებიძის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში" გაიმართება. ტურნირი ხვალ, 24 დეკემბერს, 11:00-ზე გაიხსნება. პირველი ნახევარფინალები 27 დეკემბერს 12:00 და 13:30 საათებზე დაიწყება, ფინალი კი 28 დეკემბერს, 15:00 საათზე.

**მერაბ მამულაშვილი**




დაპირისპირება



ილია კოკაია



გრიგოლ ჭანტურია

# 7 ათასი კი არა, ერთი ლარიც არ გადაუხდიათ!

## ჭანტურია vs ზესტაფონი გრძელდება.

## ფეხბურთის ფედერაციამ მეკარე გადაწყვეტილების გადახედვით დააიმედა

2008 წლის ოქტომბერში დაწყებული კონფლიქტი გრძელდება - „მეკარე გია ჭანტურია საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" წინააღმდეგ". „ზესტაფონისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე, რომელიც ამჟამად რუსთავის „ოლიმპში" თამაშობს, ფედერაციის ძველ პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცს** ადანაშაულებს იმაში, „ზესტაფონსა" და ფეხბურთელს შორის დავას წერტილი დღემდე არ დაესვა.

ჭანტურია „ზესტაფონიდან" გააგდეს არა ვარჯიშის გაცდენის, რეჟიმის დარღვევის, ან კონტრაქტის რომელიმე სხვა მუხლის დარღვევის გამო, არამედ „ბორჯომთან" შარშანდელი მატჩის შემდგომ, როცა კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან** მოუვიდა შელაპარაკება. მას ვარჯიშებზე აღარ უშვებდნენ და თავიდან ურთიერთობის დაძაბვას თავადაც ერიდებოდა. მაგრამ გავიდა დრო, დადგა ნოემბერი და როცა საბანკო ანგარიშზე საკომპენსაციო თანხა არ დაერიცხა, დახმარებისთვის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა, სადაც ტრანსფერებისა და მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტმა საკითხი რამდენჯერმე განიხილა. **რევაზ შენგელიას** (თავმჯდომარე) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კომიტეტმა ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა - 2008 წლის დეკემბერში კლუბს 2 თვის ხელფასის გადახდა და მეკარის გუნდში დაბრუნება დააკისრა. ჭანტურიას ხელფასი 2 000 ლარი ჰქონდა და აქედან გამომდინარე, „ზესტაფონს" სულ რაღაც 4000 ლარი უნდა გადაეხადა.

კლუბმა კომისიის გადაწყვეტილება არ შეასრულა - აქაოდა, ჭანტურია ჩვენ არ გაგვიშვია, ვარჯიშებს თავად აცდენდა და დაგვიბრუნდესო. თუმცა ჭანტურია სხვას ამბობს: *„დაბრუნება საოცარი პირობით შემომთავაზეს - ცოტა ხნით დაგსჯით, ხელფასს ორჯერ შეგიმცირებთ და მერე დაგვიმტკიცე, ძირითადში თამაშს რომ იმსახურებო"*, - ასე უთქვამთ „ზესტაფონის" მესვეურებს.

ვეტერანმა ფეხბურთელმა დახმარებისთვის კვლავ ფედერაციას მიმართა. 2009 წლის 22 იანვარს ტრანსფერებისა და მოთამაშეთა სტატუსის კომისიამ „ზესტაფონი" კონტრაქტის უსაფუძვლოდ გაწყვეტაში დაადანაშაულა და სასჯელი გაუმკაცრა - ამჯერად, ჭანტურიასთან ხელშეკრულების ამოწურვამდე დარჩენილი 14,5 თვის ხელფასის გასტუმრება დაავალა. ეს ჯამში 29 ათას ლარს შეადგენდა. ჭანტურია საკონტრაქტო თანხის გადახდასაც ითხოვდა, მაგრამ როგორც ამბობს, თავად კონტრაქტი ფედერაციაში თანხის გარეშე იყო დარეგისტრირებული და ამაზე პრეტენზიას ველარ განაცხადებდა. არადა, ლაპარაკი იყო 10 ათას დოლარზე. „ზესტაფონმა" ფედერაციის გადაწყვეტილება არც ამჯერად შეასრულა. თუმცა ძალაში რჩებოდა კომისიის გადაწყვეტილება.

მოულოდნელად, ფედერაციის აღმასკომის ივნისის სხდომაზე ექსპრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** აღმასკომის წევრებს შესთავაზა - „ზესტაფონმა" ჭანტურიას მხოლოდ უგუნდოდ დარჩენის პერიოდში ასაღები თანხა გაუსტუმროსო - ანუ, 29 ათასი ლარის ნაცვლად, 7 ათასი. ახალკაცმა ეს წინადადება ამგვარად დაასაბუთა - ჭანტურია სამთვენახევარში (თებერვალში) „სიონში" ჩაირიცხა, შემოსავალი გაუჩნდა და „ზესტაფონმა" მეკარეს კომპენსაცია მხოლოდ უკლუბოდ დარჩენის პერიოდში აუნაზღაუროსო.

აღმასკომმა ეს წინადადება დაამტკიცა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ „ზესტაფონმა" ამ ორგანოსგან მხარდაჭერაზე ივნისის სხდომამდეც იზრუნა, მაგრამ პირველად უარი მიიღო - საკითხი ჩვენს კომპეტენციას სცილდებაო.

ჭანტურიას აღმასკომის გადაწყვეტილების გასაჩივრება სურდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფედერაციაში სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო არ მოქმედებდა. ქართული „სამართლით" იმედგაცრუებულმა მეკარემ ფიფას მიმართა, მაგრამ... იქიდან უფრო მეტი იმედგაცრუება ელოდა - გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ თქვენი ფედერაციის აღმასკომს შეუძლიაო, ასეთი პასუხი მიიღო.

ჭანტურიამ ხელი ჩაიქნია, მაგრამ მისდა გასახარად, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ძველი დავაც განახლდა. ექსზესტაფონელს სწორედ ამ თემაზე დაველაპარაკეთ...

**- როგორც გავიგეთ, „ზესტაფონთან" დავის განახლებას აპირებთ...**

- ვაპირებ და აუცილებლად განვაახლებ კიდეც. ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა და დიდი იმედი მაქვს, დავას სამართლიანად გადაწყვეტენ. საერთოდაც, ფეხბურთელის დაჩაგვრა არავის აღარ უნდა შერჩეს. დროა შუა საუკუნეების დროინდელი მიდგომები შევცვალოთ.

**- „ზესტაფონმა" 7 ათასი ლარი მაინც გადაგიხადათ?**

- 7 ათასი კი არა, ერთი ლარიც არ გადაუხდია! ეს სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ კოკაიას არ აინტერესებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფედერაცია. თუმცა ახლა დრო შეიცვალა, ფედერაციაში მისი მეგობარი ახალკაცი აღარ არის და მალე ვნახავთ, როგორ არ შეასრულებს გადაწყეტილებებს.

**- ახლა 7 ათასის გადახდას ითხოვთ, თუ მთლიანი კომპენსაციის?**

- რა თქმა უნდა, სრული კომპენსაციის გადახდას ვითხოვ, რაც 29 ათას ლარს შეადგენს. ეს ჩემი მოგონილი არ არის, ფეხბურთის ფედერაციის კომისიამ ასე დაადგინა. მერე ახალკაცმა იაქტიურა და ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, კომპენსაცია 7 ათასამდე შემიმცირეს.

**- ფედერაციაში სარჩელის ხელახლა შეტანა თუ სცადეთ?**

- ზვიად სიჭინავას შევხვდი. აღმოჩნდა, რომ ის ამ საქმეში საკმაოდ კარგად ყოფილა გარკვეული. ფედერაციის პრეზიდენტი უკვე ელაპარაკა „ზესტაფონის" პრეზიდენტს. ძალიან საინტერესო რამ უთქვამს ილია კოკაიას - არ ვიცოდი, ჭანტურიასათვის თანხა თუ უნდა გადამეხადაო! გესმით? სიჭინავამ ყველაფერი მოთამაშეთა ტრანსფერებისა და სტატუსის კომიტეტის ხელმძღვანელ რეზო შენგელიასთან გაარკვია. შენგელიამ პრეზიდენტს უთხრა, რომ მე კლუბს დავა მოვუგე. სიჭინავა დამპირდა - გავარკვევთ, იურიდიულად საკითხის განხილვა შესაძლებელი თუ არა და ამის მიხედვით ვიმოქმედებთო. თუ განხილვა იურიდიულად შესაძლებელი იქნა, მაშინ განიხილავენ.

**- ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ხომ არ გაგაჩნიათ...**

- ფედერაციის აღმასკომსაც არ ჰქონდა მოთამაშეთა ტრანსფერებისა და სტატუსის კომიტეტის გადაწყვეტილების გადახედვის უფლება. ანუ, დებულება დაირღვა და ხელახალი სარჩელის შეტანა სწორედ ამიტომ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს, ყველამ იცის, საკითხი როგორც გადაწყდა, მე კი თავს ნამდვილად არავის დავაჩაგვრინებ.

**- ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლა უთუოდ გაგახარებდათ...**

- (იცინის) როგორც იტყვიან, „ტუზი დამეცა", თორემ ძველ ფედერაციაში სამართლიანი გადაწყვეტილების ყველა იმედი გადამიწურეს. ცამდე მართალი ვიყავი და ვფიქრობდი, ხალხის დასანახად მაინც გამოიტანენ სამართლიან ვერდიქტს-მეთქი, მაგრამ... სულ ტყუილად მქონია იმედი. მაშინ „ზესტაფონის" მწვრთნელი თემურ მახარაძე იყო და მან ყველაფერი დეტალურად იცის. იცის, რაც მოხდა. მან თავის დროზე სიმართლე არ დამალა და ახლა დამალავს? ეს ხომ გამორიცხულია! როგორც ვიცი, აღმასკომის უახლოესი სხდომა 25 დეკემბერს გაიმართება და იმედია, ჩემი საკითხსაც განიხილავენ.

**მერაბ მამულაშვილი**

წიგნის თარო

## მარადონა ქართულად თარგმნეს

კი ბატონო, ნარკომანია, ახალგაზრდობისა და მომავალი თაობისთვის მისაბაძი მაგალითი არ გახლავთ, იმპულსურობის გამო ბევრი შეცდომაც დაუშვია, მაგრამ... ის იყო დიეგო **არმანდო მარადონა** - ფეხბურთელი, რომელიც მოწინააღმდეგესაც აღაფრთოვანებდა. დიდი დიეგო, XX საუკუნის მოვლენა მსოფლიო ფეხბურთში!

ადამიანური ნაკლის გამო, გულშემატკივრების ნაწილი მის ვარსკვლავობაზე თვალს ხუჭავს. ამ კატეგორიას 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე „ღმერთის ხელით" გატანილი გოლის აჟიტირება და იმავე მატჩში ფანტასტიკური დრიბლინგის წყალობით შექმნილი შედევრის მივიწყება ახასიათებს. ალბათ, ეს ცხოვრებისეულ ფილოსოფიებში განსხვავების ბრალია. ზოგისთვის ჭიქა ნახევრად ცარიელია, ზოგისთვის - ნახევრად სავსე. გააჩნია, როგორ აღიქვამ ცხოვრებას, ადამიანში დადებითს ამჩნევ თუ მხოლოდ ნაკლის აღმოჩენა გახარებს.

...და თუ პლუსებს გავიხსენებთ, არ დაგვავიწყდეს, რომ მარადონა მოედანზე სასწაულებს სჩადიოდა და ქომაგთა უზარმაზარ არმიას აღაფრთოვანებდა; რომ ყოველთვის ერთგულებდა საკუთარ პრინციპებს; რომ საჯაროდ აღიარებდა და ინანიებდა ნარკომანობას და დაბეჯითებით მოუწოდებდა ახალგაზრდებს, ამ მხრივ მისთვის არ მიებაძათ.

თავის წიგნში („მე დიეგო ვარ") ისეთ ფრაზებს ამოიკითხავთ, შეუძლებელია, გულში არ ჩაგწვდეთ. აი, მაგალითად: *„მე ყოველთვის ვიყავი საკუთარი თავისა და თავისუფლების ერთგული და არასდროს გავყიდულვარ. ეს იმიტომ, რომ მე დიეგო მარადონა ვარ"*.

მარადონამ, რომელიც ინტერვიუებში ფულს ითხოვდა, თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე მწერალ **დათო ტურაშვილს** წიგნის უსასყიდლოდ თარგმნის უფლება მისცა. გუშინ „თიბისი ბანკში" სწორედ ამ წიგნის თარგმანის პრეზენტაცია მოეწყო და ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი გაიგებს, ვინ იყო XX საუკუნის მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი ფიგურა.

ეს არის წიგნი არა მხოლოდ ფეხბურთზე, არამედ, პიროვნების ცხოვრებაზე და საერთოდ, გასული საუკუნის მსოფლიოზე - ისეთზე, როგორიც ის იყო. დიეგო ამ ყველაფერზე გულიანად, გასაგებად ჰყვება (ბუნებრივია, ამაში მთარგმნელის დიდი წვლილიცაა) და არა - ჰალსტუხიანი ფარისევლის ენით.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტზალი

## ბაქოში ბოლოზე გავედით

აზერბაიჯანის დედაქალაქში საერთაშორისო ოთხთა ტურნირი დასრულდა. შეგახსენებთ, პირველ ტურში საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები აზერბაიჯანელებთან 0:7 განადგურდა, მეორეში კი თურქეთთან ასევე დიდი სხვაობით, 2:6 დამარცხდა. ბოლო ტურში ჩვენს ნაკრებს მესამე ადგილზე გასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ თავის აქტივს ვერც ამჯერად შემატა რამე და დაძაბულ ბრძოლაში ტურნირის კიდევ ერთ აუტსაიდერთან, მახაჩყალის „კასპისთან" 4:5 დამარცხდა. არადა, თავიდან ქართველები 2:0 იყვნენ დაწინაურებულები.

ტურნირი მასპინძლებმა მოიგეს, მეორე ადგილზე კი თურქები გავიდნენ. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** აზერბაიჯანის ნაკრებს ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატზე წარმატება უწინასწარმეტყველა. *„ამ გუნდთან ადრეც გვითამაშია და მისი პროგრესი აშკარაა. აზერბაიჯანის ნაკრები დღეს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და დარწმუნებული ვარ, კონტინენტის პირველობაზე დიდ შედეგს მიაღწევს"*, - უთხრა ასათიანმა აზერბაიჯანულ პრესას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# პროგრესის გუნდი

## სპარტაკი

| სულ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 18 | 6 | 5 | 7 | 25-30 | 23 |
| **შინ** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 4 | 3 | 2 | 15-10 | 15 |
| **სტუმრად** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 2 | 2 | 5 | 10-20 | 8 |

სპარტაკის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | სიონი-სპარტაკი | 1:4 |
| II ტური | სპარტაკი-სიონი | 1:0 |
| III ტური | დინამო-სპარტაკი | 5:0 |
| IV ტური | სპარტაკი-ლოკომოტივი | 2:0 |
| V ტური | ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:0 |
| VI ტური | სპარტაკი-სამტრედია | 2:0 |
| VII ტური | ზესტაფონი-სპარტაკი | 4:1 |
| VIII ტური | სპარტაკი-გაგრა | 3:1 |
| IX ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 1:1 |
| X ტური | სპარტაკი-სიონი | 1:1 |
| XI ტური | ბაია-სპარტაკი | 4:1 |
| XII ტური | სპარტაკი-დინამო | 1:1 |
| XIII ტური | ლოკომოტივი-სპარტაკი | 0:0 |
| XIV ტური | სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XV ტური | სამტრედია-სპარტაკი | 2:1 |
| XVI ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 3:3 |
| XVII ტური | გაგრა-სპარტაკი | 1:2 |
| XVIII ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 1:2 |

მეკარეები: ზურაბ ბათიაშვილი - 9, ბექა შეყრილაძე - 8, ამირან გვენცაძე -2;

მცველები: ბოიომო ფრიდოლინი - 15 (2), გიორგი კვახაძე - 15 (1), პაატა დათუნაიშვილი - 15 (3), აქვსენტი გილაური - 10, დავით ბაქრაძე - 8, ლაშა დეკანოსიძე - 8, გივი დიდავა - 7, შოთა ჯიშკარიანი - 1.

ნახევარმცველები: თეიმურაზ შონია - 17, ნიკოლოზ მაისურაძე - 17 (3), კობა შალამბერიძე - 15 (2), გიორგი ჩივაძე - 14 (1), ირაკლი ჩირიკაშვილი - 14 (1), გიორგი კბილცეცხლაშვილი - 9 (2), ლაშა ჩალაძე - 8 (1), დავით ოდიკაძე - 5 (1), გიორგი მანწკავა - 4 (1), ივანე კანდელაკი - 4, მელოდეკი ზონი - 2, გიორგი სეფიაშვილი - 1;

თავდამსხმელები: რევაზ გოცირიძე - 15 (4), ბაჩანა ცხადაძე - 15 (3), ტიერი ანს კლოვისი - 11, გიორგი იაშვილი - 1.

გოლები: რევაზ გოცირიძე - 4, ბაჩანა ცხადაძე - 3, ნიკოლოზ მაისურაძე - 3, პაატა დათუნაიშვილი - 3, კობა შალამბერიძე - 2, გიორგი კბილცეცხლაშვილი - 2, ბოიომო ფრიდოლინი - 2, გიორგი კვახაძე - 1, ირაკლი ჩირიკაშვილი - 1, გიორგი ჩივაძე - 1, გიორგი მანწკავა - 1, ლაშა ჩალაძე - 1, დავით ოდიკაძე - 1.

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

**...საბჭოთა** კავშირის ჩემპიონატები რომ ტარდებოდა, ცალკეული ფეხბურთელებისა თუ გუნდებისათვის არაერთი გარდამავალი პრიზებიც იყო დაწესებული; ერთ-ერთი ასეთ პრიზს „პროგრესის თასი" ერქვა და იმ გუნდს გადაეცემოდა, წინა სეზონთან შედარებით მაქსიმალურად მაღალ ადგილს რომ დაიკავებდა. ჩვენთანაც რომ იგივე პრიზი არსებობდეს, ამ ეტაპისათვის ცხინვალის „სპარტაკი" , მართლაც, უკონკურენტო იქნებოდა! თავად განსაჯეთ: მთელი წინა სეზონი გუნდი მკვეთრად გამოხატული აუტსაიდერი იყო, ამჟამად კი პირველი ხუთეულის „სრულფასოვანი" წარმომადგენელია! ეგ კი არა, წინა სეზონის შედეგების მიხედვით, „სპარტაკი" სულაც... პირველ ლიგაში დაქვეითდა, მაგრამ იმავე „მესხეთისაგან" განსხვავებით, არც ლიცენზირებასთან ჰქონია პრობლემა და არც ფინანსური გარანტიების წარდგენასთან.

მოკლედ, „სპარტაკი" კვლავაც უძლიერესთა შორის დარჩა და კლუბის ხელმძღვანელებმაც მაჩანჩალას ნაცვლად, ამბიციური გუნდის შექმნა გადაწყვიტეს. ხელმძღვანელებში კი **დიმიტრი სანაკოევს** ვგულისხმობთ - სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსს, „სპარტაკის" საშინაო თუ საგარეო მატჩებს კი არა, ამ გუნდის ვარჯიშებსაც რომ არ აცდენს. ჰოდა, ფეხბურთის ამ დიდმა ტრფიალმა კაცმა, პირველ ყოვლისა, ბრძნული საკადრო გადაწყვეტილება მიიღო: კლუბის ვიცე-პრეზიდენტად **მურთაზ შელია** დანიშნა, ახლო წარსულში საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ საუკეთესო და შეუცვლელი ფეხბურთელი. სიახლე იყო სამწვრთნელო შტაბში - „სპარტაკის" გაძღოლა გამოცდილ სპეციალისტს **ვლადიმერ ხაჩიძეს** დაევალა, რომლის ასისტენტებად ასევე ახლო წარსულის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები **გელა ინალიშვილი** და **დავით გვარამაძე** დაინიშნენ. კლუბის ხელმძღვანელობაში ასეთი სოლიდური ცვლილებები იმის წინა პირობა უნდა ყოფილიყო, რომ ძირფესვიანად შეიცვლებოდა გუნდის შემადგენლობაც. ასეც მოხდა: სეზონის დაწყებამდე ძალიან მცირე დრო რჩებოდა, მაგრამ „სპარტაკმა" მაინც შეძლო მეტ-ნაკლებად აქტიური სატრანსფერო კამპანიის ჩატარება. აღსანიშნავია, რომ წინა სეზონის შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ სამი ფეხბურთელილა დარჩა: **გიორგი კვახაძე, თეიმურაზ შონია** და **ნიკოლოზ მაისურაძე**, დანარჩენები კი ყველა ახალწვეული იყო; ეგ კი არა, გუნდის დაკომპლექტება უშუალოდ პირველი ეტაპის მსვლელობის დროსაც გრძელდებოდა, როდესაც „სპარტაკმა" სამი გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, ბოლო წლები უცხოეთში რომ ასპარეზობდნენ. თუმცა, დანაკლისიც იყო და ძალიან სერიოზულიც: „სპარტაკის" ყველაზე „ხმაურიანი" და ფასეული ახალწვეული **დავით ოდიკაძე** თავის ახალ გუნდს მხოლოდ საწყის ტურებში დაეხმარა (ამის შემდეგ კი, როგორც იცით, კარიერა აზერბაიჯანში გააგრძელა).

..."სპარტაკის" სადებიუტო შეხვედრას, მართლაც, დიდი ინტერესით ველოდით; ბევრს, რა თქმა უნდა, ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ეს გუნდი „დიდი ოთხეულის" („ვიტ ჯორჯია", „დინამო", „ოლიმპი", „ზესტაფონი") შევიწროებას შეძლებდა; თუმცა, ის კი ცხადი იყო, რომ წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით, ახალ სეზონში „სპარტაკი" აშკარად განსხვავებული მიზნების მქონე გუნდი იქნებოდა. მით უფრო, რომ უამრავი მიწვევის მიუხედავად, კლუბში (დირექტორატის წევრის თანამდებობაზე) დარჩა ქართული ფეხბურთის ამაგდარი და დამსახურებული მუშაკი **ჯემალ ქიპაშვილი;** სხვათა შორის, ფეხბურთში ათასი რამის მნახველი და „ქიპმოჭრილი" კაცი სეზონის დაწყების წინ თავის მრავალრიცხოვან ინტერვიუებში ერთობ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდა: „სპარტაკის" მიზანი ევროტურნირების საგზურის მოპოვება იქნებაო!..

### პრიორიტეტის არჩევა

„სპარტაკმა" სეზონი მართლაც, ჩინებულად დაიწყო - პირველ ორ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა; განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდა სტუმრად ბოლნისში გამარჯვება, როცა ვლადიმერ ხაჩიძის ახალდაკომპლექტებულმა გუნდმა ლამაზ სტილში შეძლო „სიონის" დამარცხება (4:1). პირველი, რაც მაშინ თვალში „მოგვხვდა", „სპარტაკის" ფეხბურთელთა სწრაფი და „ერთი შეხებით" თამაში იყო. ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ხაჩიძის მიერ არჩეულმა ტაქტიკურმა განლაგებამ (4-2-3-1) აშკარად გაამრავალფეროვნა „სპარტაკის" თამაში. სამწუხაროდ, იმ ორ სასტარტო გამარჯვებას მალე „ცივი შხაპი" მოჰყვა: მესამე ტურის შეხვედრაში, „სპარტაკმა" სასტიკი მარცხი იწვნია „დინამოსგან" - 0:5! აი ამის შემდეგ კი „სპარტაკი", ერთი შეხედვით, პრაგმატულად ასპარეზობდა: საშინაო შეხვედრებში ქულას არ ჰკარგავდა შედარებით სუსტ გუნდებთან („ლოკომოტივი", „სამტრედია", „გაგრა"), სამაგიეროდ, ჩემპიონატის ფავორიტებთან („ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი") თითქმის უშანსოდ მარცხდებოდა. ასე გრძელდებოდა მეცხრე ტურამდე, როცა „სპარტაკს" წამებილა აშორებდა ჩემპიონატის, ალბათ, ყველაზე ხმაურიან სენსაციამდე: გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან „ოლიმპთან" შეხვედრაში ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი **კობა შალამბერიძის** მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვებდა (ამას გარდა, გიორგი ჩივაძემ პენალტიც ვერ გამოიყენა), მაგრამ **ანდერსონ აკინოს** შორეული და უცნაური ტრაექტორიით დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ბადეში გაეხვია! რა თქმა უნდა, ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტთან ნათამაშები ფრე „სპარტაკისთვის" წარმატებული შედეგად შეფასდა, მაგრამ, აი, ამის მერე გუნდს აშკარა კრიზისი დაეწყო - გუნდი ზედიზედ შვიდი მატჩის განმავლობაში ვერ ახერხებდა გამარჯვებას! თუმცა, ამას სხვადასხვა მიზეზიც ჰქონდა: პირველი და უმთავრესი, ალბათ, ის იყო, რომ „სპარტაკმა" ძირითადი აქცენტი თასის გათამაშებაზე აიღო და ამ მხრივ გუნდისა თუ კლუბის ხელმძღვანელთა „გათვლა" აბსოლუტურად სწორი გამოდგა. შეგახსენებთ, რომ „სპარტაკმა" თასის ნახევარფინალის საგზური მოიპოვა და აქედან გამომდინარე, სანუკვარ ფინალამდეც მხოლოდ ერთი ნაბიჯი დარჩება. მეორე მიზეზი კი საკადრო პრობლემები იყო: დავით ოდიკაძის წასვლამ გუნდის თამაშზე უარყოფითად იმოქმედა; ამას თან დაერთო წამყვანი ნახევარმცველების - **ირაკლი ჩირიკაშვილისა** და **გიორგი ჩივაძის** ტრავმები; არადა, ჩივაძე იმ დროისათვის, მართლაც, ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა და არც ის ფაქტი იყო შემთხვევითი, გუნდის კაპიტნად რომ აირჩიეს. იმ შვიდმატჩიანი მოუგებელი სერიის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ უკვე სეზონის მსვლელობაშივე გუნდში ჩარიცხულ გამოცდილ ახალწვეულებს გარკვეული დროც სჭირდებოდათ ახალ პარტნიორებთან შესათამაშებლად.

და მაინც, საერთო ჯამში, პირველ ეტაპზე „სპარტაკის" ასპარეზობა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წინა სეზონის აუტსაიდერი ამჯერად პირველი ხუთეულის გუნდად „ჩამოყალიბდა" და, რაც მთავარია, თასზეც წარმატებით აგრძელებს ბრძოლას.

### მეკარეები

ჩემპიონატში, საკუთარ კარში გაშვებული ყველაზე მეტი გოლი „სამტრედიას", „გაგრას" და „სპარტაკს" ჰქონდა; ანუ, ნამდვილად შეგვიძლია იმის თქმა, რომ „სპარტაკის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მეკარის საკითხი იყო. ალბათ, ამიტომაც ხდებოდა, როცა პირველი ეტაპის განმავლობაში ვლადიმერ ხაჩიძემ სამი მეკარე გამოსცადა: თავდაპირველად კარს გამოცდილი **ზურაბ ბათიაშვილი** იცავდა, შემდეგ მწვრთნელები **ბექა შეყრილაძეს** ენდობდნენ, ბოლო მატჩებში კი - გამოუცდელ **ამირან გვენცაძეს.** აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბათიაშვილი გარკვეული პერიოდი ტრავმებმაც შეაწუხა, თუმცა, ეს გამოცდილი მეკარე, ალბათ, მეორე ეტაპზე შეეცდება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენას. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ დღედღეზე გაირკვევა პოტენციური ახალწვეულის ვინაობა - ანუ, იმ მეკარეს ვგულისხმობთ, ძირითადში მოსახვედრად ბათიაშვილთან რომ მოუწევს კონკურენცია.

### მცველები

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, „სპარტაკის" თითქმის ყველა ასაკოვანი და გამოცდილი ფეხბურთელი სწორედ ამ რგოლში ასპარეზობდა და ამის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, სწორედ დამცველების უხეში შეცდომითაც იყო განპირობებული გუნდის წარუმატებელი ასპარეზობა. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ვეტერანმა ვერ გაამართლა, ზოგი ძველი ტრავმის რეციდივმა შეაწუხა და კლუბის ხელმძღვანელებიც იძულებულნი გახდნენ უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობის დროს დაემატებინათ ორი უაღრესად გამოცდილი უკანახაზელი: **დავით ბაქრაძე** და **აქვსენტი გილაური.** ამ შემთხვევაში კი ორივე ფეხბურთელის ტრანსფერი გამართლებული აღმოჩნდა - ბაქრაძემაც და გილაურმაც „სპარტაკის" დაცვა ბევრად საიმედო გახადეს. თუმცა, მთლიანობაში თუ ვიმსჯელებთ, ამ რგოლში პირველ ეტაპზე საუკეთესო **ბოიომო ფრიდოლინი** იყო - კამერუნელი ლეგიონერი კვლავაც იმ დონეზე ათამაშდა, აი, საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო სეზონიდან (2006-07 წლებში) რომ გვახსოვდა; თანაც, ბოიომოს ერთი სერიოზული პლუსიც აქვს: იმის გარდა, რომ ხშირად უყვარს შეტევებში ჩართვა, დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე ერთნაირად წარმატებულად თამაშობს.

### ნახევარმცველები

„სპარტაკის", უდავოდ, უძლიერესი რგოლი, განსაკუთრებით იმ მომენტამდე, ვიდრე გუნდის ლიდერები ირაკლი ჩირიკაშვილი და გიორგი ჩივაძე ტრავმას მიიღებდნენ. ამ ორივე ნახევარმცველს ბურთის ფლობაც მშვენივრად შეუძლიათ, პასის კულტურაც არ დაეწუნებათ და საკუთარი გუნდის შეტევების ორგანიზებაც. ჩირიკაშვილი და ჩივაძე უფრო შემტევი სტილის ნახევარმცველები არიან, აი, **თეიმურაზ შონია** კი - „ჩამშლელია", ოღონდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრს უფრო მეტიც შეუძლია. ფლანგებზე, უფრო ხშირ შემთხვევაში თამაშობდნენ: **კობა შალამბერიძე, პაატა დათუნაიშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე** და **გიორგი კბილცეცხლაშვილი.** სხვათა შორის, 20 წლის კბილცეცხლაშვილი უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ატარებდა და ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა. „სპარტაკს" აშკარად გამოადგა კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებაც - **გიორგი მანწკავა** კარგა ხნის პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს. მანწკავას ბევრი მატჩი არ ჩაუტარებია, მაგრამ „ზესტაფონთან" შეხვედრაში, მართლაც, ეფექტური გოლი გაიტანა...

### თავდამსხმელები

ეფექტური გოლი ვახსენეთ და, რაღა თქმა უნდა, XVII ტურში, „გაგრა"-"სპარტაკის" შეხვედრა არ უნდა დავივიწყოთ, სადაც **რევაზ გოცირიძემ** „დუბლი" შეასრულა. აი, იმ შეხვედრაში გატანილი მეორე გოლი, მართლაც იშვიათი სილამაზის გამოდგა! თუმცა, გამოკვეთილ ცენტრფორვარდად მოასპარეზე გოცირიძეს, ალბათ, უფრო მეტიც მოეთხოვებოდა: პირველ ტურში „სიონთან" და... მეჩვიდმეტეში, „გაგრასთან" ორ-ორი გოლი გაიტანა და მორჩა! საერთოდაც, უფრო ხშირ შემთხვევაში ხაჩიძე ერთადერთი ნომინალური თავდამსხმელით თამაშობდა, და ასეთ შემთხვევაში გუნდის მეორე ფორვარდს **ბაჩანა ცხადაძეს** ოდნავ განსხვავებულ ამპლუაში ვხედავდით; ხანდახან, კობა შალამბერიძე გამოჩენილა თავდასხმის ხაზში, ამათ გარდა მწვრთნელები უფრო ხშირად ენდობოდნენ კოტ'დივუარელ ლეგიონერს **ტიერი ანს კლოვისს,** რომლის საპასპორტო მონაცემებს თუ დავუჯერებთ, 16 წლისა აგვისტოში გამხდარა...


ვლადიმერ ხაჩიძე


ირაკლი ჩირიკაშვილი

გია ტუხაშვილი

# ...და დარჩა ბრძოლა დარჩენისთვის



გელა ხუბუა

მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში ქვეყნის ჩემპიონი, თითოჯერ „ოქროს მატჩისა“ და თასის ფინალში ერთხელ ნათამაშები ბოლნისის „სიონი“ სტაბილური ასპარეზობით არა, მაგრამ მწვრთნელთა ცვლით კი ნამდვილად გამოირჩა. ჩემპიონატის პირველ ნახევრის შემდეგ, რომელმაც 4 თვე და 2 კვირა გასტანა, ამ გუნდს უკვე რიგით მესამე მწვრთნელი ჰყავს. თუმცა ამაზე ქვემოთ...

ზემოთ გუნდის არასტაბილურობა ვახსენეთ და საერთო ჯამში, წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ამ სეზონის პირველ ეტაპზე არასტაბილურობა მართლაც ბოლნისელთა გუნდის ერთგვარი ნიშა იყო. რა თქმა უნდა, არასტაბილურობა სხვა ფაქტორებთან ერთად მწვრთნელთა ხშირი ცვლითაც იყო განპირობებული. აქვე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც, კლუბს ფინანსური პრობლება რომ აქვს, აშკარად იგრძნობოდა. ის კი არა, ამის თაობაზე მასმედიასთან, კლუბის ბოლო სამ მთავარ მწვრთნელსაც არაერთხელ დაუჩივლია. ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ ერთ დროს ჩემპიონსა და ფავორიტებში მყოფ ამ გუნდს, ამჯერად ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა. ეს ბრძოლა იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ბოლნისელებს კარგი შანსი აქვთ, ამ ამოცანის გადაჭრას თავი გაართვან. ამაში მნიშვნელოვანი სტიმულატორის როლს ფინანსები ითამაშებს. ეს კი უკვე „სიონის“ ახალი თავკაცისა და მისი შტაბის საქმეა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩემპიონატის პირველი ნახევრის დასრულებასთან ერთად ბოლნისელთა კლუბის ერთბაშად რამდენიმე მოთამაშეს საკონტრაქტო ვადა ამოეწურა და ჯერჯერობით უცნობია, ვინ დარჩება და ვინ წავა. ჩვენი ინფორმაციით, „სიონში“ საკადრო ცვლილება მცირედი მასშტაბისა არ იქნება. ვნახოთ...

## კორლალიძიდან გაჭირვების ტალკვესამდე

გასული ჩემპიონატი გუნდმა **ოთარ კორლალიძის** ხელმძღვანელობით ჩაამთავრა, ამ სეზონისთვის მზადებაც კორლალიძემ დაიწყო, მაგრამ სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე მას რუსთავის „ოლიმპი“ ჩააბარეს და ჩემპიონატის დაწყებამდე 3-4 დღით ადრე „სიონის“ თავკაცად **თემურ მახარაძე** მოგვევლინა. მახარაძისთვის ბოლნისი უცხო გარემო სულაც არაა. ამ კოპწია ქალაქში მას კვლავაც დიდ პატივს სცემენ, რადგან „სიონის“ ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცლები სწორედ ამ მწვრთნელის მუშაობისას შექმნეს ბოლნისელებმა. მახარაძემ ქვემო ქართლში ერთგვარი „ფოკუსი“ ჩაატარა და სეზონის დაწყებამდე შეაკოწიწა გუნდი. „სიონი“ სასტარტო ტურში ისე წარდგა, რომ ფეხბურთელთა უმრავლესობას ერთად ამხანაგური მატჩიც კი არ ჰქონდა ჩატარებული. სწორედ ამით იყო განპირობებული მძიმე სტარტი, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მახარაძემ ჩვეულ სტილს არ უღალატა. მან სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მოასწრო და გამოცდილი ფეხბურთელები მიიწვია გუნდში. მათ შეძლეს ახალგაზრდა მოთამაშეების აყოლიება, თავადაც ფორმაში შევიდნენ და საჭირო ქულებიც მოაგროვეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლნისელებმა პირველი ქულა მე-4 ტურში მოიპოვეს, თანაც ფავორიტ „ზესტაფონთან“... თემურ მახარაძემ 11 ტურის განმავლობაში უხელმძღვანელა გუნდს, ისიც რუსთავში გადაიყვანეს და „სიონში“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის დროებით შემსრულებლად **გიორგი ყიფშიძე** მოგვევლინა. ცნობისათვის, ყიფშიძეს თამამად შეიძლება ბოლნისური კლუბის გაჭირვების ტალკვესიც ვუწოდოთ. „სიონის“ ძნელბედობის ჟამს თითქმის ყოველთვის გიორგი ყიფშიძეს აბარებდნენ გუნდს და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ყიფშიძეს ამჯერადაც რთული მისიის შესრულებამ მოუწია და ეს

### სიონი

| სულ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 18 | 3 | 8 | 7 | 12-25 | 17 |
| **შინ** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 3 | 4 | 3 | 8-12 | 13 |
| **სტუმრად** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 0 | 4 | 4 | 4-13 | 4 |

გაგრას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | სიონი-სპარტაკი | 1:4 |
| II ტური | სიონი-დინამო | 0:0 |
| III ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 2:1 |
| IV ტური | სიონი-ზესტაფონი | 0:0 |
| V ტური | ოლიმპი-სიონი | 3:0 |
| VI ტური | სიონი-ბაია | 1:0 |
| VII ტური | ლოკომოტივი-სიონი | 0:0 |
| VIII ტური | სიონი-სამტრედია | 3:0 |
| IX ტური | გაგრა-სიონი | 1:1 |
| X ტური | სპარტაკი-სიონი | 1:1 |
| XI ტური | დინამო-სიონი | 0:2 |
| XII ტური | სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XIII ტური | ზესტაფონი-სიონი | 3:0 |
| XIV ტური | სიონი-ოლიმპი | 0:6 |
| XV ტური | ბაია-სიონი | 2:0 |
| XVI ტური | სიონი-ლოკომოტივი | 0:0 |
| XVII ტური | სამტრედია-სიონი | 1:1 |
| XVIII ტური | სიონი-გაგრა | 1:1 |

მეკარეები: მინდია ბობლიაშვილი - 17, ზვიად სტურუა - 1;

მცველები: თენგიზ ჩიკვილაძე - 16 (1 გოლი), მიხეილ კობაური - 13 (1 გოლი), მურმან ქურასბედიანი - 10, მიხეილ მახვილაძე - 12, ოთარ ნაყოფია - 1, დავით სვანიძე - 17 (1 გოლი), ირაკლი ვაშაკიძე - 14, რევაზ ქემოკლიძე - 15;

ნახევარმცველები: არჩილ ალავიძე - 1, ლევან ბაჯელიძე - 5, ლევან ჩხეტიანი - 2, ალექსანდრე გოგობერიშვილი - 18 (3 გოლი), გიორგი ხიდეშელი - 18 (2 გოლი), გელა ხუბუა - 9 (1 გოლი), ბექა ნოზაძე - 3, ლაშა ნოზაძე - 13, გიორგი ოქროპირიძე - 5, გიორგი სილაგავა - 1, თორნიკე თარხნიშვილი - 4, ვლადიმერ უგრეხელიძე - 8, ჯაბა უგულავა - 1;

თავდამსხმელები: მიხეილ ბობოხიძე - 5 (1 გოლი), ბესიკ ჩიმაკაძე - 16 (2 გოლი), სულიკო დავითაშვილი - 7, ირაკლი კიკნაძე - 10 (1 გოლი), გოგი ფიფია - 9;

მწვრთნელები: თემურ მახარაძე (XII ტურის ჩათვლით), გიორგი ყიფშიძე (პირველი ეტაპის ბოლომდე), ხვიჩა ქასრაშვილი (მეორე ეტაპიდან)

შედეგებზეც აისახა. მას 7 ტურში მოუწია გუნდის ხელმძღვანელობამ და აქედან 4 მატჩში გუნდმა წაგებების სერია აჩვენა, ბოლო 3 ტურში „სიონმა“ თითო ქულა კი აილო, მაგრამ თავისუფლად შეეძლო მეტი ქულის მოპოვება და ცხრილში უკეთეს პოზიციაზე დამკვიდრება. მით უმეტეს, ბოლნისელებმა სწორედ იმ გუნდებთან დაკარგეს ქულები, რომელთანაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის უწევთ ბრძოლა. ყიფშიძემ გუნდი ზამთრის პაუზამდე მიიყვანა და კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გუნდი **ხვიჩა ქასრაშვილს** ჩააბარეს. მწვრთნელს, რომელიც ადრეც მუშაობდა ამ კლუბში. სხვათა შორის, ბოლნისელებმა ქასრაშვილის ხელმძღვანელობით 2005 წელი პირველ ადგილზე ჩაამთავრეს და იმ სეზონში პირველად (ჯერჯერობით ერთადერთხელ) მოიპოვეს ოქროს მედლები. თუმცა ამჯერად ხვიჩა ქასრაშვილის მიზანი ოქრო კი არა, ლიგაში გუნდის დატოვებაა.

## პირველად სიონის ისტორიაში

ბოლნისური კლუბის ისტორიაში 2009 წლის 18 ოქტომბერი „ოქროს ასოებით“ ჩაიწერება. არსებობის განმავლობაში „სიონს“ აქამდეც ჰყავდა დამარცხებული ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, მაგრამ თბილისში არასდროს. მე-11 ტურში კი ბოლნელებმა „დინამო“ დედაქალაქში დაამარცხეს, თანაც დამაჯერებელი ანგარიშით, 2:0. ამ ისტორიულ შეხვედრაში გოლები **გელა ხუბუამ** და **გიორგი ხიდეშელმა** გაიტანეს.

სხვათა შორის, თემურ მახარაძემ სწორედ ამ მატჩის შემდეგ დატოვა „სიონი“ და „ოლიმპი“ ჩაიბარა. ბოლნისიდან თემურ მახარაძე თავაწეული, გამარჯვებული წავიდა და ჩიტმა ამბავი მოგვიტანა, რომ 18 ოქტომბრის თამაშს დღესაც სიამოვნებით იხსენებს. ერთი სიტყვით, მახარაძე წავიდა და წარმატებებიც წარუმატებლობებმა შეცვალა.

ალსანიშნავია ისიც, რომ აქამდე მოგროვებული 17 ქულიდან 14 სწორედ თემურ მახარაძის ფორმაციის გუნდზე მოდის. „სიონისა“ და „დინამოს“ მატჩი გავიხსენეთ და აქვე ამ გუნდების მეორე შეხვედრის არხსენებაც არ იქნება გამართლებული. მეორე ტურის გადადებული მატჩი 22 სექტემბერს გაიმართა და ბოლნისელებმა „დინამოსთან“ შინ 0:0-ზე გაიყარნენ. შესაბამისად, მახარაძის „სიონმა“ ამ სეზონში ყველაზე ტიტულოვან გუნდს 6-დან 4 ქულა ააცალა.

## მეკარეები

ბოლნისელებს ურიგო მეკარეები ნამდვილად არ ჰყავთ. **მინდია ბობლიაშვილი** და **ზვიად სტურუა** საქართველოს ჩემპიონატში უცნობი ფიგურები ნამდვილად არ არიან. თუმცა ამ უკანასკნელს ჯერჯერობით მხოლოდ ერთ შეხვედრაში მოუწია თამაშმა. ბობლიაშვილს 17 ტურში მოუწია კარის დაცვამ და გუნდის მიერ გაშვებული 25 ბურთიდან სრული უმრავლესობაც მასზე მოდის. აქედან ერთ მატჩში, კერძოდ კი რუსთავის „ოლიმპთან“ შინ ერთბაშად 6 ბურთი გაუტანეს მინდია ბობლიაშვილს. ეს კი მიმდინარე სეზონში ამ კლუბის მიერ ნაჩვენები ანტირეკორდია... პოზიტივიც ვთქვათ, 18 ტურიდან ბოლნისელებმა 7 შეხვედრაში შეძლეს კარის მშრალად შენახვა და ეს უმთავრესად სწორედ მეკარეების დამსახურებაა.

## მცველები

პირველ ეტაპზე უმთავრესად მახარაძემ უხელმძღვანელა გუნდს. ამ მწვრთნელის გუნდები კი ტრადიციულად ცოტა ბურთს უშვებენ. 3-4 ტურში მცველების ტრავმიანობა რომ არა, ალბათ ბოლნისელები 25 გოლსაც არ გაუშვებდნენ. თუმცა 25 მიღებული ბურთი, საერთო ჯამში, ნამდვილად არასახარბიელო მაჩვენებელია და მცველებთან ერთად მეკარეების დამსახურებაცაა. ბოლნისელთა დაცვა რამდენიმეჯერ შეიცვალა. თემურ მახარაძემ დაცვიდან შუა ხაზზე რამდენიმე შეხვედრაში კაპიტანი **დავით სვანიძე** და **მიხეილ მახვილაძე** გადაწია. უკანა ხაზზე სტაბილურად თამაშობდნენ **ირაკლი ვაშაკიძე** და **რევაზ ქემოკლიძე**. მარცხენა მცველი **თენგიზ ჩიკვილაძე** კი შეტევების ორგანიზატორადაც ხშირად გვევლინებოდა. გუნდის მიერ სეზონის პირველ ნახევარში გატანილი 12 გოლიდან, მცველებზე თითო სწორედ ჩიკვილაძესა და **მიხეილ კობაურზე** მოდის.

## ნახევარმცველები

ზამთრის პაუზამდე „სიონის“ მიერ გატანილი 12 ბურთიდან ნახევარი, 6 გოლი სწორედ ნახევარმცველებზე მოდის. ბოლნისელთა შუა ხაზის ბურჯი უდავოდ გამოცდილი **ალექსანდრე გოგობერიშვილია**. 3 გატანილი ბურთით ის გუნდის ბომბარდირია, მაგრამ ესეც რომ არა, გოგობერიშვილი „სიონის“ ნახევარდაცვის სტაბილურობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა. მის დარად შუა ხაზში ასევე გამორჩეული იყო **გიორგი ხიდეშელი**, რომელმაც ასევე ყველა შეხვედრაში ითამაშა. დიდი სამუშაო გასწია **ლაშა ნოზაძემ** და „სიონის“ ნახევარდაცვას სტაბილურად სწორედ ეს კვარტეტი შეადგენდა. მათ შემდეგ გელა ხუბუასა და **ვლადიმერ უგრეხელიძის** დასახელება შეიძლება. სხვა თუ არაფერი, „სიონმა“ თბილისში „დინამო“ სწორედ ხუბუასა და ხიდეშელის თითო გოლის წყალობით დაამარცხა. შუაში თავიდანვე კარგად წარმოჩნდა **თორნიკე თარხნიშვილი**, მაგრამ მას ტრავმების გამო საკმაო პერიოდი გაუცდა, თორემ უფრო მეტად დაგვამახსოვრებდა თავს.

## თავდამსხმელები

ბოლნისელთა გუნდის გულშემატკივარს ყველაზე მეტი სასაყვედურო სწორედ თავდამსხმელებზე აქვს. 18 ტურში მხოლოდ 12 ბურთის გატანა გუნდისთვის ნამდვილად ცუდი მაჩვენებელია. წინა ხაზის მინუსზე მეტყველებს ისიც, რომ 12 გატანილიდან ფორვარდებზე მხოლოდ 4 გოლი მოდის. ალბათ „სიონს“ უკეთესი მაჩვენებელი ექნებოდა, გამოცდილი ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძე** რომ არ დაშავებულიყო. ბობომ მხოლოდ 5 ტურში მიიღო მონაწილეობა, თანაც ყველაში სასტარტოში არ ყოფილა და ერთადერთი გოლით შეეწია გუნდს. კლუბის ქომაგებს დიდი ახალგაზრდა თავდამსხმელ **ირაკლი კიკნაძის** დიდი იმედი ჰქონდათ, ირაკლი ფორმაში ვერა და ვერ შევიდა, მხოლოდ ერთი გოლი იკმარა და აჩრდილიც არ იყო იმ კიკნაძისა, რომელიც თავის დროზე „ბორჯომიდან“ დაგვამახსოვრდა.

საწყენია ის, რომ ადრე გატანილი ბურთებითა და თამაშით გამორჩეულ **სულიკო დავითაშვილსა** და **გოგი ფიფიას** უგოლოდ მოუწიათ ზამთრის პაუზამდე ასპარეზობა. თავდასხმის ხაზში ყველაზე მეტ, 16 შეხვედრაში ფორვარდმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** ისპარეზა, მაგრამ ოდენ 2 გატანილი ბურთით დაკმაყოფილდა. მხოლოდ ამ სტატისტიკური მონაცემითაც ნათლად ჩანს, რომ საგოლე მომენტების გამოუყენებლობა, სხვა ჩვენი თავდამსხმელების დარად, ჩიმაკაძის „აქილევსის ქუსლიცაა“ და ამაზე მეტი მუშაობა მართებს.



ალექსანდრე გოგობერიშვილი

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი

ინტერვიუ ჟაკ დევიმთან

# ვიცი, რატომაც არის ხშირი ტრავმები...

**როგორც ვწერდით, B კატეგორიის ლიცენზიის მისაღებად ქართველ მწვრთნელებს ზუგდიდში სემინარი ჩაუტარეს. მასში უცხოელი სპეციალისტებიც მონაწილეობენ, ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ჟაკ დევიმი, რომელიც 10 წლის განმავლობაში საფრანგეთის ნაკრებში ფიზიკური მომზადების მწვრთნელად მუშაობდა. სამშობლოში გამგზავრებამდე მოსიე დევიმმა „ლელოს" კითხვებს უპასუხა...**

- საქართველოში ფეხბურთის ფედერაციისა და გაიოზ დარსაძის მოწვევით ჩამოვედი. უკვე წლებია, საქმიანი ურთიერთობა გვაქვს, რომელიც მეგობრობაშიც გადაიზარდა... რაც შეეხება სემინარებს, პროცესით კმაყოფილი ვარ. B კატეგორიის სერთიფიკატის მსურველი 56 ქართველი მწვრთნელი ორ ჯგუფად დავყავით და მათთვის სპეციალური პროგრამა შევიმუშავეთ.

**- კონკრეტულად რა საკითხებს ეხებოდა სემინარები?**

- ფეხბურთელის მომზადების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცა სისწრაფე, გამძლეობა... ლაპარაკი იყო ამ ტიპის ვარჯიშების ორგანიზებაზე. მწვრთნელებმა უნდა იცოდნენ, თუ რა დროს ჩაატარონ ვარჯიში და რა ხასიათის უნდა იყოს საწვრთნელი პროცესი, როდის და რომელ დეტალზე გამახვილდეს ყურადღება, რათა ვარჯიში და მთლიანად გუნდის მომზადება ეფექტური იყოს... მოკლედ, შევეხეთ ყველა იმ საკითხს, რაც ფეხბურთელის ფიზიკურად მომზადებისთვის აუცილებელია.

**- რამდენად იოლი ასათვისებელია ეს საკითხები და საერთოდ, როგორია ქართველი მწვრთნელების მომზადების დონე?**

- ვერ ვიტყვი, რომ რთული პროგრამაა. ქართველ მწვრთნელებთან თარჯიმნის მეშვეობით მქონდა ურთიერთობა და მგონი, არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ყურადღებით გვისმენდნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ სემინარში, რაც მათ მიერ დასმულ კითხვებშიც გამოიხატებოდა. ერთი სიტყვით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მწვრთნელებმა იოლად აითვისეს ეს საკითხები და შესაბამისად, სემინარებიც პროდუქტიული იყო. უბრალოდ, ქართველ მწვრთნელებს გავუზიარე ის გამოცდილება, რასაც საფრანგეთში, ჩემ გარდა, სხვა მწვრთნელები დღესაც იყენებენ.

**- 10 წლის განმავლობაში საფრანგეთის ეროვნულ გუნდში ფიზმომზადების მწვრთნელი იყავით, მუშაობდით კლუბებშიც. ამჟამად რომელ გუნდში საქმიანობთ?**

- 1988-98 წლებში მართლაც ვმუშაობდი საფრანგეთის ეროვნულ გუნდში, თან ისეთი ცნობილი სპეციალისტების გვერდით, როგორებიც არიან ჟერარ ულიე, ემე ჟაკე... ნაკრებს მიღმა კი მიშელ იდალგოსა და ანრი მიშელთან. სამსამი წლის განმავლობაში იმავე საქმეს ვუძღვებოდი „მარსელსა" და „მონაკოშიც", ახლა კი „იერში" ვმუშაობ. ბოლო ხანებში ამ გუნდით საკმაო წარმატებას მივაღწიეთ - მეხუთე ლიგიდან მესამე დივიზიონში გადავედით.

**- თქვენ კარგად იცნობთ საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ალენ ჟირესს. მასთან დღესაც გაქვთ ურთიერთობა და საინტერესოა, რას ამბობს ქართულ ფეხბურთზე, როგორ იხსენებს ჩვენს ნაკრებს?**

- ჟირესს ახლაც ვეხმიანები ხოლმე. გაბონის ნაკრებს წვრთნის და საკმაოდ სერიოზული მიღწევებიც აქვს, სამშობლოში რომ იყო ჩამოსული, შევხვდით და ვისაუბრეთ კიდეც. ალენმა საქართველოში მუშაობის პერიოდიც გაიხსენა, და სხვათა შორის, საკმაოდ თბილადაც. ასე მითხრა, გაბონიდანაც ვადევნებდი თვალს ჩემს ყოფილ ნაკრებს და მის შედეგებსო. ძალიან გახარებია თურმე, შოტლანდიას რომ მოუგეთ თბილისში. მაგრამ აი, ბულგარეთში ფიასკო რომ განიცადეთ, ძალზე ეწყინა - ვერაკრით ავხსნი, არცთუ ძლიერ ნაკრებთან ამ ანგარიშით როგორ წააგესო.

**- ჩვენთვისაც ძნელი ასახსნელი იყო... კარგი, ჟირესის ფორმაციის ნაკრების თამაშებს თვალყურს ადევნებდით და იქნებ გაიხსენოთ, რომელი მატჩი იყო ყველაზე შთამბეჭდავი?**

- თბილისში 2:2 რომ ითამაშეთ... მოიცათ... ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ, რომელ გუნდთან, ყოველ შემთხვევაში, გრანდი არ ყოფილა, საშუალო ევროპული დონის ნაკრები იყო...



**- დანია?**

- ჰო, დანია. მე მიმაჩნია, ის მატჩი ალენ ჟირესის ქართულ კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული თამაში იყო.

**- საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩები თუ ნახეთ, იქნებ შეადაროთ ერთმანეთს ჟირესის დროინდელი და ახლანდელი გუნდის დონე...**

- კარგად მახსოვს, ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, ჟირესი დიდ ყურადღებას უთმობდა გუნდის ნაკრების ტაქტიკურ-სტრატეგიულ მომზადებას. შემდეგ გაიოზ დარსაძე წვრთნიდა თქვენს ეროვნულ ნაკრებს და სხვათა შორის, მას მეც ვეხმარებოდი... მერე ტოპმიოლერი იყო, კუპერი... ვფიქრობ, ამ წლებს ტყუილად არ ჩაუვლია, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი არ გაქვთ - საქართველოს ნაკრებმა უფრო მეტად დახვეწა კომბინაციური თამაში...

**- კი, მაგრამ რატომ ვერ აისახა ეს შედეგებში? მეტიც - ბოლო საკვალიფიკაციო ციკლში საქართველოს ნაკრებმა ერთი მატჩიც ვერ მოიგო და პირადი ანტირეკორდიც დაამყარა. ეს რით შეიძლება აიხსნას?**

- იცით, მე ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ასე, არ ვარ პრობლემებში ღრმად ჩახედული და დასკვნების გაკეთება უადგილო იქნება. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ რაღაც სერიოზულ შეცდომებსა თუ პრობლემებთან გაქვთ საქმე... უამრავი მიზეზი შეიძლება იყოს. ერთიცაა - აშკარად ჩანს თაობათა ცვლის პროცესი, რომელიც ყველა გუნდისთვის მტკივნეულია და ვერც თქვენ იქნებოდით გამონაკლისი... მაგრამ ხომ გითხარით, ბოლო წლებში თქვენს ეროვნულ გუნდს იმდენად ხშირად ვერ ვადევნებ თვალყურს და კარგადაც არ ვიცნობ, მარტო შედეგებით მსჯელობა კი ძნელია.

**- როგორც ფიზმომზადების მწვრთნელი, ამ კუთხით რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით საქართველოს ნაკრებიდან?**

- პირველ რიგში ორ მათგანს დავასახელებდი - კალაძესა და კობიაშვილს. მაგრამ რაც თქვენი ნაკრების მატჩები მინახავს, ისინი მოედანზე ყოველთვის გამორჩეულნი იყვნენ ფიზიკური ძალით და შესაბამასად, დიდ სამუშაოსაც ასრულებდნენ. მაგრამ ისიცაა, რომელ კლუბებში და რა დონეზე თამაშობენ...

**- ჩვენს ნაკრებს ერთი დიდი პრობლემაც აქვს - უსაშველოდ ბევრი ტრავმა. ბოლო ორ შესარჩევ ციკლში არ იყო მატჩი, გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ გამოკლებოდა. ალბათ, ასეთ ხშირ ტრავმიანობას თავისი მიზეზი აქვს. როგორ ფიქრობთ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

- ამ პრობლემას კარგად ვიცნობ და მიზეზიც ვიცი. ეს იმისი ბრალია, რომ საქართველოში ფეხბურთელები სათანადოდ ვერ ან არ ემზადებიან. სამწუხაროდ, არ ვიცი, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს ნაკრებ გუნდებში, მაგრამ აქსიომაა, რომ ნაკრებში ფეხბურთელი კარგად მომზადებული უნდა მიდიოდეს და ეს სწორედ კლუბების საქმეა... გაქვთ თუ არა ფიზმომზადებისთვის სათანადო პირობები და საშუალებები, არ ვიცი. არც ის ვიცი, ფეხბურთელებს აღდგენითი პროცესი უტარდებათ თუ არა. ერთადერთი, ამ მხრივ ლეგიონერებზე არ იქნება პრობლემა. უცხოეთში ეს საკითხები ყველგან მოგვარებულია... მოკლედ, პრობლემა ისაა, რომ საქართველოდან უცხოეთში წასული მოუმზადებელი ახალგაზრდა, როგორც კი მკაცრ პირობებში ხვდება, სადაც გაცილებით დიდი ფიზიკური დატვირთვებია, ორგანიზმი ვერ უძლებს და ტრავმებიც ამის ბრალია.

**- თქვენ მიერ მომზადებული ფრანგული ფეხბურთის გამორჩეული თაობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა. მათთან მუშაობის პერიოდიდან ბევრი რამ გექნებათ გასახსენებელი...**

- იმ თაობის თითოეული წარმომადგენელი კარგი ფეხბურთელი და ამავე დროს კარგი პიროვნებაცაა. ემე ჟაკეს იმით აბრაზებდნენ, რომ სალამო ხანს ბაზაზე გაიფანტებოდნენ და მათი ერთად თავმოყრა ნაკრების მწვრთნელს ზოგჯერ ძალიან უჭირდა... ისინი მაღალი დონის ფეხბურთელები იყვნენ, თუმცა კი მოედანს მიღმა ეს არ ეტყობოდათ - უბრალოებით გამოირჩეოდნენ, ძალიან უყვარდათ ხუმრობა და ჩვენს მუშაობას ეს ახალისებდა კიდეც. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობისთვის გუნდი 5-7 წლის განმავლობაში ემზადებოდა. მაგრამ უფრო სიღრმეში თუ წავალთ, დიდებისკენ სავალი გზა ადრეულ ასაკში, ასაკობრივ ნაკრებებში დაიწყო. კარგია, რომ ჩვენი გარჯა დაფასდა და საფრანგეთის ნაკრებმა ორი დიდი ტიტული მოიგო...

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ


# ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე

„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!"

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლ „პალიტრის" კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა"

„ცხოველები"

„მსოფლიოს დიდი ატლასი"

ავტომატურად თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების" სერიის ხელმომწერი







მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათინანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

38 26 73; 38 26 74;

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში. წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს
საბითუმო გაყიდვის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ლიონელ მესი: არასოდეს, თუნდაც ყველაზე თამამ ოცნებაში...

ლიონელ მესი მსოფლიო ფეხბურთის „სცენაზე“ 2005 წელს გამოჩნდა და მას მერე მისი ვარსკვლავის სიკაშკაშე ყოველწლიურად მატულობს. ის მუდამ მონინავეა ულამაზესი დრიბლინგის და საოცარი გოლების წყალობით. წლეულს არგენტინელმა „ბარსელონასთან“ ერთად ტიტული ტიტულზე მოიგო. ორშაბათის საღამომდე ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ერთადერთ ტროფეიდ რჩებოდა, რომელიც მესის ჯერ არ მოეგო და ორი წლის განმავლობაში მეორე ადგილზე გასვლის შემდეგ, მესი პირველია. ციურიხის გალა-საღამოს შემდეგ არგენტინელმა მაესტრომ ფიფას ოფიციალურ საიტთან ექსკლუზიური ინტერვიუსთვისაც მოიცალა.

**- ლიონელ, თქვენს შემთხვევაში გამართლდა გამონათქვამი - მესამე და სამართალიო. გილოცავთ ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას. როგორ გრძნობს თავს პრიზის ახალი მფლობელი?**

- უბრალოდ ძალიან ბედნიერი ვარ. დიდებულია, როცა კოლეგების და მწვრთნელებისგან ამხელა აღიარებას ელირსები. ეს ფაქტი ჩემს გამარჯვებას ერთი-ორად მნიშვნელოვანს ხდის. ისიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ პირველი არგენტინელი გამარჯვებული ვარ.

**- თქვენი აზრით, სხვა ვინ იმსახურებდა წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს?**

- ჩემი აზრით, „ბარსელონას“ ნებისმიერ ფეხბურთელს ეკუთვნის ეს პრიზი, ჩვენ ხომ წლის განმავლობაში 6 ტიტული მოვიგეთ, ტიტულების მაქსიმალური რაოდენობა.



ლიონელ მესი წლის მთავარი პრიზით ხელში

**- თქვენ „ბარსელონასთან“ ერთად ყველა ტიტული მოიგეთ, რასაც თან ინდივიდუალური პრიზების უმეტესობა დაერთო. როგორ გაიხსენებთ მომავალში 2009 წელს?**

- ყველაფერი დიდებულად იყო, ამაზე პოზიტიური წელინადი ცხოვრებაში არ მქონია. ყველა მოსაგები პრიზი მოვიგეთ და ინდივიდუალურადაც მუდამ ყურადღების ცენტრში ვიყავი. უბედნიერესი ადამიანი ვარ, მაგრამ არ მავიწყდება, რომ ამ ყველაფერს ვერ მივაღწევდი ჩემი თანაგუნდელების გარეშე. ეს აღიარება მათი აღიარებაცაა.

**- ყველაზე მეტად რომელ მომენტს იხსენებთ ხოლმე წლევანდელი ბატალიებიდან?**

- ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. ეს თამაში თავისი მნიშვნელობის გამო ყოველთვის მემახსოვრება, თან ფინალში გოლი გავიტანე.

**- ნომინანტებში თქვენ გარდა ჩავი და ინიესტა იყვნენ, როგორც ჩანს, „ბარსელონას“ ახალგაზრდული სკოლა დიდებულად მუშაობს...**

- რა თქმა უნდა. სამი ნომინანტი ერთი გუნდიდან, კარგად აჩვენებს თუ როგორ მუშაობს „ბარსელონას“ სისტემა როგორც ახალგაზრდულ ასევე პროფესიულ დონეზე. ამ შრომის შედეგების ნახვა მხოლოდ დღეს, გალა-საღამოზე არ არის შესაძლებელი, მობრძანდით „კამპ ნოუზე“ ნებისმიერ დღეს, როცა ჩვენი გუნდი თამაშობს.

**- ბრწყინვალე წელინადი გქონდათ, როგორ ფიქრობთ ეს თქვენი კარიერის პიკია?**

- შესანიშნავი დღეები მქონდა, ძალიან ბევრი ტიტული მოვიგე, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. ჯერჯერობით საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და წინ ბევრი დიდი გამოცდილების მიღება მელის. გაზრდა ყოველთვის შესაძლებელია, მთავარია მონდომება.

**- 2009 წელს „ბარსელონამ“ ხუთი ფინალი ითამაშა და აქედან ოთხში გოლი გაიტანეთ, როგორ ახერხებთ გადამწყვეტ მომენტში გაბრწყინებას?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ვფიქრობ, ფინალებში მიმართლებს ხოლმე და გოლების გატანას ვახერხებ. მთავარი ხომ გუნდური თამაშია, მე უბრალოდ საჭირო დროს საჭირო ადგილას ვხვდები ბურთს.

**- მიიჩნევთ, თუ არა რომ ოცნებები აგისრულდათ?**

- ამისრულდა და თანაც როგორ! არასოდეს, თუნდაც ყველაზე თამამ ოცნებაში არ მიოცნებია იმაზე, რასაც 2009 წელს რეალურად მივაღწიე. ეს სრული სიმართლეა.

**- მაგრამ იყო მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებიც, სადაც თქვენ და თქვენს ნაკრებს ნაკლებად ულიმოდა ფორტუნა...**

- დიახ, ძალიან დაძაბული საკვალიფიკაციო ციკლი დავასრულეთ, საბოლოოდ არგენტინის ნაკრებმა მიზანს მაინც უწია - მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ჩვენია. მთავარია, რომ ახლა საკმაო დრო გვაქვს სამუშაოდ, მოსამზადებლად, რომ სამხრეთ აფრიკაში საუკეთესო ფორმაში ვიყოთ.

**- მოდით, 2010 წელინადზე ვისაუბროთ, რა მიზნები და ოცნებები გაქვთ ახალი წლისთვის?**

- მრავალი მიზეზის გამო ჩემთვის 2010 წელი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება - 2010-ში მსოფლიოს ჩემპიონატია, რომლის მოგებაც მსურს არგენტინის ნაკრებთან ერთად. ამის გარდა, ყველა ის ტიტული, რაც წლეულს „ბარსელონაში“ თამაშით მოვიპოვეთ, უნდა შევინარჩუნოთ, რაც მოპოვებაზე რთულია. ურთულესი ამოცანები დავსახე, ჯერ ასეთი წარმატებისთვის არავის მიუღწევია, ვნახოთ...

**- თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატი ახსენეთ, რას იტყვით ჯგუფზე, რომელშიც თქვენი ნაკრები მოხვდა?**

- ყოველგვარი ეჭვის გარეშე მძიმე ჯგუფია. ცდება, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სუსტი ნაკრებებიც თამაშობენ. ყველა ცდილობს თავისი ერის ღირსება რაც შეიძლება მაღალ დონეზე დაიცვას. თუკი ჯგუფიდან გასვლა გვსურს, ჩემპიონატს მაღალ დონეზე მომზადებულები უნდა შევხვდეთ.

**- ბოლოს არგენტინის ნაკრებს საკვალიფიკაციო ბატალიებში 1986 წელს გაუჭირდა, შემდეგ კი ყველამ იცის, რაც მოხდა...**

- მოდი, იმედი ვიქონიოთ, რომ ისტორია გამეორდება. არგენტინა ბევრჯერ ყოფილა ჩემპიონატის ფავორიტი და ვერაფრისთვის მიუღწევია. იქნებ, მართლა ასე სჯობს? ვინ იცის... ასე რომ, ელოდეთ სიურპრიზს არგენტინის ნაკრებისა და ლიონელ მესისგანაც.

ესპანური ამბები



რუბენ ბარახა მიდის?

## ვალენსია ბალასტს იშორებს

„ვალენსიამ“ პრიმერა დივიზიონის წლევანდელი ნაწილი 29 ქულით მე-4 ადგილზე დაასრულა. როგორც „სუპერ დეპორტე“ იუწყება, ზამთრის სატრანსფერო სეზონში კლუბს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს. უმთავრესად ისინი, ვინც იშვიათად ხვდებოდნენ „ლოს ჩეს“ სასტარტო შემადგენლობაში. „ვალენსიამ“ პირველი შენაძენი უკვე გააკეთა - თავისუფალი აგენტის სტატუსით რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი **ალეხანდრო „ჩორი“ დომინგესი** დაიმატა, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მეტი ტრანსფერი, თითქმის, არ იქნება.

კლუბის ფინანსური მდგომარეობა ჯერაც არასახარბიელოა, ამიტომ ფუფუნების უფლებას **უნაი ემერის** გუნდი საკუთარ თავს ვერ მისცემს. სავარაუდო გადაადგილებებს, რომელიც ფინანსური სიდუხჭირით არის გამოწვეული, **ასიერ დელ ორნოს, მანუელ ფერნანდესის, რუბენ ბარახას, ვისენტეს, ხორდი ალბას, ნიკოლა ჟიგიჩის** და **მიკუს** ვალენსიური კარიერა შეეწირება. მართალია, ამ შვიდეულის გაყიდვით „ვალენსია“ დიდ კაპიტალს ვერ დააგროვებს, მაგრამ სახელფასო ფონდში სერიოზულ თანხებს ნამდვილად გამოათავისუფლებს.

## ...სად მისროლია ისარი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩის** კარიერის პირველმა კლუბმა „ფბკ ბალკანმა“ „ბარსელონასგან“ ადრეული საშობაო „საჩუქარი“ მიიღო - 1,5 მილიონი კრონი (ანუ 144 ათასი ევრო). „ფბკ ბალკანი“ პატარა შვედური კლუბია, მალმიოს გარეუბან როსენგარდიდან. სახელიდანაც ჩანს, რომ ამ გუნდში უმთავრესად ბალკანეთიდან სკანდინავიაში გადახვეწილი ადამიანები საქმიანობენ და თამაშობენ. ბავშვობაში „ბარსელონას“ სუპერვარსკვლავმა ხუთი სეზონი გაატარა „ბალკანში“. ფიფას სოლიდარობის სისტემის თანახმად კი 66-მილიონიანი ტრანსფერის შემდეგ „ბალკანს“ გარკვეული თანხა ეკუთვნოდა, რაც ფიფაში „ბალკანის“ დირექტორმა **საშა ვეიჟოვიჩმა** მოითხოვა.

სხვათა შორის, „ბარსელონას“ არაფრის დიდებით სურდა თანხის გადახდა, სასამართლო პროცესზე „ბალკანის“ წარმომადგენლებს მოუწიათ იმის მტკიცება, რომ ზლატანმა მართლა ითამაშა ამ გუნდში. „ბალკანმა“ საგაზეთო სტატიები, ვიდეოკლიპები და სხვა დამამტკიცებელი საბუთები წარადგინა. „ბალკანი“ თანხას ხუთ ნაწილად, ორი წლის განმავლობაში მიიღებს და მას მთლიანად კლუბის განვითარების პროგრამას მოახმარს.

*„ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს, გუნდის ახალგაზრდული სისტემა ისე უნდა ავაწყოთ სამხრეთ შვედეთში საუკეთესო გახდეს“*, - აცხადებს შვედეთის მე-5 დივიზიონში მოთამაშე „ბალკანის“ დირექტორი ვეიჟოვიჩი.

## როგორც ბეისბოლში...

ბათის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა, პროფესორმა **კენ ბრეიმ** თავის ახალ წიგნში ერთი თავი მიუძღვნა **კრიშტიანო რონალდოს** მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტყმებს. მან კრიშტიანოს დარტყმებს ფიზიკური ანომალია უწოდა.

*„როდესაც კრიშტიანო რონალდო საჯარიმოს ურტყამს ბურთი სპეციალური ტრაექტორიით მიდის. ის არ იქცევა, როგორც ფეხბურთის ბურთი, არამედ როგორც ბეისბოლის ბურთი. სწორედ ამის გამოა, რომ რონალდოს დარტყმის ტრაექტორიის გამოცნობა გოლკიპერებს ძალზე უჭირთ. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, გაშვებული გოლი მეკარის ბრალია, ის ცდება, მაგრამ უმთავრესად ასე არ არის - რონალდოს დარტყმულის მოგერიება ძალზე რთულია. მსოფლიოში არც ერთი ფეხბურთელი არ ურტყამს საჯარიმოებს რონალდოს სტილში, გარდა „სანდერლენდის“ კირენ რიჩარდსონისა“*, - წერს ბრეი თავში „როგორ გავიტანოთ გოლი“.

## იგუაინის მადა

მადრიდის „რეალის“ 22 წლის არგენტინელმა ფორვარდმა **გონსალო იგუაინმა** განაცხადა, რომ მას გუნდთან ერთად ლა ლიგის და ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს, თავისთვის კი „პიჩიჩის“ (ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირი) პრიზიც დააკმაყოფილებს. კატალონიაში ამხანაგური მატჩის გასამართავად მყოფმა (არგენტინის ნაკრები კატალონიის გუნდს გაეჯიბრა „კამპ ნოუზე“) იგუაინმა „დიარიო ასის“ ჟურნალისტს განუცხადა:

*„რეალში“ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ, სასტარტო შემადგენლობაში სისტემატურად ვხვდები, გოლები გამაქვს, უკვე 10 გოლი გავიტანე. გუნდი უფრო და უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენი მიზანი ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ვფიქრობ, ამისთვის გუნდი სათანადოდ მომზადებულია. მე მსურს ეს ტიტულები, ისევე როგორც პიჩიჩი“.*

გონსალო იგუაინი ამ სეზონის ნამდვილი აღმოჩენაა, მას ესპანეთის ჩემპიონატში საშუალოდ ყოველ 78 წუთში ერთხელ გააქვს გოლი.

## ლუიშ ფაბიანო ბარსელონასთან არ იქნება

„სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდის, **ლუიშ ფაბიანოს** ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა - მან უკვე გამოტოვა ორი კვირა, ახლა კი საეჭვოა მისი თამაში იანვრის დასაწყისში გასამართ მატჩებშიც. ქალაქ ბარსელონის ყოველდღიური გაზეთი „სპორტი“ ირწმუნება, რომ „სევილია“ ბრაზილიელს 10 იანვარს, „კამპ ნოუზე“ მოისაკლისებს „ბარსელონას“ წინააღმდეგ კალენდარულ მატჩში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სატრანსფერო



რომან აბრამოვიჩმა გადაწყვიტა, ჯიბეზე ხელი კიდევ ერთხელ გაიკრას

# რომანი MONEY, MONEY...

ცნობილი გახდა, რომ „ჩელსის" რუსი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** გუნდის კიდევ უფრო გასაძლიერებლად იანვრის სატრანსფერო ბაზარზე 55 მილიონ ფუნტს დახარჯავს. ვისი ყიდვა უნდა ამ ფასად ოლიგარქს? „საყიდლების სიაში" არიან არგენტინელი **სერხიო აგუერო** მადრიდის „ატლეტიკოდან" და „მონაკოს" ხორვატი მცველი **ეერკო ლეკო**. მაგრამ, მადრიდის გუნდი აგუეროში 40 მილიონს ითხოვს, აბრამოვიჩი კი არაადეკვატური თანხის გადახდას არავისში აპირებს და ამიტომ, სამარქაფო სიაც ჩამოწერა: „აიაქსის" ურუგვაელი თავდამსხმელი **ლუის სუარესი**, მსოფლიოს ჩემპიონი, „რომას" ნახევარმცველი **დანიელე დე როსი** და „ევერტონის" ამომავალი ვარსკვლავი **ჯეკ როდუელი**. კლუბ „ჩელსის" მავანმა წევრმა ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა: „აბრამოვიჩმა სასურველ ფეხბურთელთა სია ჩამოწერა. მას უნდა ეს ფეხბურთელები ახალი წლის სატრანსფერო ბაზარზე იყიდოს, მაგრამ „ატლეტიკო" არანორმალურად ბევრ ფულს ითხოვს და თუ რეალურ თანხებამდე არ ჩამოვა, რომა მას თავს დაანებებს და „აიაქსიდან" სუარესის გადაბირებას შეეცდება. თუმცა, აბრამოვიჩს მხოლოდ თავდამსხმელები არ ჰყავს შეგულებული. დაცვაზე ორიენტირებულ ნახევარმცველად ჟერკოს გადმოყვანა გვსურს. მიზანში გვყავს ამოღებული დე როსი და როდუელიც. ერთი სიტყვით, ცხელი იანვარი გველის, რადგან არსებობს სურვილი, ფული და ფეხბურთელები, რომელთა ყიდვაც გვინდა".

ამბობენ, რომ აბრამოვიჩი „ლურჯების" ბოლო თამაშებმა დააფრთხო და გუნდის გაძლიერება ამიტომ ინდომა, მაგრამ მაინც საეჭვოა, ზემოთ ჩამონერილი სია ნაუცბათევი იყოს. მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ ბოლო ექვსი შეხვედრიდან **კარლო ანჩელოტის** გუნდმა მხოლოდ ერთი მოიგო, რამაც, შესაძლოა, დასავლეთლონდონელთა მეპატრონეს მართლა მისცა დამატებითი სტიმული. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, იანვარში აფრიკის თასის გათამაშება იწყება და „ჩელსის" სამი საუკეთესო ფეხბურთელი თავის ეროვნულ ნაკრებს მიაშურებს. ესენია: **დიდიე დროგბა, სალომონ კალუ** და **ჯონ ობი მიკელი**. დაშავებულია ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა **მიკაელ ესიენიც**.

და კიდევ ერთი, ალბათ ყველაზე სერიოზული მიზეზი იმისა, თუ რატომ გააქტიურდა აბრამოვიჩი ასე ძალიან: მოგეხსენებათ, ფრანგული „ლანსიდან" ყმანვილკაცის, **გაელ კაკუტას** წესების დარღვევით გადაბირების გამო ფიფამ „ჩელსის" 2011 წლამდე სატრანსფერო აქტიურობა აუკრძალა. მოგვიანებით, ეს გადაწყვეტილება სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა, მაგრამ საკითხი ამოწურული არ არის და აბრამოვიჩიც, როგორც ჩანს, თავს იზღვევს.

კრიზისული სიტუაციები

# აგერ, პრობლემები!



დანიელ აგერი

**დანიელ აგერი** იმ ლივერპულელ ვარსკვლავთა შორისაა, რომელნიც მწვრთნელისგან, **რაფა ბენიტესისგან** განსხვავებით არ უარყოფენ, რომ მათი გუნდი კარგად ველარ თამაშობს, თუმცა არც ოპტიმიზმი აკლია. გასულ კვირას „წითლებმა" „უიგანს" 2:1 მოუგეს და იმედი ჩაესახათ, რომ ეს გამარჯვება ალმასვლის საწინდარი იყო, მაგრამ შაბათს, „პორტსმუთთან" 2:0-მა წაგებამ ყველას ცივი წყალი გადაასხა. „ლივერპულისთვის" ეს მარცხი მიმდინარე ჩემპიონატში მეშვიდე გახლდათ. ამ შედეგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლეგენდარულ გუნდში ქაოსი და კრიზისია. მართალია, ბენიტესი ჯიუტად იმეორებს, რომ მისი ბიჭები სეზონის ბოლოს ოთხეულში იქნებიან, მიმომხილველები ეჭვობენ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური კი არა, გუნდმა შეიძლება ევროლიგაში თამაშის უფლებაც კი ვერ მოიპოვოს. 25 წლის დანიელი მცველი ამბობს:

*„რად უნდა ლაპარაკი, რომ უკიდურესად იმედგაცრუებულნი ვართ. თითოეული ჩვენგანისთვის კარგად არის ცნობილი, რომ რაც ხდება, კლუბისთვის არის ძალიან ცუდი. ვალდებულნი ვართ არსებული მდგომარეობა შევცვალოთ. სამწუხაროდ, „პორტსმუთთან" ეს ვერ შევძელით, მაგრამ ასე დიდხანს რომ აღარ გავაგრძელებთ, ფაქტია. ჩვენ წონასწორობა და თანამიმდევრულობა უნდა შევინარჩუნოთ".*

საქმის გამოსწორება კარგია, მაგრამ მას კაპიტნის, **სტივენ ჯერარდისა** და საუკეთესო ფორვარდის, **ფერნანდო ტორესის** საზარდულის ტრავმები ნამდვილად არ უწყობს ხელს. ამას ემატება **ალბერტო აკვილანის** პრობლემაც: იტალიელი ნახევარმცველი „ლივერპულმა" **ხაბი ალონსოს** წასვლის შემდეგ დარჩენილი სივრცის შესავსებად იყიდა, მაგრამ მისი ტრავმა გვარიანად ჭირვეული აღმოჩნდა და მის გამო ყოფილი რომაელი ახალ გუნდს ვერა და ვერ შეერწყა. ცნობისათვის: აკვილანიმ კოჭის ოპერაცია აპრილში (!) გაიკეთა.

*„რატომ ვართ კრიზისში? - კითხულობს აგერი, - ალბათ, ტრავმებისა და საკუთარი თავის რწმენის დაკარგვის გამო. საკუთარი თავის რწმენა გამარჯვებებმა უნდა დაგვიბრუნოს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამას ვერ ვახერხებთ. არადა, „პორტსმუთთან" დიდებულად დავიწყეთ, ბურთსაც საუცხოოდ ვფლობდით, თამაშის რიტმს ვაკონტროლებდით, მერე კი... მერე დავმარცხდით და ეს ძალიან გულდასაწყვეტი გამოდგა. ამიერიდან ყოველი შეხვედრა ჩვენი კლუბისთვის გადამწყვეტი ბრძოლის ტოლფასია. ყოველ შეხვედრაში ყურადღების კონცენტრირება გვმართებს, ხოლო „ვულვზთან" აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ".*

მოგეხსენებათ, იანვარში სატრანსფერო ბაზარი იხსნება, მაგრამ „ლივერპულში" დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ. ბევრჯერ გვითქვამს, რომ კლუბი შეჭირვებულად არის და ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება გასწვდეს, ერთი-ორი მოთამაშის სესხებაა. ამასთან, სავარაუდოდ, „ენფილდ როუდს" დატოვებენ **რაიან ბაბელი, ანდრეა დოსენა, ფილიპ დეგენი** და **ანდრეი ვორონინი**. დაირხა ხმა, თითქოს, მერსისაიდელემბა შეიძლება „ბაიერნში" იშკილებიდან ჩამოვარდნილი **ლუკა ტონი** დაიმატონ, რადგან იტალიელი იანვარში თავისუფალი აგენტი ხდება, თუმცა მისი შეძენა „ბენფიკასა" და მოსკოვის „დინამოსაც" სურთ.

# სვლა ცხენით: აკვილანი-კოვაჩევიჩი

იტალიელი ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანი**, რომელიც გასულ ზაფხულს „რომადან" „ლივერპულში" 20 მილიონ ფუნტად გადავიდა, მაგრამ ტრავმის გამო ახალი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ჯერ ერთხელაც კი არ მოხვედრილა - პრემიერლიგის მატჩზე გვაქვს ლაპარაკი - ბელგრადს გაეშურა, სადაც ალტერნატიული მედიცინის მიმდევარ ექიმს, **მარიანა კოვაჩევიჩს** ეწვია. ბოლო მონაცემებით, აკვილანი მერსისაიდელთა სასტარტოში გასულ კვირაში, „უიგანთან" შეხვედრაში უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ ისევ რალაც იტკინა და შედეგად „უიგანთან" თამაში კი არა, შაბათს „პორტსმუთთან" შეხვედრაც გამოტოვა.

ერთი სიტყვით, პორტსმუთის ნაცვლად იტალიელმა თავი სერბეთის დედაქალაქში ამოყო, სადაც კოვაჩევიჩის კლინიკას „ლივერპულის" სარეზერვო გუნდის თავდამსხმელთან, **ნაბილ ელ ზართან** ერთად მიაკითხა. შეგახსენებთ, რომ თავდაპირველი გათვლების თანახმად, აკვილანის მოედანზე ჯერ კიდევ ოქტომბრისთვის ელოდებოდნენ, მაგრამ აგერ უკვე დეკემბერია და ის საქმეში ხეირიანად არ ჩართულა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პრემიერლიგაში, ყოფილ რომაელს, ჯერ სასტარტო შემადგენლობაში არ უთამაშია, შეცვლაზე კი სამჯერ შევიდა. ერთადერთი მატჩი, რომელიც აკვილანიმ თავიდანვე დაიწყო, გახლდათ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა „ფიორენტინასთან", რომელიც ფლორენციელებმა 2:1 მოიგეს.

როგორც ჩანს, მერსისაიდელთა თავკაცს, **რაფა ბენიტესს** მარიანა კოვაჩევიჩის მეთოდებისა ძლიერ სწამს, რადგან მასთან სამკურნალოდ უკვე ექვსი ფეხბურთელი გაუშვა. ელ ზარამდე და აკვილანიმდე ბელგრადში იყვნენ **გლენ ჯონსონი, ფაბიო აურელიო, იოსი ბენაიუნი** და **ალბერტ რიერა**. შეგახსენებთ, რომ კოვაჩევიჩი ცხენის პლაცენტისგან დამზადებული ხსნარით მკურნალობს.

ისევ ცვლილებების გარშემო...

# ზოგი გარბის, ზოგიც იღრიჭება



რობერტო მანჩინი მუშაობას შეუდგა

იტალიელი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** ახალ სამსახურში მივიდა და მყისვე პრობლემებს გადააწყდა: **კრეიგ ბელამი** და **შეი გივენი** „მანჩესტერ სიტიდან" წასვლით იმუქრებიან. მიზეზი: ფეხბურთელები **მარკ ჰიუზის** გაშვებას აპროტესტებენ. გუშინაც მოგახსენებდით, რომ ინგლისელი მიმომხილველები თითქმის ერთსულოვნად აცხადებენ: ყველა იმ მოთამაშეს შორის, ჰიუზმა „სიტიში" მუშაობის 18 თვის განმავლობაში რომ შეიძინა, საუკეთესონი სწორედ ბელამი და გივენი იყვნენ - ყოველ შემთხვევაში ისტლენდელთა გუნდისთვის. „სპარკისადმი" ბელამის ერთგულება გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან ჯერ ერთი, ორივენი უელსელები არიან და მეორეც, ფეხბურთელი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ბლექბერნშიც" გამოდიოდა. რაც შეეხება მეკარე გივენს, მან ჰიუზის ხათრით „ნიუკასლი" დატოვა, რაც მისთვის საკმაოდ ძნელად მისაღები გადაწყვეტილება გახლდათ. როგორც ამბობენ, დღეს ორივე ფეხბურთელი გრძნობს, რომ უღალატეს და მათი აზრით, მოღალატენი „სიტის" თავმჯდომარე **ხალდონ ალ მუბარაქი** და აღმასრულებელი შეფი **გერი კუკი** არიან. შეგახსენებთ, რომ, როგორც ბელამი ასევე გივენი, „მანჩესტერ სიტიში" იანვარში მივიდნენ. კლუბმა გივენში 8, ხოლო ბელამიში 14 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

ინგლისური ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ პირველ ვარჯიშზე მანჩინი არც დანარჩენ ფეხბურთელებს მოეწონათ. იტალიელს მოკლედ უთქვამს, რომ ძალიან უნდოდა მათი მწვრთნელი გამხდარიყო. მანჩინის გვერდით მდგარა მისი ახალი ასისტენტი, ადრე „მანჩესტერ იუნაიტედში" ნამუშევარი **ბრაიან კიდიც**.

მწვრთნელის წარდგენისას კუკს უცდია, ფეხბურთელები დაერწმუნებინა, რომ კლუბის ხელმძღვანელებს მანჩინისთან გასულ ხუთშაბათამდე არ ჰქონიათ მოლაპარაკებები, რაც, თურმე, მოთამაშეებს არ სჯერათ და ბევრ მათგანს ეს ჟესტიკულაციით გამოუხატავს კიდეც. ბოლოს და ბოლოს, გუშინვე თავად მანჩინის ულიარებია, რომ ხალდონთან და კუკთან შესახვედრად ლონდონში ჯერ კიდევ ორი კვირის წინ იყო ჩასული, ოღონდ ვისთან თქვა იტალიელმა ეს სიტყვები, არ აზუსტებენ. ეჭვი გვაქვს, რომ ფეხბურთელებთან შეხვედრისას არ იტყოდა.

„სიტის" ერთ-ერთმა მოთამაშემ ჟურნალისტებს უთხრა: *„ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ ისე გვექცევიან, როგორც იდიოტებს. ამის მოთმენას ნამდვილად არ ვაპირებთ".*

წარსულში „არსენალის" დიდი თავდამსხმელი და დღეს საფეხბურთო მიმომხილველი **იან რაიტი** კი თავის საგაზეთო სვეტში წერს, რომ უმდიდრეს არაბებს, რომელთაც „მანჩესტერ სიტი" იყიდეს, ეგონათ, მილიონებს დახარჯავდნენ და წარმატებას ჩაიჯიბავდნენ, ახლა კი რწმუნდებიან, რომ ასე არ ყოფილა. რაიტის თქმით, იმავე ქალაქში „მანჩესტერ იუნაიტედის" არსებობა გვარწმუნებს, რომ დიდი კლუბის ჩამოყალიბებას მოთმინება, წლები და ტრადიციის შექმნა სჭირდება. და კიდევ:

*„მარკ ჰიუზთან დაკავშირებით ჩემთვის ყველაზე შემაშფოთებელი სულაც არ არის ის, რომ ჰიუზი მოხსნეს. გარკვეული გაგებით თანამდებობიდან გაშვება მან თავად გამოუწერა საკუთარ თავს. ამ ფაქტზე გაცილებით მნიშვნელოვანი ის იყო, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. მე მითხრეს, რომ ნოემბერში, „ჰალთან" 1:1-ის შემდეგ ჰიუზი გერი კუკთან მისულა და უკითხავს, მის თანამდებობას საფრთხე ხომ არ ემუქრებოდა. კუკის პასუხი ყოფილა, - არა. არადა, მას უნდა ეთქვა, რომ ფეხბურთი შედეგების ბიზნესია, დაუსრულებელი ფრეები კი ცუდ შედეგად ითვლება. მას ჰიუზისთვის არ უნდა დაემალა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, მოხსნიდნენ. ამის ნაცვლად კი კუკი მარკ ჰიუზის ზურგს უკან ჯერ გუს ჰიდინკს ეახლა მოლაპარაკებებზე, შემდეგ კი რობერტო მანჩინის. მწვრთნელებს ასე არ უნდა ექცეოდნენ. ამასთან, ვერც ჰიუზი უარყოფს, რომ ფეხბურთელების ყიდვაში შეცდა. როდესაც კაცი გუნდს იბარებს, მარტო იმაზე კი არ უნდა იფიქროს, საქმეს რომელი ფეხბურთელის დამატება წაადგება, არამედ იმაზეც, ამ ფეხბურთელის გამო მას ადრე თუ გვიან თანამდებობიდან ხომ არ გააგდებენ. მერწმუნეთ, მარკ ჰიუზის თანამდებობიდან გაგდება დიდწილად რობინიომ, ემანუელ ადებაიორმა და ჯოლიონ ლესკოტმა განაპირობეს. რობინიო და ადებაიორი ნამდვილად არ არიან ის ადამიანები, კაცი სანგარში თანამებრძოლად რომ ინატრებდა. „მანჩესტერ სიტის" ბანაკიდან ჩემამდეც კი მოსულა ისეთი ამბები, რომ მიფიქრია, რობინიოს მაგვარი ფეხბურთელი მწვრთნელს არ უნდა ჰყავდეს-მეთქი. რაც შეეხება ადებაიორს, გაიხსენეთ, როგორ წავიდა ის „არსენალიდან" და ყველაფერი ნათელია. დარწმუნებული ვარ, დღეს, არც ერთი და არც მეორე არ ნერვიულობს ჰიუზის თანამდებობიდან გაშვების გამო. რაც შეეხება ლესკოტს, გეხსომებათ, მისი გაყიდვა „ევერტონს" არ უნდოდა, მაგრამ „სიტიმ" იმდენი ფული გადაიხადა, რომ ლივერპულის გუნდი კედელთან აღმოჩნდა მიყენებული. და რა მოხდა ამ ოპერაციის შედეგად? ამ ოპერაციის შედეგად, ისტლენდელებს ხელში შერჩათ ფეხბურთელი, რომელიც, მოედანზე, მასში გადახდილი თანხის საფასურს არაფერს აკეთებს. მანჩინის შესახებ კი ასე ვიტყოდი: მან „მანჩესტერ სიტისთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ძალიან მაინტერესებს მართლა იქნება თუ არა ის „სიტის" მწვრთნელი სამი წლის შემდეგ. იტალიელმა თავიდანვე თუ არ მოიგო, სულ მალე დიდი კრიტიკის ობიექტი გახდება - ნუ დაგვავიწყდება, რომ სადაცაა ისევ იხსნება სატრანსფერო ბაზარი, სადაც მას „სიტის" პატრონები დიდძალ ფულს გაატანენ, მაგრამ მყისიერ შედეგსაც მოსთხოვენ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსპექტივა

# ლიპი: იუვე? მე არა...

## ერთ-ერთი კანდიდატი პაველ ნედვედია



მარჩელო ლიპი იუვენტუსში დაბრუნებას არ აპირებს

იტალიურ სპორტულ პრესაში „იუვენტუსი" და ამ გუნდში მიმდინარე პროცესები კვლავაც ყველაზე აქტუალურია. გუშინ გვიან ღამით კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც რამდენიმე საკითხი განიხილეს. ოფიციალურ პროტოკოლში მთავარი მწვრთნელის საკითხი არ იყო შეტანილი, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, დროის უდიდესი ნაწილი სწორედ **ჩირო ფერარას** ბედ-იღბლის გარკვევას დაეთმო. რაზე შეთანხმდნენ „იუვეს" მესვეურები? - თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, დირექტორთა საბჭოს წევრებმა ფერარას ულტიმატუმი წაუყენეს - თუ „იუვენტუსი" უახლოეს ორ შეხვედრას ვერ მოიგებს, ჩიროს პოსტის დატოვება მოუწევს. „ვეკია სენიორას" 6 იანვარს „პარმასთან" მოუწევს გასვლითი პაექრობა, 10 იანვარს კი საკუთარ კედლებში „მილანს" უმასპინძლებს.

თავადაც ხვდებით, რომ ამოცანა მეტად რთული შესასრულებელია. „პარმა" მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს და იოლად არაფერს თმობს, მით უმეტეს საკუთარ მოედანზე. ასე რომ, „ენიო ტარდინიზე" ტურინელებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. აღარაფერს ვამბობთ „მილანთან" დაპირისპირებაზე, რომელიც აქედანვე უდიდეს ინტერესს იწვევს. დიდია შანსი, სწორედ „როსონერისთან" ჯახი გამოდგეს ჩირო ფერარასთვის საბედისწერო.

ვინ შეცვლის ფერარას? - შუა სეზონში ახალი მწვრთნელის მოძებნა არცთუ იოლი საქმეა, მით უმეტეს, როდესაც „იუვეს" კალიბრის გუნდზე გვაქვს ლაპარაკი. ჟურნალისტთა ვარაუდით, ფერარა იანვარში თავის გადარჩენას ვერ მოახერხებს, მის ადგილზე კი დროებითი მწვრთნელი დაინიშნება, დროებითი, ანუ სეზონის ბოლომდე. რეალური კანდიდატი ამ ეტაპზე მხოლოდ ერთია: **პაველ ნედვედი**. ალბათ გაგიკვირდათ, მაგრამ სწორედ ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ აპენინელები. ჩეხმა კარიერა გასულ ზაფხულს დაასრულა და მას შემდეგ, უქმად გახლავთ. დღეს გაცხადდა, რომ თურმე პაველისთვის „იუვენტუსის" მესვეურებს ფერარას ასისტენტობა შეუთავაზებიათ. ნედვედს წინადადებაზე უარი უთქვამს, ასისტენტობას მირჩევნია ნაკლები ამბიციების მქონდე გუნდში ვიმუშაო, ოღონდ მთავარ მწვრთნელადო. თუმცა, ეს მხოლოდ შემდეგ სეზონში თუ მოხდება, რადგან ერთი წელი დასვენებას ვაპირებო. მას შემდეგ ერთი წელი არ გასულა, მაგრამ როდესაც „ბიანკონერის" მთავარი მწვრთნელის პოსტს გთავაზობენ, დიდია შანსი, გეგმები შეცვალო. ჯერჯერობით, ნედვედს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

იტალიური მედია გუშინ საღამომდე ირწმუნებოდა, რომ მომავალი სეზონიდან „იუვენტუსს" **მარჩელო ლიპი** ჩაუდგებოდა სათავეში. როგორც იცით, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მაესტრო პოსტის დატოვებას და საკლუბო ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს. ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან ლოგიკურად უნდა განვითარდეს და ზაფხულში ლიპიმ მშობლიური კლუბი ჩაიბაროს. თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად თავად ლიპიმ მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხა. აი, რა განაცხადა მარჩელომ:

*„მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „იუვენტუსში" დაბრუნებას ნამდვილად არ ვაპირებ. „ბიანკონერის" ჩემი გულის ნაწილი ეკუთვნის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ამ გუნდში მსურს მუშაობა. ხანდახან, ისე გადაჭრით ამბობენ, ლიპი „იუვეში" ბრუნდებაო, თავი ამ კლუბის მარიონეტი მგონია, რომელსაც როდესაც დასჭირდებათ, მაშინ იხმობენ. ძალიან ვწუხვარ თუ ჩემი სიტყვებით ვინმეს გულს ვტკენ, მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია. მუნდიალის შემდეგ გარკვეული დროით დასვენებას ვაპირებ, შემდეგ კი ვნახოთ - არც ის არის გამორიცხული, რომ სამწვრთნელო კარიერა დავასრულო. რაც შეეხება ფერარას, მისი მთავარ მწვრთნელად დანიშვნის გადაწყვეტილება „იუვეს" მესვეურებს მოვუწონე. ისიც აღვნიშნე, რომ კანავაროს და გროსოს გადაბირება მართებული ნაბიჯები იყო. დღესაც ვფიქრობ, რომ ტურინელებმა სატრანსფერო კამპანია კარგად წარმართეს, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა წარმატების მისაღწევად. ჩირო ძალიან ნიჭიერი სპეციალისტია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რამდენიმე ფატალური შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ მას უნდა აცალონ მუშაობა. საკმაოდ დიდი შესაძლებლობები აქვს და თუ დასცალდა, გამოავლენს კიდეც. რამდენიმე მისი იდეა ძალიან მომწონს და მინდა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ჯერჯერობით, საკუთარი თავის ბოლომდე არ სჯერა, რაც ახალგაზრდული ასაკის ბრალია. ამ პრობლემებს აუცილებლად გადალახავს და მისგან ჩინებული მწვრთნელი დადგება".*

**ლაშა ნიკლაური**

მოსალოდნელი დანიშვნა

# ძენგას ამერიკული შანსი



ვალტერ ძენგა

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამჯერად **მაურიციო ძამპარინის** გადაწყვეტილებამ გაამართლა - **დელიო რისიმ** „პალერმო" აშკარად გამოაცოცხლა, რაზეც ნათლად მეტყველებს მიჯრით მოგებული 3 მატჩი. **ვალტერ ძენგა** კი დროებით უმუშევარია და მთელ თავისუფალ დროს ოჯახთან ერთად ატარებს. გუშინ მას „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი შეეხმიანა და ჰკითხა, როდის აპირებს ფეხბურთში დაბრუნებას. აი, ძენგას პასუხიც:

*„სულ რამდენიმე კვირაა, რაც „პალერმო" დავტოვე და უკვე რამდენიმე შემოთავაზება მქონდა. ეს ძალიან მახარებს და მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ კლუბს, რომელიც ჩემით დაინტერესდა. თუმცა, ამ ეტაპზე დასვენებას და დროის ოჯახთან ერთად გატარებას ვამჯობინებ. როდესაც მითხრეს, დღეიდან „პალერმოს" თავკაცი აღარ ხარო, ძალიან განვიცადე. თუმცა, შემდეგ მივხვდი, რომ ეს ნებისმიერ მწვრთნელს შეიძლება დაემართოს. ისეთი დიდი სპეციალისტები გაუთავისუფლებიათ, როგორებიც ფაბიო კაპელო და მარჩელო ლიპი არიან. ამიტომ, ტრაგედიას არ ვქმნი და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ".*

როგორც ჩანს, ძენგას უმუშევრობა დიდხანს არ გასტანს. აი, რა ინფორმაცია გავრცელდა გუშინ - იტალიის ნაკრებისა და „ინტერის" ყოფილი მეკარე შეიძლება MLS-ში ნიუ იორკის „რედ ბულზს" ჩაუდგეს სათავეშიო. 21 აგვისტოს კოლუმბიელი **ხუან კარლოს ოსორიოს** გადადგომის შემდეგ „წითელ ხარებს" დროებით (?!) **რიჩი უილიამსი** ავარჯიშებს. ჰოდა, ახლა ფიქრობენ, სრულყოფილი კონტრაქტით რომელიმე ცნობილი სპეციალისტი [illegible] ... ძენგა თურმე მთავარ კანდიდატად მოიაზრება. ისიც გავიხსენოთ, რომ MLS ყოფილი მეკარისთვის უცხო ხილი არ არის - ვიდრე სერბეთში, რუმინეთში, თურქეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ბოლოს სამშობლოში იმუშავებდა, ძენგამ საწყისი სამწვრთნელო პრაქტიკა „ნიუ ინგლენდში" გაიარა...

მოკლედ, ვნახოთ, დაიწყება თუ არა ძენგას ახალი თავგადასავალი დასავლეთ ნახევარსფეროში...

**ლაშა ნიკლაური**

ამბები



ჯანი დე ბიაზი

# უდინეზე: მარინო დე ბიაზიმ შეცვალა

მორიგი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა იტალიის სერია A-ში. გუშინ საღამოდან მოყოლებული, **პასკუალე მარინო** „უდინეზეს" მთავარი მწვრთნელი აღარ არის. დიდხანს რომ ვერ გაძლებდა მარინო ფრიულური კლუბის სათავეში, ცხადი გახლდათ. მისი თავკაცობით გუნდმა ბოლო ექვსი თამაშიდან ხუთი წააგო და შედეგად, სატურნირო ცხრილში მეთოთხმეტე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. ეს ამბავი „ბიანკონერის" მესვეურებს და კერძოდ, პრეზიდენტ **ჯამპაოლო პოცოს** ძალიან არ მოეწონათ და მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს.

როგორც ტრადიციულად ხდება ხოლმე, მალევე გაცხადდა იმ სპეციალისტის გვარი, რომელიც მარინოს შეცვლის. დღეიდან უდინური კლუბის თავკაცი **ჯანი დე ბიაზი** იქნება. 53 წლის სპეციალისტმა თავის დროზე „ბრეშაში", „ტორინოში" და „ლევანტეში" მუშაობით დაგვამახსოვრა თავი. წელიწადზე მეტი ის უქმად იყო და გასაკვირი არ არის, რომ უდინეზელთა შეთავაზებას უყოყმანოდ დათანხმდა.

**ლაშა ნიკლაური**

# პანდევი ლაციოში ვეღარ ჩერდება



გორან პანდევი

სეზონი ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, როდესაც **გორან პანდევმა** „ლაციოდან" წასვლის სურვილი გამოთქვა. ამის თქმა იყო და მაკედონიელი ფორვარდი თვით კლუბის პრეზიდენტმა, **კლაუდიო ლოტიტომ** აითვალწუნა. სადაც უნდა, იქ წავიდესო, თქვა სენიორ ლოტიტომ, ოღონდ სანამ წავა, იქამდე დუბლებში ივარჯიშებსო. მას შემდეგ, გორანი მთავარი გუნდიდან მოკვეთილია და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ლოტიტო სულაც არ ჩქარობს ფეხბურთელის გაყიდვას. პრეზიდენტმა ადრეც არაერთხელ თქვა და ორიოდე დღის წინ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ თავდამსხმელის უფასოდ გაშვებას არ აპირებს:

*„პანდევს არ უწევს თამაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელი არ გახლავთ. ყველამ კარგად ვიცით თუ რა შეუძლია მაკედონიელს, ამიტომ, არ მესმის, რატომ უნდა დავუთმოთ იგი სხვა კლუბს უფასოდ. ფეხბურთელის გასხვისებას ხელოვნურად ნამდვილად არ ვაფერხებ, ეს არაფერში მჭირდება. ასეთი დონის მოთამაშეებს ოც მილიონ ევროზე ნაკლებს არ აფასებენ, ჩვენ კი მხოლოდ და მხოლოდ ათ მილიონს ვითხოვთ. გორანით „მილანი" და „ინტერი" არიან დაინტერესებულნი, ამ კლუბებს კი ნამდვილად შეუძლიათ ასეთი თანხის გადახდა„.*

თავად პანდევი კი თავს უბედურად გრძნობს და ერთი სული აქვს, როდის დააღწევს თავს ამ გაუგებრობას. ერთი პერიოდი რევერანსებიც კი უძღვნა „ლაციოს" და კლუბს სიყვარულში გამოუტყდა, აქაოდა იქნებ მთავარ გუნდში დამაბრუნონო - მაგრამ, როდესაც პასუხად ცივი უარი მიიღო, კიდევ ერთხელ გამოააშკარავა რეალური წადილი:

*„სიმართლე გითხრათ, ერთი სული მაქვს როდის დავტოვებ „ლაციოს". კლუბის პრეზიდენტმა გუნდში მისვლის დღიდან ამითვალწუნა და ასე გრძელდება დღემდე. ოთხ თვეზე მეტია, რაც ინდივიდუალური პროგრამით ვვარჯიშობ. ჩემით მიწევს ფორმის შენარჩუნება და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. იმედია, მალე დასრულდება ეს კოშმარი და სხვა ნავსაყუდელს ამ ზამთარსვე მოვძებნი".*

**ლაშა ნიკლაური**

# ვინ არის გოლასა?

გუშინ, გერმანულმა საინფორმაციო საშუალებებმა ერთხმად გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ მიუნხენის „ბაიერნს" ჰაიფას „მაქაბის" ტალანტის, 18 წლის **ეიალ გოლასას** გადაბირება უნდა. აღსანიშნავია, რომ „მაქაბი" ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფში „ბაიერნთან" ერთად იყო და როგორც ირკვევა, მიუნხენელთა მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** ახალგაზრდა ფეხბურთელი სწორედ „ბაიერნისა" და „მაქაბის" მატჩებში მოეწონა.

„ბილდი" ირწმუნება, რომ მიუნხენელებს ტრანსფერის გაჩარხვა ახლავე, იანვარში სურთ, მაგრამ ფეხბურთელს მხოლოდ ზაფხულიდან აიყვანენ. გოლასას „მაქაბისთან" კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ უმთავრდება და მიუხედავად ამისა, ბავარიელებს გოლასაში ერთი მილიონი ევროს გადახდა სურთ. ეს იმისათვის, რომ ტრანსფერი ახლავე გადაწყდეს. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მოიძიეს. კერძოდ, გოლასას ისრაელიდან წასვლა უნდა, თანაც ძალიან, რადგან თუ დარჩება, ზაფხულიდან სამხედრო სამსახურში გაიწვევენ. „ბილდის" ინფორმაციით, გოლასას გადაბირებით „ჰოფენჰაიმი" და დორტმუნდის „ბორუსიაც" არიან დაინტერესებულები.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკანდალი

# ახალი მტკიცებულებები და ცოცხალი მოწმე

## ...მაგრამ მსაჯი უარყოფს. ექვმიტანილია მეორე ბუნდესლიგის ლაინსმენი

გერმანულ პრესაში გუშინ გავრცელებულმა ინფორმაციამ ყველას რობერტ ჰოიცერი და მის გარშემო ატეხილი სკანდალი გაახსენა, რასაც თავის დროზე ახალგაზრდა მსაჯის გასამართლება და დაპატიმრება მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ეჭვი ახალგაზრდა მსაჯ **ჩეთინ სევინჩზე** მიიტანა, რომელიც 27 წლისაა, წარმოშობით ნორდ-რაინ-ვესტფალენიდან გახლავთ და მეორე ბუნდესლიგაში ლაინსმენობს ხოლმე.

*„რაც უნდა სამწუხარო იყოს, კვლავ გაგვიჩნდა ეჭვი მსაჯზე, რომელიც ხანდახან მეორე ბუნდესლიგის მატჩებშია დასაქმებული. 3 დღეა, რაც მის წინააღმდეგ რამდენიმე მტკიცებულება გვაქვს და საქმე უკვე გადავეცით ბოხუმის პროკურატურას, რომელიც ზოგადად მანიპულაციების სკანდალს იძიებს. ხელთ გვაქვს რამდენიმე ისეთი მტკიცებულება, რომ ვალდებულები ვიყავით, ყველაფერი ბოხუმის პროკურატურისთვის გვეცნობებინა,“* - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**.

ეჭვი, პირველ რიგში, ორი კვირის წინ გამართულმა შეხვედრამ აღძრა, რომელშიც ერთმანეთს „ობერჰაუზენი“ და „მიუნხენ 1860“ ხვდებოდნენ და რომელიც მიუნხენურმა კლუბმა 1:0 მოიგო. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი დაწყებამდე უკვე ეჭვქვეშ იყო, რადგან აზიურ ტოტალიზატორებში ამ შეხვედრაზე მილიონები დადეს, მაგრამ ეჭვი არ დადასტურდა - მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბედი ობერჰაუზენელი ფეხბურთელის უაზრო ავტოგოლმა გადაწყვიტა. რაც შეეხება სევინჩს - ეს უკანასკნელი ხსენებულ შეხვედრაშიც მთავარი მსაჯის ასისტენტი, ლაინსმენი გახლდათ.

„ბილდის“ ინფორმაციით, ხსენებული ლაინსმენის „საქმიანობებზე“ ერთმა მოწმემ გულახდილად ილაპარაკა და სწორედ ეს არის მთავარი მტკიცებულება, რაზეც ცვანციგერი თავის კომენტარში აღნიშნავდა. „ბილდმა“ გაარკვია, რომ მოწმეს ჰქონდა საუბარი სევინჩთან, რომელმაც მას ე.წ. „ცოცხალზე“ ფულის დადება ურჩია და კერძოდ იმ მატჩებში, სადაც თვითონ ლაინსმენი იყო დასაქმებული. ლაინსმენს უთქვამს, შეგიძლია ფული დადო ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა დამატებული დრო, აუტები, კუთხურები და ყვითელი ბარათებიო.

ცვანციგერი: *„ჩვენ ყველანი იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მსაჯი უდანაშაულოა, მაგრამ თუ ეჭვი დადასტურდება, მაშინ არბიტრი თავის საქმიანობას უნდა დაემშვიდობოს და საკადრისად დაისაჯოს.“*

ჩვენი გერმანელი კოლეგები, რა თქმა უნდა, თვითონ ჩეთინ სევინჩსაც დაუკავშირდნენ, რომელმაც, ცხადია, ბრალდებები უარყო.



ლაინსმენი ჩეთინ სევინჩი ობერჰაუზენისა და მიუნხენ 1860-ის მატჩის დროს

ლაინსმენი: *„ეს ყველაფერი აბსურდი და სისულელეა. ცუდი არაფერი გამიკეთებია, რასაც გამოძიება მალე დაადასტურებს.“*

ფაქტი ის არის, რომ სევინჩმა ამ უქმეებზე, „ფიურტისა“ და „დიუსელდორფის“ შეხვედრაში (2:1) გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან ძალიან ცუდი შეფასება, 7.9 ბალი მიიღო - ჩათვალა გოლი, რომელიც აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა. ლაინსმენი: *„თუ ამის გამო მადანაშაულებენ, მაშინ მე ვიტყვი, რომ მსაჯები იმდენ ასეთ შეცდომას უშვებენ ხოლმე, რომ ყველა არბიტრი მანიპულაციებში ეჭვმიტანილი უნდა იყოს. უშეცდომო არავინაა.“*

ცხადია, ასე, ოღონდ მანამდე, სანამ სამე „გულახდილ“ შეცდომას ეხება...



მიროსლავ კლოზეს ცუდი დროება უდგას

თავდამსხმელი კრიზისში

# რაო, მირო, ვერაო?

## არც ერთი გოლი პირველ წრეში, კლოზეს სალტოები დაუძველდა

**იყო** დრო, როცა **მიროსლავ კლოზე** გერმანიის ნომერ პირველ გოლეადორად მიიჩნეოდა და უამრავი გოლი გაჰქონდა როგორც საკლუბო, ისე, სანაკრებო დონეზეც. დღეს კი, 31 წლის თავდამსხმელს, რბილად რომ ვთქვათ, კრიზისი აქვს. თვითონ განსაჯეთ: მირომ ბუნდესლიგაში უკანასკნელი გოლი 7 მარტს (!), „ჰანოვერთან“ შეხვედრაში გაიტანა, რომელიც მიუნხელებმა 5:1 მოიგეს. მას მერე მიროს ერთხელაც არ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე ბუნდესლიგაში - მიმდინარე სეზონის პირველი წრის შემდეგ, მის აქტივში ნული გოლია!

აქამდე, კლოზეს ყველაზე უარესი მაჩვენებელი 2002/2003 წლების სეზონში ჰქონდა, როცა ის „კაიზერსლაუტერნის“ ღირსებას იცავდა. მაშინ მან პირველ წრეში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა, თუმცა მეორე წრეში ექვსი მიამატა და საბოლოოდ 9 გოლი დაუგროვდა, რაც თავდამსხმელისთვის დამაკმაყოფილებელ შედეგად უნდა ჩაითვალოს. წელს კი, როცა წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და გერმანელები კლოზეზე დიდ იმედებს ამყარებენ, მიროს საშინელი მაჩვენებელი აქვს. სეზონის პირველ ნახევარში მან მხოლოდ გერმანიის თასზე გაიტანა გოლები, ისიც მხოლოდ ორი და თანაც, მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ „ფრანკფურტის“ კარში. მოკლედ, კლოზე კრიზისშია!

*„ვინც მიცნობს, დარწმუნებული იქნება იმაში, რომ მეორე წრეში გოლების გატანას აუცილებლად დავიწყებ. ვიცი, რომ დიდი ხანია, გოლი არ გამიტანია და რომ ეს თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდია, მაგრამ დამიჯერეთ, მე დავბრუნდები,“* - ამბობს კლოზე, მაგრამ შეუძლია კი მას ამის გაკეთება?

პერსპექტივაში, ცხადია, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა**, როგორც იქნა, მიაგნო იდეალურ ძირითად შემადგენლობას - ოღონდ, კლოზეს გარეშე! მირომ პირველ წრეში მხოლოდ 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან პირველიდან ბოლო წუთამდე მხოლოდ ერთხელ ითამაშა (შვიდჯერ შეცვალეს და სამჯერ შევიდა მოედანზე). პირველი წრის ბოლო ტურში, „ჰერტასთან“ (5:2), ვან გაალმა კლოზე თამაშში მხოლოდ მე-80 წუთიდან ჩართო - იმ დროს, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

აღსანიშნავია, რომ მიუნხენურ კლუბს „ჰამბურგმა“ მიმართა და კლოზეს ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკებების წამოწყება შესთავაზა, მაგრამ რეკორდმაისტერმა უარი შეუთვალა, რითაც ირკვევა, რომ **ლუკა ტონისგან** განსხვავებით, ბავარიელებს კლოზეს შენარჩუნება სურთ (იტალიელს კი სიამოვნებით გამოეთხოვებიან). *„გომესი, კლოზე და ოლიჩი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მშვიდად ვიყოთ. ტონის შეუძლია წავიდეს, მაგრამ მეტს ვერავის გავყიდით,“* - ამბობს კლუბის პრეზიდენტი **ული ჰიონესი**.

ფაქტია ისიც, რომ მიროს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ აკმაყოფილებს. არადა, **მარიო გომესი** და **ივიცა ოლიჩი** ძალიან კარგად გამოიყურებიან და დღევანდელი გადასახედიდან, კლოზეს რომელიმე მათგანის სასტარტო შემადგენლობიდან ამოგდების შანსი არ აქვს.

რა არის კლოზეს კრიზისის მიზეზი? სეზონის დასაწყისში მას ჯერ მუხლის, მერე კი მხრის ტრავმა აწუხებდა. ცოტა ხნის წინ კი მის ბავშვებს ე.წ. „ღორის გრიპი“ ჰქონდათ, რის გამოც კლოზეც კარანტინში მოხვდა. ფაქტია, რომ როცა მწყობრში იყო, ვერც მაშინ ახერხებდა ვან გაალის „გაოცებას“ და თუ ასე გაგრძელდა, დიდი შანსია, რომ მან გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგოს ადგილი. მიროს კოლეგა გომესი კარგ ფორმაშია (8 გოლი ბუნდესლიგაში), ბომბარდირთა დავას კი სათავეში „ლევერკუზენის“ ფორვარდი **შტეფან კისლინგი** უდგას. და რატომ უნდა ათამაშოს ბუნდესგუნდის თავკაცმა იოახიმ ლიოვმა ძირითად შემადგენლობაში კლოზე, როცა ჰყავს გომესი და კისლინგი?

*„მჯერა, რომ კლოზე ფორმას აღიდგენს. სიმართლე გითხრათ, მის გამო არ ვნერვიულობ,“* - ეს ლიოვის სიტყვებია. ჰო, ლიოვი ცნობილია იმით, რომ კრიზისში მყოფ ფეხბურთელებსაც ათამაშებს ხოლმე, რადგან ბუნდესმწვრთნელი გამოცდილ კადრებს უფრო ენდობა. ფაქტია ისიც, რომ კლოზეს ლიოვის ნდობა არაერთხელ გაუმართლებია. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მან 8 თამაშში 7 გოლის გატანა შეძლო. საინტერესოა, როდის გაიტანს „ბაიერნისთვის“...

გმირი

# ლარს რიკენი: ასე გავიტანე საუკუნის გოლი

**ჩვენმა** გერმანელმა კოლეგებმა 33 წლის **ლარს რიკენი** „ბორუსიას“ დაბადების დღეზე მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ დააბრუნეს. ეს ის არენაა, სადაც მან კლუბის ისტორია შეცვალა. 1997 წლის 28 მაისს რიკენმა (მაშინ 20 წლის იყო) ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტურინის „იუვენტუსს“ გაუტანა გოლი, რომელმაც „ბორუსიას“ ევროპის უმაღლესი საკლუბო ტიტული მოაგებინა. რიკენმა ეს თამაშში ჩართვიდან 11 წამის შემდეგ, 70-ე წუთზე გააკეთა: გაიტანა ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი გოლი 30 მეტრიდან.

მაშ ასე: რიკენი ზუსტად იმ ადგილზე დგას, საიდანაც დარტყმა განახორციელა და რა თქმა უნდა, თვალები უბრწყინავს.

*„სიმართლე გითხრათ, საკმაოდ გაბრაზებული გახლდით იმის გამო, რომ ძალიან ლიდხანს ვხეხე სათადარიგოთა სკამი. რაც უნდა იყოს, ფინალში გასვლა ჩემი დამსახურებაც იყო, რადგან მანამდე „ოსერს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გავუტანე. მართალია, წინალამეს ჰიტცფელდი დამიჯდა და ამიხსნა, რატომ არ მამწესებდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მე მაინც ნაწყენი ვიყავი. ჯოკერის როლი არ მაკმაყოფილებდა,“* - იხსენებს ლარსი.

როდესაც **ოტმარ ჰიტცფელდმა** რიკენი მოედანზე შეუშვა (სტეფან შაპუიზას ნაცვლად) მოხდა დაუჯერებელი რამ: ლარსმა ბურთთან პირველივე კონტაქტი ულამაზესი გოლით დააგვირგვინა! სწორედ ამ გოლის დამსახურებაა ის, რომ რიკენი „დორტმუნდის“ ფანებისთვის ყველა დროის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია.

რიკენი: *„სანამ სკამზე ვიჯექი, დიდხანს ვფიქრობდი, რას გავაკეთებდი, როცა ჰიტცფელდი მოედანზე შემიშვებდა. არ დაიჯერებთ და ჰაიკო ჰერლიხს ვეუბნებოდი, დააკვირდი, ანჯელო პერუცი („იუვეს“ მეკარე) კარიდან საკმაოდ მოშორებით დგას-მეთქი. შესაბამისად, გადავწყვიტე, რომ როცა ბურთს მივიღებდი, სადაც უნდა ვმდგარიყავი, ეგრევე კარისკენ დამერტყა. ეს ბავშვური ახირება გამოვიდა, მაგრამ როგორც ხედავთ, შედეგი გამოიღო. სასწაულია ის, რომ ბურთთან პირველივე შეხება გოლით დავაგვირგვინე. სხვა დროს, ათიდან ცხრას ავაცილებდი, „იუვესთან“ კი ყველაფერი იდეალურად მოხდა.“*

რიკენს ამ გოლს დღემდე ახსენებენ ხოლმე. გამორიცხულია, რომ ლარსი შეხვდეს „ბორუსიას“ ფანს და ამ უკანასკნელმა „იუვენტუსის“ კარში გატანილი გოლი არ გაახსენოს. მაგრამ საუკუნის გოლის ავტორს ამ თემაზე ლაპარაკი დღემდე არ მობეზრებია: *„ამ გოლზე ლაპარაკი ყოველთვის მსიამოვნებს. მიხარია, რომ გავხდი ავტორი გოლისა, რომელიც „დორტმუნდის“ ქომაგებს არასდროს დაავიწყდებათ.“*

რიკენის გოლი მესამე იყო, პირველი ორი გოლი კი „იუვენტუსს“ **კარლ-ჰაინც რიდლემ** გაუტანა. მიუხედავად ამისა, ისტორიას რიკენის ერთი გოლი უფრო შემორჩა, ვიდრე რიდლეს დუბლი. *„ვაღიარებ, რომ ცოტათი მრცხვენია ამის გამო. რაც უნდა იყოს, ფინალში კალე რიდლემ დუბლი შეასრულა,“* - ამბობს რიკენი.



საუკუნის გოლი. ლარს რიკენის საგოლე დარტყმა 30 მეტრიდან. მარჯვნივ იუვეს მცველი პაოლო მონტერო

საინტერესო ის არის, რომ რიკენს თავისი გოლი სულ რამდენჯერმე აქვს ნანახი: *„ნამდვილად არ მჭირდება ის, რომ ამ გოლს ყოველდღე ვუყურო. ათასში ერთხელ, ისიც შემთხვევით თუ ვნახავ ხოლმე.“*

სამაგიეროდ, მას ახლა უკვე სახლში აქვს ის ბუცები („ნაიკის“ ფირმის), რაც ფინალში ეცვა. რიკენი: *„კლუბის მუზეუმში ჰქონდათ, მაგრამ ვთხოვე და დამითმეს. ბუცები ახლა ჩემს მშობლებს აქვთ, სახლში.“*

დაბოლოს: *„საბედნიეროდ, კალე რიდლეს ერთხელაც არ დასცდენია საყვედური იმის გამო, რომ 1997 წლის ფინალის გმირად მე შემრაცხეს და არა ის.“*

ლარს რიკენმა დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა, მაგრამ ბოლომდე „დორტმუნდის“ ერთგულად დარჩა. მაშინაც კი, როცა 32 წლის რიკენი „ბორუსიას“ ალაგაფერში სჭირდებოდა და შეფებმა უთხრეს, რომ პირველ გუნდში ველარასოდეს ითამაშებდა, მან უარი თქვა რომელიმე სხვა გუნდში გადასვლაზე (არადა, მთხოვნელი ბევრი ჰყავდა) და „ბორუსიას“ მოყვარულთა გუნდში, ჯერ რეგიონალლიგაში, მერე კი მესამე ბუნდესლიგაში განაგრძო თამაში...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

პრობლემა



# შეპირებული ბინები ჰაერში და ქაღალდზე

სამწუხაროდ, ბინებით ოლიმპიელთა უზრუნველყოფის საკითხი ისევ წამოტივტივდა. შეგახსენებთ, ლაპარაკია პეკინის ოლიმპიადის მედალოსნებზე, სულ ექვს სპორტსმენზე, რომლებსაც ოლიმპიადის შემდეგ სხვადასხვა სამშენებლო კომპანიამ ბინები აღუთქვა. ეს საკითხი აქტუალური ამ ერთი კვირის წინ გახდა, როცა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე **გიორგი გოგშელიძესთან** დაკავშირებით ახსენეს. რაღა მისთვის ბინის გამოყოფა და რაღა „ქრისტეს პერანგის კერვა" - მას რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ჰპირდებიან ბინას, მაგრამ დღემდე უშედეგოდ. მას შემდეგ, რაც ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაოსთვის უკვე ახალ ბინას შეჰპირდნენ, იმ ძველზე ხელიც ჩაიქნია, ახლა კი ისე გამოდის, ახალ დაპირებასაც ამაოდ ელოდება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც.

ამ უსიამოვნო ისტორიის შეტყობის შემდეგ სხვა მედალოსანთა ამბითაც დავინტერესდით და სახარბიელო ვერაფერი გავიგეთ - ეკონომიკური კრიზისის გამო ყველა ამაოდ ელოდება შეპირებულ საჩუქარს, ზოგმა კი იმედი საერთოდ გადაიწურა. არადა, კრიზისი მართლაც გასათვალისწინებელია და სამშენებლო კომპანიებისაც გვესმის - განა რა ასეთი მდიდრები ესენი არიან, როცა კრიზისმა მსოფლიო ბიზნესის გიგანტები შეიწირა, მაგრამ საყოველთაო მდგომარეობას წმინდა ქართული ვარიანტიც ემატება, რასაც სანქცირებული რეკეტიც შეიძლება ვუწოდოთ, რაც ქართულ ბიზნესს კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აგდებს.

ოლიმპიელთა შემთხვევაში ლაპარაკია „ოლიმპიურ ვარსკვლავსა" და „აქსისზე". ძირითადად სწორედ ისინი ჩუქნიდნენ ოლიმპიელებს ბინებს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს ბინები ან მშენებარე იყო, ან მხოლოდ პროექტში. ქაღალდზე არსებული ბინების მშენებლობა ძირითადად 2010 წელს უნდა დასრულებულიყო, ზოგიერთისა კი 2011-ში. ვისაც დავუკავშირდით, იმათგან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში **ირაკლი ცირეკიძეა**, ოღონდ ისიც „სასკოს" და არა ამ ფირმების გამო. ყოველ შემთხვევაში, ის კორპუსი, რომელშიც ოლიმპიური ჩემპიონი ბინას ელოდება, ფიზიკურად მაინც დგას. მართალია, ეგრეთ წოდებული „შავი ჩონჩხის" დასრულებამდე ჯერ კიდევ გარკვეული დროა, მაგრამ სხვების ფონზე ესეც დიდი პროგრესია. აი, ზემოხსენებული სამშენებლო კომპანიების დაპირება კი როდის ასრულდება, ამის თქმა ძნელია. ეს ორი კომპანია შეჰპირდა ბინას მეორე ოლიმპიურ ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილსაც**, თუმცა სასიკეთო ჯერ არც აქაა რამე. მინდორაშვილის თქმით, ის არც შეხმიანებია ფირმების ხელმძღვანელობას, მაგრამ იცის, რომ კორპუსები ჯერ დაწყებულიც არაა. მინდორაშვილი უთქმელი და მორიდებული კაცია, წუწუნი არ ახასიათებს. მას არც ამჯერად დაუჩივლია, მაგრამ ის კი თქვა, არ მინდოდა ორი, ერთი ყოფილიყო და ნაღდიო. შეპირებული საჩუქარი არც საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონს **ნინო სალუქვაძეს** მოუკითხავს, თუმცა ჯერ არც მას შეხმიანებია ვინმე. ჩვენი ინფორმაციით, კრიზისის გამო დათქმულ ვადებში ვერც ის მიიღებს ბინას „არტიქსისგან". აქვე შეგახსენებთ, რომ ნინომ ეს დაპირებაც კი ძალზე კურიოზულ ვითარებაში მიიღო - ოლიმპიადის შემდეგ იმ ექვსეულიდან მხოლოდ ეს „გამორჩათ" და ლაფსუსის გამოსწორება მოგვიანებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** ითავა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ - სამშენებლო კომპანიებისაც გვესმის, მაგრამ სპორტსმენთა გულისტკივილიც გასაგებია. დაგვეთანხმებით, ეს შეპირება რომ არა, იქნებ თავისი პრემიებითაც იყიდდნენ ბინებს, ახლა კი... იმედია, კრიზისიც გადაივლის და პრობლემაც მოგვარდება.

**ირაკლი თავაძე**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ როლანდ ჩაჩავას **დედის** გარდაცვალების გამო.

თავისუფალი ჭიდაობა

ზღურბლთან

# რევაზ მინდორაშვილი სამკურნალოდ გერმანიაში

ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **რევაზ მინდორაშვილი** (84) აქამდე ტურნირებში არ გამოდიოდა, თორემ ყოველდღე ჩვეულებრივად ვარჯიშობდა, ახლა კი ამასაც ვერ ახერხებს. ბოლო ხანებში ფერდის ტკივილებმა შეაწუხა და ნაახალწლევს გერმანიაში აპირებს წასვლას სამკურნალოდ.

მინდორაშვილი ეროვნულ ნაკრებს ცოტათი კი ჩამოშორდა, მაგრამ სპორტიდან წასვლა ჯერ არ გადაუწყვეტია. ფიქრობდა, ოლიმპიადამდე 1-2 წელიწადი აქტიური სპორტისგან, ანუ ტურნირებში გამოსვლისგან თავი შეეკავებინა, შეჯიბრებებს მხოლოდ ოლიმპიადის წინ დაბრუნებოდა და თუ დარწმუნდებოდა, რომ ლონდონში კვალავაც მაღალი მიზნებისთვის შეძლებდა ბრძოლას, იქ მოხვედრაზეც ამის შემდეგ ეზრუნა. გაისად აპირებდა დაბრუნებოდა ხალიჩას, მაგრამ თავი ავადმყოფობამ შეახსენა. სავარაუდოდ, ძველმა ტრავმამ. გარკვეული გამოკვლევები აქაც ჩაიტარა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გერმანიაში ამჯობინა წასვლა. იქ ძველ მეგობართან და მეტოქესთან - **დავით ბიჩინაშვილთან** მიდის, რომელიც ჯერ უკრაინის სახელით გამოდიოდა, რამდენიმე წელიწადია კი გერმანიაში ცხოვრობს და იმათ ღირსებას იცავს. მინდორაშვილს საფუძვლიანი გამოკვლევების ჩატარება სურს და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვეტს, გააგრძელოს თუ დაასრულოს სპორტული კარიერა - ეს ექიმთა განაჩენზეა დამოკიდებული. *„ჭიდაობა იმდენად მომენატრა, დარბაზში მისული ვითრგუნები და მერე ვფიქრობ, ნეტავ, არ მოვსულიყავი-მეთქი. სპორტიდან წასვლის გადაწყვეტილება გადაჭრით რომ მიმეღო, ამას კიდეც შევეგუებოდი და არც გული დამწყდებოდა, ახლა კი თან მენატრება, თან კარიერის გაგრძელებაზე, სპორტში დაბრუნებაზე ვფიქრობ და რომ ვერ ვახერხებ, გული ორმაგად მწყდება"* - გვითხრა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა. იმედია, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება და ის მართლაც დაბრუნდება, მაგრამ ერთ უცნაურობაზე გვინდა ყურადღების გამახვილება - მინდორაშვილი გერმანიაში სამკურნალოდ საკუთარი ხარჯებით მიდის. მართალია, თხოვნით არც არავინ შეუწუხებია, მაგრამ ფედერაციისგან არც საკუთარი ინიციატივით დახმარებაა დანაშაული. მით უფრო, ის ჯერ კიდევ მოქმედი სპორტსმენია და ნაკრებს კვლავაც სჭირდება.

**ირაკლი თავაძე**



რევაზ მინდორაშვილი

ქართული ჭიდაობა

# ფალავანი




ადამ ოქრუაშვილი

ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ამას წინათ წლის დამაგვირგვინებელი შეჯიბრება - ფალავნობა გაიმართა. პირველობისთვის ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები იბრძოდნენ. განსაკუთრებით ისახელა თავი ძიუდოისტმა **ადამ ოქრუაშვილმა**, რომელსაც პირველ იანვარს 21 წელი შეუსრულდება. ნახევარფინალში მან ორმეტრიან გიგანტს **ზვიად ხანჯალიაშვილს** აჯობა, ფინალში კი საქართველოს რვაგზის ფალავანი **ალექსი დავითაშვილი** გამოიჭირა კონტრილეთით და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

- ფალავნობის მოპოვებამ ძალიან გამახარა, - მითხრა ადამ ოქრუაშვილმა. - ბევრჯერ მიოცნებია, მაგრამ სურვილი დღემდე რეალობად ვერ ვაქციე. საერთოდ, ტატამზე მიღწეულ წარმატებებს ქართულ ჭიდაობას ვუმადლი, ამიტომ, სადაც კი ხელი მიმინვდება, ნახერხმოყრილ სარბიელზე შეჯიბრებებს არ ვაცდენ. მახსოვს, პირველად წილკანში ღვთისმშობლობაზე რომ გავიმარჯვე, ჭედილათი დამაჯილდოვეს. ერთხელაც, შაბათს კახეთში რომ ვიჭიდავე, იმავე საღამოს მამასთან ერთად სენაკში გავემგზავრე და კვირას ნესტორ ესებუას მემორიალში ვიასპარეზე. წლეულსაც ბევრ ტურნირში მივიღე მონაწილეობა. დიდი მადლობა ბატონ უშანგი ყურაშვილს, რომელმაც ქართული ჭიდაობა პრიორიტეტულ სახეობად აქცია.

- **ნახერხმოყრილ სარბიელზე ალექსი დავითაშვილს უწინ თუ შეხვედრიხარ?**

- როგორ არა. ერთხელ 2004 წელს წავაგე მასთან, მეორედ წლეულს ბადიაურში დავმარცხდი. ახლა კი ძალიან მოვინდომე და ოცნებაც ავიხდინე...

*ადამ ოქრუაშვილმა ძიუდოში ვარჯიში 15 წლისამ დაიწყო ბიძინა მოხევიშვილის ხელმძღვანელობით. კადეტებში საქართველოს ჩემპიონმა თანატოლებში 2004 წელს ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს ოცწლიანთა კონტინენტის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ხვდა. 2006 წელს როტერდამის საერთაშორისო ტურნირზე ყველას აჯობა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატსა და კონტინენტის აბსოლუტურ პირველობაზე მესამე ადგილები ერგო. 2007-2008 წლებში თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებზე ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდა.*

- 2006 წელს ჰოლანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშებაზე პირველად ვიჭიდავე უფროსებში. სტარტზე გერმანელი ფინცელბერგი დავამარცხე, მერე უნგრელ ბარნა ბორსა და რუს ბრიანოვს ვძლიე, ფინალში უნგრელ ზოლტან ქიშმადიარს მოვუგე და უცხოეთში ჩემი გამარჯვების აღსანიშნავად პირველად აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

ჭიდაობა ოჯახური ტრადიციით მომდგამს. მამაჩემი - დიმიტრი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში. 1981 წელს კი ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა: ნახევარფინალში გერმანელ ევროპის ჩემპიონს შტორს აჯობა, ფინალი კი სახელოვან გრიგორი ვერიჩევთან დათმო. წინა წელს იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ საიტოსაც შეხვედრია. ცუდად არ გამიგოთ და სულ იმის ცდაში ვიყავი, მამის შედეგი გამეუმჯობესებინა. წლეულს 25 იანვარს მიზანსაც მივაღწიე - თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშება მოვიგე - ფინალში ლაშა გუჯეჯიანი დავამარცხე. ძალიან მინდოდა, ევროპის ჩემპიონატზეც მომეპოვებინა რომელიმე სინჯის მედალი. თბილისის სპორტის სასახლეში შეჯიბრებაც კარგად დავიწყე. საბოლოოდ მხოლოდ მეშვიდე ადგილი მერგო. ოქტომბერში ბაქოს მსოფლიოს თასზე მესამე ვიყავი, ეროვნულ ჩემპიონატზეც ბრინჯაოს მედალი დავიმსახურე. ტოკიოში ძიგორო კანოს მემორიალში მეხუთე ადგილი დავიკავე. სეზონი ფალავნობით დავაგვირგვინე, ამიტომ კმაყოფილი ვარ.

- **ჭიდაობის გარდა, რა გიტაცებს?**

- მუსიკა, კალათბურთი. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ტელევიზორში NBA-ს თამაშებს ვუყურებ. ვქომაგობ მორაგბეებს. საქართველოს ნაკრებში ერთი ჩემი მეგობარიც თამაშობს და ძალიან მიხარია, ბორჯღალოსნებმა ევროპის ერთა თასი რომ მოიგეს.

მოცალეობის ჟამს ლექსებსაც ვკითხულობ. განსაკუთრებით ვაჟაფშაველას პოეზია მიყვარს. ჩემს მოკრძალებულ ჯილდოებს შორის დიდი მგოსნის სურათს საპატიო ადგილი უკავია.

- **აღნაგობაზე გეტყობა, რომ მადიანი ჭამა გიყვარს...**

- როგორც მთიული, ხინკალს გვერდს ვერ ავუვლი. საერთოდ კი, არც ერთ ქართულ კერძზე უარს არ ვამბობ, ამიტომაც ამ ბოლო დროს ზომაზე მეტად გავსუქდი, მაგრამ ახლა ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე ვეცდები „ფორმაში" ჩავდგე.

- **ცხოვრებაში ყველაზე მეტად გული რამ დაგწყვიტა?**

- რამდენიმე წლის წინათ დედა გარდამეცვალა. ეს ტრაგედია სიცოცხლის ბოლომდე მოუშეშებელ იარად გამყვება. ბავშვობიდანვე დედის რამდენიმე ლერ თმას ვინახავ თილისმად. ვგრძნობ, რომ შეჯიბრებებზე მისი უხილავი ძალა მეხმარება.

- **სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

- 2010 წლის სეზონს თბილისის საერთაშორისო ტურნირით დავიწყებ. ვეცდები, წლევანდელი მიღწევა გავიმეორო და ეროვნულ ნაკრებში ადგილი დავიბევო, თუმცა საკმაოდ ძლიერი კონკურენტები მყავს - ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი. ჩემი მიზანია, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში ვიასპარეზო და საამისოდ არაფერს დავიშურებ.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კალათბურთი

# ჩიკვილაძის დებიუტი ალბასეტეში: 31 ქულა და გაძევება



ბექა ჩიკვილაძე

**ბოლო** დროს ესპანეთიდან კარგი ამბები ისმის: ტაირონ ელისი თამაშს თამაშზე იგებს, ნიკა ცქიტიშვილმა „ფუენლაბრადას" მაისურით ამ სეზონში ჩატარებულ მეორე მატჩში 19 ქულა ჩააგდო, თორნიკე შენგელიამ ევროთასზე პირველი მატჩი ჩაატარა...

ამ ამბების ერთგვარი გაგრძელება ბექა ჩიკვილაძის „ალბასეტეში" გადასვლაა. იგი სეზონის დასაწყისში „სოხუმის" ღირსებას იცავდა. ერთი კვირის წინ ესპანეთში გაფრინდა, „ალბასეტეში" ჩაირიცხა და კვირას სადებიუტო მატჩშიც ითამაშა.

- „დაიმიელთან" სტუმრად ვითამაშეთ და დიდი სხვაობით გავიმარჯვეთ - 104:63. 32 წუთში 31 ქულა ჩავაგდე. თავიდანვე კარგად ჩავერთე და პირველი ტაიმის შემდეგ 20 ქულა მქონდა.

**- ეფექტურად დაგიწყია...**

- იყო ეპიზოდი, რამაც განწყობაზე უარყოფითად იმოქმედა: 35-ე წუთზე მოედნიდან გამაძევეს.

**- რატომ?**

- მეტოქის ფარქვეშ ერთხელ შევედი, მოწინააღმდეგემ ხელი მკრა, ეს მეორედ, მესამედ განმეორდა და მეოთხედ მივუბრუნდი: რას შვრები-მეთქი. შელაპარაკების შედეგად ორივე გაგვაძევეს.

**- მომდევნო მატჩში არ ითამაშებ?**

- კლუბის უფროსობაც სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას ელის. წესით, მომდევნო შეხვედრა არ უნდა გამომატოვებინონ.

**- რომელ პოზიციაზე გათამაშეს?**

- მეორე-მესამე ნომრად. ფლანგზე ვიყავი.

**- გუნდში არსებული სიტუაციით და ვარჯიშებით კმაყოფილი ხარ?**

- დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. სერიოზული დატვირთვა გვაქვს. მხოლოდ შაბათ-კვირას ვისვენებთ, უქმეებზე მატჩებს ვმართავთ. გუნდში, უფროსობიდან დაწყებული, კალათბურთელებით დამთავრებული, ყველა თბილად შემხვდა. კარგი ხალხია...

**- ახლა გავარკვიოთ, „1 ნაციონალი" როგორი ლიგაა.**

- პროფესიონალურია. შარშან ესპანეთში იყო „ლებ ბრინჯაო", რომელიც ამ სეზონში „1 ნაციონალად" გადაკეთდა. ამ ლიგის ნახევარფინალში გასული ება-ს წარმომადგენელს ხვდება და თუ წააგო, მომავალ სეზონში ება-ში ითამაშებს, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში „ლებ-ვერცხლში" გადავა.

**- ნახევარფინალში გასვლის რა შანსი გაქვთ?**

- ძლიერი გუნდი გვყავს, 10 მოგებით (2 წაგება) სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე ვართ. თუ ასე გავაგრძელეთ, ნახევარფინალში უნდა გავიდეთ.

**- ესპანეთში მოთამაშე სხვა ქართველები ხომ არ გინახავს?**

- თორნიკე შენგელიას და გიორგი შარაბიძეს ვეწვიე. ორი დღე ერთად ვიყავით. ალბასეტე ვალენსიასთან ახლოს მდებარეობს. სხვათა შორის, ბოლო ტურში თორნიკემ 26 ქულა ჩააგდო.

**- დაბოლოს, შენს ყოფილ კლუბ „სოხუმზე" ვთქვათ...**

- ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი. ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოდით. მინდა სოხუმელებს ვუთხრა, რომ მათ გვერდში ვარ, მოინდომონ და მაქსიმუმი გააკეთონ.

## შენგელიას ეფექტური დუბლი

ება-ს ლიგაში თორნიკე შენგელიას და გიორგი შარაბიძის „ვალენსიამ" „კიუტადელას" უმასპინძლა და იოლად გაიმარჯვა - 85:60.

ვალენსიელთა წარმატებაში ლომის წილი თორნიკე შენგელიამ შეიტანა. სტუმრებმა მისი შეჩერება ვერ მოახერხეს: ქართველმა 35 წუთში 26 ქულა, 11 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

თორნიკემ 13-დან 9 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 13-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

„ვალენსიაში" მოთამაშე კიდევ ერთმა ჩვენიანმა, გიორგი შარაბიძემ 10 წუთი ითამაშა და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს: 4-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 8 ქულას 4 მოხსნა და 1 პასი „შეაწება".

11 ტურის შემდეგ „ვალენსია" ება-ს ლიგის E ჯგუფში სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა. მას 6 მოგება და 5 წაგება აქვს. პირველადგილოსან „განდიას" 9 მოგება უწერია.

■ ■ ■

ება-ს B ჯგუფის ცხრილში მეზობლად არიან **მიხეილ ბერიშვილის** „არიდანე" და **გრიგოლ შვანგირაძის** „ტაკორონტე". არიდანელებს 15 ტურის შემდეგ 11 მოგება აქვთ, ხოლო ტაკორონტელებს 10 გამარჯვება. პირველი მეოთხე ადგილზეა, მეორე - მეხუთეზე.

მეთხუთმეტე ტურში „არიდანემ" „სიუდად რეალს" 88:67 აჯობა.

მიშა ბერიშვილმა 6 წუთი ითამაშა და ამ დროში აქტივის შევსება ვერ მოახერხა.

ბერიშვილს „არიდანეს" მაისურით 13 მატჩი აქვს ჩატარებული და გუნდის ბომბარდირია: საშუალოდ 12.7 ქულა, 4 მოხსნა, 1.5 პასი.

მე-15 ტურში გრიგოლ შვანგირაძის „ტაკორონტემაც" გაიმარჯვა: მადრიდის „ესტუდიანტესი" 88:79 დაამარცხა.

ტაკორონტელებმა მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყვიტეს - 20:14 მოიგეს.

შვანგირაძემ 16 წუთი ითამაშა, 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

■ ■ ■

განვლილ უქმეებზე მხოლოდ **კოკა ტომარაძის** გუნდმა წააგო. „მონზონმა" შინ ვერაფერი გააწყო „ფერერთან" - 69:81.

კოკა სათადარიგო იყო და 19 წუთი ითამაშა. მან ჩვეული სიზუსტით ვერ ისროლა სამქულიანები (ორივე ააცილა), სამაგიეროდ, 5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 8 ქულას გამორჩა. გარდა ამისა, ტომარაძის ანგარიშზე 4 მოხსნა და 2 პასია.

ება-ს C ჯგუფში „მონზონი" მეათე ადგილზეა. მას 4 მოგება და 7 მარცხი აქვს. თუმცა, ამ ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდებია შეკრებილი და „მონზონი" მეხუთეადგილოსან „ენინტერს" მხოლოდ ორი მოგებით ჩამორჩება.

ვაჟა **სიმონიშვილი**


თორნიკე შენგელია

# დასანანი მარცხი



გივი ბაქრაძე

**გივი ბაქრაძის** „კორიკობრატმა" ფინეთის მეორე ლიგის სატურნირო ცხრილის პირველ ადგილზე გადასვლის კარგი შანსი დაკარგა. ლაპუელებმა პირველადგილოსან „ტარმოს" უმასპინძლეს და 63:72 დამარცხდნენ.

გივი ბაქრაძე მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 6 ქულა ჩააგდო. მან ორი სამქულიანი ისროლა და ორივე ზუსტად. 3 ქულას ქართველმა გამთამაშებელმა 3 შედეგიანი გადაცემა და 1 მოხსნა მიამატა.

მეთორმეტე ტურში წაგების შემდეგ „კორიკობრატი" პირველადგილოსან „ტარმოს" ორი მოგებით ჩამორჩება. ლაპუელებს 9 მოგება და 3 წაგება აქვთ.

მომდევნო მატჩს გივის თანაგუნდელები 2010 წელს ჩაატარებენ - NMKI-ს ესტუმრებიან.

ვაჟა **სიმონიშვილი**

სამთო-თხილამურობა

# სეზონის საუკეთესო რეიტინგით

**იტალიურ** პოცა დი ფასაში FIS-ის ეგიდით მორიგი სლალომი გაიმართა. შეჯიბრებაში სამი ჩვენებური მონაწილეობდა. ნაკრების ლიდერმა **იასონ აბრამაშვილმა** ორი ცდისას 1:36,25 შედეგი აჩვენა და საერთო ჯამში მე-12 ადგილზე გავიდა. პოცა დი ფასაში იასონს გაცილებით ძლიერ კონკურენტებთან უწევს პაექრობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მე-12 ადგილისთვის მან სეზონში საუკეთესო რეიტინგი - 27,99 ქულა მიიღო (უკეთესი, ვიდრე წლეულს ორ მოგებულ სლალომში). **ალექსი ბენიანიძემ და კოტე ვახტანგიშვილმა** პირველივე ცდაზე გამოტოვეს კარი და შეჯიბრებას დაემშვიდობნენ.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

ჭადრაკი



# ოთხი ადგილი ვაკანტურია

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება ვაჟ მოჭადრაკეთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც 57 წარმომადგენელი უმაღლესი ეშელონის 5 საგზურისთვის იბრძვის. პირველი, ვინც ქვეყნის ჩემპიონატში მედლებისთვის პაექრობის უფლება დაიმსახურა, 18 წლის **დავით ბენიძეა**. გუშინ მან თეთრი ფიგურებით **ბეგლარ ჯობავას** აჯობა, რვა შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი გაინაღდა, რადგან უახლოეს მდევრებს 1,5-1,5 ქულით უსწრებს. 6-6 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს **გაიოზ ნიგალიძე, მალხაზ სულაშვილი** და **ლუკა პაიჭაძე** იყოფენ. სულაშვილმა და პაიჭაძემ, შესაბამისად, **მიხეილ ჯამაგიძე** და **დავით ლომსაძე** დაამარცხეს, ნიგალიძე კი შავებით გიგა **ყუფარაძეს** დაუზავდა. მეწინავეთა ჯგუფში დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ნიკოლოზ შავთვალაძე-სოფიო გვეტაძე** 0,5:0,5, **შოთა აზალაძე-ოთარ ჯირკვალიშვილი** 0:1, **გიორგი ნიკოლაშვილი-ზურაბ ჯავახაძე** 0:1. ამდენად, 5,5-5,5 ქულით მეხუთე-მერვე ადგილებს ჯავახაძე, ჯობავა, ჯირკვალიშვილი და ყუფარაძე ინაწილებენ. 8 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ერთი საგზურის მფლობელი უკვე ცნობილია. არა მგონია, ექვს-ექვსქულიანებმაც შანსი ხელიდან გაუშვან. ფაქტობრივად, ბოლო ტურში ერთი ადგილისთვის წარიმართება დაძაბული პაექრობა. ცხადია, უპირატესობა 5,5-ქულიანებს აქვთ. მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ერთი საგზურის ბედს კოეფიციენტი გადაწყვეტს.

ვაჟებთან ბრძოლაში 5-5 ქულა მოაგროვეს სოფიო გვეტაძემ და **ფატმან რიჟამაძემ**, რომლებიც დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მე-9 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: დავით ბენიძე (7,5)-მალხაზ სულაშვილი (6), ლუკა პაიჭაძე (6)-გაიოზ ნიგალიძე (6), ბეგლარ ჯობავა (5,5)-გიგა ყუფარაძე (5,5), ზურაბ ჯავახაძე (5,5)-ოთარ ჯირკვალიშვილი (5,5), იური ჩიქოვანი (5)-ნიკოლოზ შავთვალაძე (5), ნიკოლოზ ჩხაიძე (5)-დავით ლომსაძე (5), მიხეილ ჯამაგიძე (5)-ირაკლი ბერაძე (5).

ვაჟა **დანელია**

ავტორის ფოტო

www.sport.gov.ge
DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი ლეგიონერები


ანტონ ფეიქრიშვილი

# ზამთრის ჩემპიონები

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის წლევანდელი გათამაშება ქართველ მორაგბეთა გუნდებისთვის, ბოლო წლებთან შედარებით, განსაკუთრებით წარმატებულად მიმდინარეობს. ელიტურ, პირველ და მეორე დივიზიონებში საშობაო არდადეგების წინ სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე „ქართული გუნდები" არიან. **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" და **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი" არაოფიციალური, ზამთრის ჩემპიონები გახდნენ.

წლევანდელი შეჯიბრების ყველაზე დიდი მოულოდნელობა პირველ დივიზიონში „კასტრის" ლიდერობაა. გიორგაძის გუნდმა 15 შეხვედრაში 9 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და 4 წააგო. კასტრელებმა 47 ქულა დააგროვეს და მეორეადგილოსან, ქვეყნის ჩემპიონ „პერპინიანს" ორი ქულით უსწრებენ.

„კასტრი" საფრანგეთის უძველესი კლუბია. ქვეყნის სამხრეთში, პატარა ქალაქ კასტრში სარაგბო კლუბი „კასტრ ოლიმპიკი" 1898 წელს დაარსდა და მას შემდეგ ფრანგული რაგბის ერთ-ერთი მედროშეა. კასტრელებმა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული სამჯერ მოიპოვეს - 1949, 50 და 93 წლებში. 1995 წელს კი ვიცე-ჩემპიონები გახდნენ.

კასტრი სარაგბო ქალაქია, რაც, ძირითადად, ფრანგულ სარაგბო მექასთან, ტულუზთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ განაპირობა. საკმაოდ მდიდარი ისტორიის კლუბი ევროპულ ასპარეზზეც მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდა. 1997 და 2000 წლებში „კასტრი" ჰეინეკენის თასის" ფინალისტი იყო. 2003 წელს კი „ჩელენჯ კაპი" მოიგო.

ამის შემდეგ გუნდს საკმაოდ ხანგრძლივი, სერიოზული კრიზისი დაეწყო. კასტრელები ბოლო წლებში მუდმივად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ. წლეულს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. მწვრთნელებმა **ლორან ტრავერმა** და **ლორან ლაბიტმა** ოპტიმალური, ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული გუნდის ჩამოყალიბება შეძლეს. გამორჩეული მოთამაშეები არგენტინელი **როდრიგო კაპო ორტეგა**, ზელანდიელი **კარლ ჰოფტი** და საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერი **სებასტიან ტიუს-ბორდი** არიან.

აქვსენტი გიორგაძე „კასტრში" მესამე სეზონს ატარებს. საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა. ის 15 შეხვედრიდან 12-ში ძირითად შემადგენლობაში იყო. დანარჩენ სამ მატჩში კი შეცვლაზე ითამაშა. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ შერკინების კვაჭი (№2), შერკინების შემკვრელთან (№8), მგეზავთან (№10) და ფულ ბეკთან (№15) ერთად გუნდის საკვანძო ფიგურები არიან, „კასტრის" წარმატებულ ასპარეზობაში „გლობუსას" წვლილი დიდია.


აქსენტი გიორგაძე

ჩვენებურის გუნდი, ცხადია, ყველა ღონეს იხმარს, რომ ჩემპიონატი მოიგოს, თუმცა საამისოდ მას წინ რთული, უკომპრომისო ბრძოლების გადატანა მოუწევს.

პირველობის კიდევ ერთი მაძიებელია **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელიც ბოლო სამი სეზონია ფინალში თამაშობს და სამივეჯერ ხელი მოეცარა. „ვულკანებმა" სეზონი რიხით ვერ დაიწყეს და ამჯერად 42 ქულით სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე არიან. არადა, შარშან ზამთრის ჩემპიონი სწორედ „ზირაქას" გუნდი იყო. გაიზიარებს თუ არა „კასტრი" კლერმონელთა ბედს, მომავალი გვიჩვენებს.

ელიტურ, პირველ დივიზიონში გადასვლის კარგი შანსი აქვს ანტონ ფეიქრიშვილის „აჟენს". აჟენელებმა 15 თამაშიდან 12 მოიგეს, სამში მარცხი განიცადეს და 57 ქულით პირველ ადგილზე არიან. ანტონი და კომპანია მეორეადგილოსან **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსს" 10 ქულით უსწრებენ.

ბოლო ხუთი სეზონია მეორე დივიზიონის „ზამთრის ჩემპიონი" პირველ ადგილს ბოლომდე ინარჩუნებს და ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად იღებს. სავარაუდოდ, ტრადიცია არც წლეულს დაირღვევა.

აღსანიშნავია, რომ „აჟენი", რომელიც მეორე დივიზიონში ასპარეზობს, პირველი დივიზიონის ბევრ გუნდზე, თუნდაც „კასტრზე" ბევრად ტიტულოვანია. „სპორტინ უნიონ აჟენი" 1908 წელს დაარსდა და საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული რვაჯერ მოიპოვა -1930, 1942, 1962, 1965, 1966, 1976, 1982, 1988 წლებში. ის ბოლო ორი სეზონია, რაც რანგით დაბალ დივიზიონში ასპარეზობს და წლეულს ძალიან კარგი შანსი აქვს ისევ „ბობოლებს" შორის დაიჯავშნოს კუთვნილი ადგილი.

გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მგეზავი **ფრანსუა ჟელესი** და თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეღელოვე, ფიჯელი გარემარბი **რუპენი კაუკაუ**.

ქართველი შერკინების ბურჯი, რომელიც 22 წლისაა, "აჟენში" მესამე სეზონია ირიცხება. თავდაპირველად ანტონი ესპუარების ანუ სათადარიგო გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდა. ძირითად გუნდში თამაში კი შარშანდელი სეზონიდან დაიწყო და დღესდღეობით ძირითადი, წამყვანი სამი ნომერია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პლეი ოფში გასვლისთვის და ელიტურ, პირველ დივიზიონში აღზევებისთვის ქართველ მორაგბეთა კიდევ ორი გუნდი იბრძვის. გიორგი ჟღენტის „ოიონაქსზე" უკვე ვთქვით. ამ გუნდს სამი ქულით ჩამორჩება და ამჟამად მეოთხე ადილზეა **გურამ კავთიძის** „ლიონი".

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

# მადაც მოვიდა

## შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატსაც ვუმასპინძლოთ

ჯერ გადაჭრით არაფერი თქმულა, მეტიც - არც სერიოზული მოლაპარაკებები გამართულა, მაგრამ დიდი შანსია, უახლოეს წლებში ქართულმა ძიუდომ კიდევ ერთი დიდი ტურნირი მოისტუმროს. ცხადია, წარმატებით ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მთავარ სამიზნედ მსოფლიოს პირველობა იქცა, თუმცა უზომოდ გაზრდილი გადასახადის გამო ამიერიდან ეს ბევრად ძვირი სიამოვნება იქნება - მსურველს საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშზე ორი ათასი დოლარის შეტანა მოუწევს, თუმცა სხვა ინფორმაციით, გადასახადი ევროებშია დაწესებული. ჩვენთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი სწორედ ეს თანხაა, რომელსაც სახელმწიფოს ფინანსური გარანტიების გარეშე ფედერაცია ვერანაირად ვერ გასწვდება და ახლა სწორედ ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ცხადია, მხოლოდ თანხის გადახდა საქმეს არ შველის და კონკურენტებთან ბრძოლის მოგებაც აუცილებელია, მაგრამ ამ ფრონტზე ჩვენი პოზიციები ბევრად მყარია - ამ ბრძოლაში საქართველოს თანადგომას ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის რუმინელი პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი** აღუთქვამს. საქართველოსთან მას ადრეც ჩინებული ურთიერთობა ჰქონდა და სხვებთან ერთად კარგად იცნობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილს**, რომელიც მანამდე ჩვენი ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო. მათი ურთიერთობაც იმ პერიოდიდან დაიწყო, რასაც ახლა სხვა ფაქტორი, კერძოდ, მადლიერების გრძნობაც დაემატა. საქმე შემდეგშია - ვიზერის თხოვნით, საქართველომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთ სტრუქტურაში არჩევნებისას მხარი დაუჭირა რუმინეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ახლო წარსულში ცნობილი მორაგბისა და ჩვენი „ბორჯღალოსნებისთვის" კარგად ნაცნობი **ოქტავიან მორარიუს** კანდიდატურას. თან მას რამდენიმე ქვეყნის მხარდაჭერაც დაუბევა და მორარიუმაც გაიმარჯვა. სანაცვლოდ ვიზერმა ჩვენებს მხარდაჭერა აღუთქვა, თუმცა მადლიერებას აქაური ძიუდოს პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეული **გიორგი ალექსიძის** კანდიდატურაც დაემატა. ადრე ისიც ძიუდოს ფედერაციაში მუშაობდა და ვიზერიც იქიდან იცნობს. როცა ვიზერს ფედერაციაში მისი „მეორედ მოსვლის" შესახებ გაუგია, თურმე ორივე ხელი აუწევია, ყველანაირად მივესალმები მაგ კანდიდატურასო.

ცხადია, მსოფლიოს პირველობა ყველაზე სასურველი ტურნირია. როგორც ამბობენ, „ზევითაც" მოწონებით შეხვედრიან საქართველოს დიდ სპორტულ ფორუმში გარევის სურვილს. ვიმეორებთ, რომ ჯერ ამაზე სერიოზული მოლაპარაკება და მით უფრო - კანდიდატურის წარდგენა-განხილვა არ მომხდარა, მაგრამ არაა გამორიცხული, ბევრი რამ 25 იანვრისთვის გადაწყდეს. მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 20-წლიან იუბილეს დროში გაწელილად ზეიმობს - საზეიმო ღონისძიებები 6 ოქტომბრიდან დაიწყო და ივნისამდე გაგრძელდება. ამ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის თბილისს უკვე ესტუმრა არაერთი ცნობილი პიროვნება, საერთაშორისო ფედერაციათა ხელმძღვანელები, ბევრს კი გაისად ველოდებით. მაგალითად, ფიფას ყოფილ პრეზიდენტ **ჟოაო ავლანჟის**. ბოლო ხანებში სეოკ-ის იუბილეს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზიც დაემატა - „თბილისი-2015"-ის საარჩევნო კამპანია, რომელიც ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობას და ამ უფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში ჩეხური ბრნოს დამარცხებას ითვალისწინებს. ხსენებული ორი ღონისძიების ფარგლებში სტუმართა მორიგ სოლიდურ ჯგუფს 23-25 იანვარს ელოდებიან. მათ შორის მორარიუ აუცილებლად იქნება და თუ რამემ არ შეუშალა ხელი - ვიზერიც. სავარაუდოდ, ბევრი რამეც მაშინ გაირკვევა. თუ ამჯერად ფინანსური ფაქტორით უფროსთა მსოფლიოს პირველობის მოპოვება არ გამოვა, რეზერვში სხვა პირველხარისხოვანი ტურნირები დგას - ახალგაზრდების, ჭაბუკების ევროპისაა თუ მსოფლიოს ჩემპიონატები. ცხადია, გარკვეული საწევრო იქაცაა გადასახდელი, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც უმთავრეს ტურნირზე.

**ირაკლი თავაძე**

სუმო


კოკაის პრობლემა კვლავ მოშვებული წვერია

# კვლავ გაუპარსავი

იაპონიაში დასრულდა პროფესიონალ სუმოისტთა მორიგი გასვლები სხვადასხვა პროვინციაში, რომელიც სუმოს პოპულარიზაციის მიზნით ყოველი ბაშოს წინ იმართება. მორიგი ასეთი გასვლის (ჯუნგიო) ბოლო საჩვენებელ სანახაობაზე **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** საყვედური დაიმსახურა. დღეისათვის მე-9 მაეგაშირა კოკაიმ გვარიანად დაიგვიანა საჩვენებელ გამოსვლაზე, როგორც ამბობენ, ის ოძეკებზე (ჩემპიონები) გვიან მისულა, რაც გაუგონარ უპატივცემულობად ითვლება. კოკაის ისიც დაუწუნეს, რომ ჯუნგიოზე ის თითქმის გაუპარსავი მივიდა. „ბოდიშს ვიხდი, შემდეგისთვის შევეცდები უფრო ყურადღებიანი ვიყო", - განუცხადებია ჩვენს თანამემამულეს. მიუხედავად მობოდიშებისა, საკითხს სუმოს ასოციაციის მორიგ სხდომაზე მაინც დააყენებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





| ინდიანა-მილუოკი | 81:84 |
|---|---|

16:19, 27:17, 20:29, 18:19

ი: ჰიბერტი (16+7 მოხსნა), მერფი (14+12 მოხსნა), ჰენსბრო (11+5 მოხსნა).

მ: ბოგუტი (31+18 მოხსნა), ჯენინგსი (16+6 პასი), რედი (14).

| ორლანდო-იუტა | 104:99 |
|---|---|

19:18, 21:22, 30:28, 34:31

ო: ჰოვარდი (21+9 მოხსნა+5 დაფარება), რედიკი (20), კარტერი (18+9 მოხსნა), ლუისი (18).

ი: მილსეპი (20), უილიამსი (18+12 პასი), ბუზერი (17+8 მოხსნა), კირილენკო (14+6 მოხსნა), მაილზი (13).

| ჩიკაგო-საკრამენტო | 98:102 |
|---|---|

38:19, 29:24, 21:26, 10:33

ჩ: დენგი (26+5 მოხსნა), როუზი (24+7 პასი), სალმონსი (14+6 ჩაჭრა), ჰაინრიხი (14+8 მოხსნა), ნოა (10+10 მოხსნა), გიბსონი (10+9 მოხსნა).

ს: ევანსი (23+8 მოხსნა), უდოკა (17), უდრიხი (16), ტომპსონი (14+7 მოხსნა), როდრიგესი (10+7 პასი).

| სან ანტონიო-კლიპერსი | 103:87 |
|---|---|

33:19, 24:27, 28:18, 18:23

ს-ა: პარკერი (19), დანკანი (13), მეისონი (12+5 პასი), ჯეფერსონი (11), ბოგანსი (11), მაკდაესი (10+6 მოხსნა), რატლიფი (10+7 მოხსნა).

კ: კამანი (23+15 მოხსნა), ბატლერი (18), დევისი (11), ტორნტონი (10+5 მოხსნა), გორდონი (10).

| ფინიქსი-კლივლენდი | 91:109 |
|---|---|

30:29, 23:30, 22:23, 16:27

ფ: ნეში (18+10 პასი), სტაუდმაიერი (14+12 მოხსნა), ფრაი (13+5 მოხსნა), ჰილი (12), დადლი (11).

კ: ჯეიმსი (29+6 მოხსნა), უილიამსი (24+6 მოხსნა+5 პასი), ვარეჟაო (13), უესტი (12+6 პასი), ჰიქსონი (10+6 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 26 | 21 | 5 | 80.8 |
| 2. ორლანდო* | 28 | 21 | 7 | 75.0 |
| 3. ატლანტა | 26 | 19 | 7 | 73.1 |
| 4. კლივლენდი* | 29 | 21 | 8 | 72.4 |
| 5. მაიამი | 25 | 13 | 12 | 52.0 |
| 6. მილუოკი | 26 | 12 | 14 | 46.2 |
| 7. ტორონტო | 30 | 13 | 17 | 43.3 |
| 8. დეტროიტი | 27 | 11 | 16 | 40.7 |
| 9. ჩიკაგო | 26 | 10 | 16 | 38.5 |
| 10. შარლოტი | 26 | 10 | 16 | 38.5 |
| 11. ნიუ იორკი | 27 | 10 | 17 | 37.0 |
| 12. ინდიანა | 26 | 9 | 17 | 34.6 |
| 13. ვაშინგტონი | 25 | 8 | 17 | 32.0 |
| 14. ფილადელფია | 27 | 7 | 20 | 25.9 |
| 15. ნიუ ჯერსი | 28 | 2 | 26 | 7.1 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი* | 26 | 22 | 4 | 84.6 |
| 2. დალასი* | 28 | 20 | 8 | 71.4 |
| 3. დენვერი* | 28 | 19 | 9 | 67.9 |
| 4. ფინიქსი | 28 | 18 | 10 | 64.3 |
| 5. სან ანტონიო | 25 | 15 | 10 | 60.0 |
| 6. ჰიუსტონი | 27 | 16 | 11 | 59.3 |
| 7. პორტლენდი | 29 | 17 | 12 | 58.6 |
| 8. იუტა | 28 | 16 | 12 | 57.1 |
| 9. ოკლაჰომა | 26 | 13 | 13 | 50.0 |
| 10. საკრამენტო | 27 | 13 | 14 | 48.1 |
| 11. ნიუ ორლეანი | 26 | 12 | 14 | 46.2 |
| 12. კლიპერსი | 27 | 12 | 15 | 44.4 |
| 13. მემფისი | 27 | 12 | 15 | 44.4 |
| 14. გ. სტეიტი | 26 | 7 | 19 | 26.9 |
| 15. მინესოტა | 28 | 5 | 23 | 17.9 |

| ქულა | |
|---|---|
| კარმელო ენტონი (დენ) | 30.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.7 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 26.6 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 26.1 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 24.7 |
| კრის ბოში (ტორ) | 23.8 |

| მოხსნა | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.9 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 12.1 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.9 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 11.4 |
| კრის ბოში (ტორ) | 11.1 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 10.8 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 10.7 |
| ბრენდან ჰეივუდი (ვაშ) | 10.7 |

| პასი | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.4 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.1 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 10.2 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 9.7 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 9.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.8 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 7.5 |
| გილბერტ არენასი (ვაშ) | 7.0 |

| ჩაჭრა | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.6 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 2.2 |
| სტივენ კარი (გ-სტე) | 2.0 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 2.0 |
| ტრევორ არიზა (ჰიუ) | 2.0 |
| რეიმონდ ფელტონი (შარ) | 1.9 |
| ჯონ სალმონსი (ჩიკ) | 1.9 |

| დაფარება | |
|---|---|
| ჯოშ სმითი (ატლ) | 2.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| გრეგ ოდენი (პორ) | 2.3 |
| ბრენდან ჰეივუდი (ვაშ) | 2.2 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 2.2 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.1 |
| ერიკ დამპიე (დალ) | 2.1 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.0 |

# საკრამენტოს სასწაული



თუ მოწინააღმდეგეების სატურნირო მდგომარეობას განვიხილავთ, რა თქმა უნდა, ცენტრალური მატჩი "ფინიქსსა" და "კლივლენდს" შორის გაიმართა. "სანზი" თავის მოედანზე ყოველთვის წარმატებით თამაშობს. აქამდე ამ გუნდს "ეირვეის ცენტრში" თამაში არ წაეგო. ბოლო საშინაო მარცხი არიზონულ კლუბს 284 დღის წინ... "კლივლენდთან" ჰქონდა.

სოლიდური სხვაობის (91:109) მიუხედავად, არ შეიძლება იმის თქმა, რომ თამაში "მეფისა" და მისი ამალის სრული დომინირებით მიდიოდა. უფრო ზუსტი იქნება იმის აღნიშვნა, რომ "კლივლენდი" ყველა სათამაშო კომპონენტში ოდნავ ძლიერი იყო მეტოქეზე და ამ ყველაფერმა გამოიწვია მისი დამაჯერებელი გამარჯვება. სტუმრებს რეალიზაციის მაღალი პროცენტი ჰქონდათ, მათ შორის პერიმეტრიდან სროლებისას. რა თქმა უნდა, "სანზს" ყველაზე დიდი პრობლება **ლებრონმა** შეუქმნა. გარდა ამისა, სასიამოვნოდ გაგვაკვირვა **მო უილიამსმა**, რომელიც რეგულარულად ჯაბნიდა **ნეშსა** და **რიჩარდსონს**. ცუდი მატჩი ჩაატარეს "კავალიერზის" ცენტრებმა **შაკილ ო'ნილმა**, რომელიც თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშობდა და **ჟიდრუნას ილგაუსკასმა**. ორივე გიგანტმა ერთად მხოლოდ 10 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა. სამაგიეროდ "გაისროლეს" **ვარეჟაომ** და **ჰიქსონმა**. მოკლედ, "კლივლენდი" უფრო იყო საბრძოლველად განწყობილი.

"ფინიქსში" კი სათანადო დონეზე ყველა ვერ იბრძოდა. ავიღოთ, მაგალითად, **ამარე სტაუდმაიერი**. მან მართალია ორმაგი დუბლი გააკეთა (14 ქულა, 12 მოხსნა), მაგრამ ეს მაჩვენებლები ტყორცნების რეალიზაციის ცუდმა პროცენტმა (14-დან ექვსი ზუსტი სროლა), ხუთმა პერსონალურმა და ექვსმა შეცდომამ გადაწონა. კიდევ ერთი დაბლ-დაბლი შეასრულა სტივ ნეშმა - 18 ქულა და 10 პასი. მის მიმართ გულშემატკივრებს ნაკლები პრეტენზია უნდა ჰქონდეთ. სხვათა შორის, "ფინიქსმა" მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი დაფარება გააკეთა და ისიც... ნეშის ანგარიშზე იყო.

შეიძლება თუ არა წააგო მატჩი, როცა მესამე მეოთხედის დასაწყისში 79:44-ს იგებ? ამ კითხვაზე პასუხი "ჩიკაგომ" იცის. გასულ საღამოს ამ გუნდმა თავის ისტორიაში ერთი ყველაზე მტკივნეული მარცხი იწვნია. თანაც "ხარებს" მეტოქედ არა "ბოსტონი" ან "ლეიკერსი", არამედ მოკრძალებული "საკრამენტო" ჰყავდათ. ჩიკაგოელებმა შეიძლება იწუწუნონ დიდი რაოდენობით ტრავმირებული მოთამაშეების გამო, მაგრამ მათი ნაკლული შემადგენლობა მაინც უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება, ვიდრე "მეფეებისა". დაუშვებელია მატჩის ბოლოს გუნდმა დაცვაში ისე ითამაშოს, როგორც ეს "ჩიკაგომ" გააკეთა. ცნობისთვის, 35-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება და შემდეგ მოგება - მეორე შედეგია NBA-ის ისტორიაში. პირველ ადგილზეა "იუტა", რომელმაც 1996 წელს "დენვერს" მოუგო, როცა მატჩის მსვლელობისას 36 ქულას აგებდა.

ბოლო 21 წუთის განმავლობაში "ჩიკაგომ" მხოლოდ 6 (!) ბურთი ჩააგდო. გუნდი ერთი მეორის მიყოლებით ატარებდა მეტოქის შეტევებს და ამას ვერაფერს უხერხებდა. და მაინც "ხარებს" შეეძლოთ შეხვედრის მოგება, მატჩის ბოლო წუთები უფრო ზუსტად რომ ჩაეტარებინათ. მაგრამ "კინგზის" შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. სტუმრები გააფთრებით იბრძოდნენ ყველა ბურთისთვის. გადამწყვეტ შეტევაში **როუზის** არაზუსტი სროლის შემდეგ "საკრამენტომ" ბურთი ჩაიგდო ხელთ და **უდრიხმა** საბოლოო წერტილი დასვა მატჩში - 98:102! მატჩის შემდეგ "საკრამენტოს" მწვრთნელმა **პოლ უესტფალმა** ასეთი კომენტარი გაუკეთა თავისი შეგირდების თამაშს: *"ახლაც არ მჯერა ამ მოგების. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბრწყინვალე მატჩი გამოვიდა"!*

"ორლანდოსა" და "იუტას" შორის მატჩი სათადარიგო მოთამაშეების დუელად გადაიქცა. სათადარიგოთა სკამიდან შესულმა **მილსეპმა** და **რედიკმა** 20-20 ქულა დააგროვეს. ამ უკანასკნელის წვლილი უფრო შესამჩნევი აღმოჩნდა, რადგან მისმა გუნდმა გაიმარჯვა. **ჯეი ჯეიმ** მეორე მეოთხედში გაიბრწყინა - მოედანზე რაც სურდა, იმას აკეთებდა: სარეკლამო ბანერებს ატრიალებდა, დაკარგულ ბურთებს აბრუნებდა თამაშში, სწრაფ გარღვევებს ასრულებდა და სირენასთან ერთად აგდებდა ბურთს. ახალგაზრდა კალათბურთელის ასეთი თავდადება უფრო გამოცდილ პარტნიორებს გადაედოთ - **ჰოვარდი**, **კარტერი** და **ლუისი** რედიკს წამოეშველნენ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს - 104:99.

## ქვირის სიმბოლური

**გამთამაშებელი. სტივ ნეში (ფინიქსი)**

*სტატისტიკა: 18.7 ქულა+13.7 პასი+5.0 მოხსნა*

***გუნდური შედეგი: 2-1***

"ფინიქსის" ლიდერი მეორე ახალგაზრდობას განიცდის. ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ MVP-ის ტიტულის ორგზის მფლობელის ბრწყინვალე თამაშთან არის დაკავშირებული "სანზის" წლევანდელი გარდასახვა. გასული კვირა **სტივმა** უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მაღალი შედეგიანობისა და უამრავი შედეგიანი გადაცემის დარიგების გარდა, კანადელი მოხსნებზეც ყოჩაღობდა. "სან ანტონიოსა" და "ვაშინგტონზე" ბრწყინვალე გამარჯვებები სტივის მონდომების შედეგი იყო.

**შემტევი მცველი. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)**

*სტატისტიკა: 34.5 ქულა+5.5 მოხსნა+4.0 პასი*

***გუნდური შედეგი: 4-0***

მოტეხილი თითის მიუხედავად, **კობი** აგრძელებს მეტოქეების განადგურებას. როგორც ჩანს, ყოველი ახალი მიკროტრავმა კიდევ უფრო მეტი ბრძოლისთვისა და გმირობებისთვის განაწყობს "შავ მამბას". ამის კარგი დადასტურება გახდა გასული კვ[illegible]რა, რომლის დროსაც ბრაიანტი ფანტასტიკურ შედეგიანობას აჩვენებდა. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ "ლეიკერსი" აგრძელებს მოგებათა სერიას.

**მსუბუქი ფორვარდი. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)**

*სტატისტიკა: 30.8 ქულა+7.6 მოხსნა+6.8 პასი*

***გუნდური შედეგი: 4-1***

გუშინ, "დალასთან" სტუმრად მარცხი რომ არა, ბოლო შვიდი დღე "კლივლენდის" ლიდერისთვის გრანდიოზული წარმატებით აღინიშნებოდა. **ჯეიმსმა** ფაქტობრივად მარტომ მოაგებინა თავის გუნდს მთელი რიგი ურთულესი მატჩები. ბოლო სეზონის MVP მაღალ დონეს ინარჩუნებს და აღმოსავლეთში ლიდერობის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა აქვს გაჩაღებული. უახლოესი კვირა ნამდვილ გამოცდად უნდა იქცეს ლებრონისა და მისი პარტნიორებისთვის. დასავლეთის ტურნე და საშობაო მატჩი "ლეიკერსთან" - ვნახოთ, როგორ გაუძლებს ასეთ ზეწოლას "მეფე".

**მძიმე ფორვარდი. პაუ გასოლი (ლეიკერსი)**

*სტატისტიკა: 15.8 ქულა+15.8 მოხსნა+3.3 პასი*

***გუნდური შედეგი: 4-0***

ბრაიანტის მსგავსად **პაუსაც** ბრწყინვალე მატჩების სერია ჰქონდა და ის აქტიურად ეხმარებოდა ვარსკვლავ პარტნიორს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის შეხვედრები, რომლებშიც ესპანელი ზედიზედ ასრულებდა ორმაგ დუბლებს. ყველა შეხვედრაში ესპანელი სრულად დომინირებდა ორივე ფართან. მართალია მეტი დიდება და პატივი ჩვეულებრივ ბრაიანტს ერგება ხოლმე, მაგრამ ჩრდილში მყოფი გასოლი უპრობლემოდ ასრულებს მოედანზე თავის მნიშვნელოვან როლს.

**ცენტრი. ტიმ დანკანი (სან ანტონიო)**

*სტატისტიკა: 25.3 ქულა+12.0 მოხსნა+2.8 პასი*

***გუნდური შედეგი: 3-1***

"სან ანტონიო" ნელ-ნელა გონს მოდის და წინასასეზონო პროგნოზებს ამართლებს. როგორც ხვდებით, "სპურსის" გამარჯვებათა სერიას სათავეში **ტიმ დანკანი** ჩაუდგა. სიმბოლურია, რომ ლეგენდარულმა კალათბურთელმა მოუპოვა თავის მწვრთნელ **გრეგ პოპოვიჩს** კარიერაში მე-700 გამარჯვება. "ინდიანასთან" მატჩში ტიმმა პირადად შემოატრიალა წაგებული მატჩის ბედი და გამარჯვების წერტილი ლამაზი ჩატენვით დასვა.

## ოლ სტარზე 100 ათასს კაცს ელიან

ამერიკული ფეხბურთის კლუბ "დალას კოვბოის" მფლობელი **ჯერი ჯონსი** დარწმუნებულია, რომ NBA-ის "ყველა ვარსკვლავის მატჩისას" Cowboys Stadium-ზე ანშლაგი იქნება.

ჯონსის თქმით, ამ სეზონში დაემხობა "ოლ სტარზე" და მთლიანად საკალათბურთო მატჩებზე დასწრების რეკორდი. სტადიონი, რომლის მშენებლობა 1.3 მილიარდი დოლარი დაჯდა, დაახლოებით 100 ათას მაყურებელს იტევს. ცნობისთვის, ამ სეზონში NFL-ის (ამერიკული ფეხბურთის ლიგა) პირველ მატჩში "დალას კოვბოის" მატჩის სანახავად 105 121 ადამიანი შეიკრიბა.

დღეისთვის "ყველა ვარსკვლავის მატჩზე" დასწრების რეკორდი 44 735 მაყურებელს უდრის. სწორედ ამდენი გულშემატკივარი შეიკრიბა Houston Astrodome-ში 1989 წელს.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა ნაკლებად ოპტიმისტურად არის განწყობილი. NBA-ის ვიცე-პრეზიდენტ **სკი ოსტინს** მიაჩნია, რომ შეხვედრის სანახავად დაახლოებით 80 ათასი კაცი მივა.

## როკეტსმა ახალბედა დაკარგა

"ჰიუსტონ როკეტსს" უახლოეს მატჩებში ვერ დაეხმარება წლევანდელი სეზონის დებიუტანტი ჩეის ბადინგერი. ფორვარდმა "ოკლაჰომასთან" მატჩში მარჯვენა ფეხი დაიზიანა, რის შემდეგაც ექიმებმა დაასკვნეს, რომ კალათბურთელი დაახლოებით 2-3 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ამ სეზონში ბადინგერმა 26 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 8.6 ქულა დააგროვა.

## პაუს მსოფლიოს ჩემპიონატი არ უნდა

ესპანეთის ნაკრების ლიდერი **პაუ გასოლი** გაისად მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებას აპირებს. "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრს ეჭვი ეპარება, რომ ესპანელი გულშემატკივრები მას თურქეთში იხილავენ.

*"ადრე თუ გვიან მოვა დრო, როცა პაუზის გაკეთება მომიწევს. შესაძლოა, ეს მომენტი უკვე დადგა"*, - უფროსმა გასოლმა ამ სიტყვებით ორ ფრონტზე ბრძოლის პერსპექტივებს გაუსვა ხაზი.

"ლეიკერსის" ხელმძღვანელობა მოწონებით შეხვდა გასოლის წინასწარ გადაწყვეტილებას, რადგან წინა ჩემპიონატზე ტრიუმფის შემდეგ, ესპანელმა ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა. კალიფორნიელებს არ სურთ მომავალ წელს იგივე ისტორიის გამეორება.

## ბარკლი შოუს წაიყვანს

ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი, ამჟამად კი ცნობილი კომენტატორი და ანალიტიკოსი **ჩარლზ ბარკლი** სხვა განხრით აპირებს სატელევიზიო კარიერის გაგრძელებას. კერძოდ, სერ ჩარლზი ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეშოუს - "შაბათს საღამოს პირდაპირ ეთერში" (ორიგინალში - Saturday Night Live) წაიყვანს.

პირველი გადაცემა 2010 წლის 9 იანვარს გავა ეთერში. ბოლოს ჩარლზ ბარკლის გადაცემა 1993 წელს მიჰყავდა, როცა გადაცემის სტუმარი ლეგენდარული როკ-ჯგუფი "ნირვანა" იყო.

## NBA ჩინეთში მიდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი კალათბურთელები აქტიურად გადადიან ჩინურ კლუბებში და იქაურ ლიგაში ცდიან ძალებს. ამ დღეებში NBA-ის რამდენიმე კალათბურთელს ჰქონდა დებიუტი ჩინეთის ჩემპიონატში.

მაგალითად, "სიეტლის" ყოფილმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა **სტრომაილ სვიფტმა** კლუბ "შანდონგთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი.

"გუანდონგში" აგრძელებს კარიერას "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილი გამთამაშებელი **სმაშ პარკერი**. ჩინური ლიგის საუკეთესო სნაიპერი **როდნი უაიტი**, რომელიც საშუალოდ მატჩში 36.6 ქულას აგროვებს, "ლაიონსის" ღირსებას იცავს.

ერთაბაშად სამი ამერიკელი ჰყავს კლუბ "შანხაის" - ცოტა ხნის წინ, **ჩარლზ გეინსსა** და **მორის ტეილორს** 2003 წლის დრაფტის პირველი ათეულის წევრი - **მარკ სვიტნი** შეუერთდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბროდოს მეოთხე რეკორდი



„ნიუ ჯერსი დევილზის" ვეტერანი მეკარე **მარტინ ბროდო** ყველა ძირითად კომპონენტში გახდა ლიგის აბსოლუტური რეკორდსმენი. „ეშმაკების" კარის დარაჯმა პიტსბურგელი „პინგვინების" ოცდათხუთმეტივე დარტყმა მოიგერია და კარიერაში 104-ე „მშრალი" მატჩი ჩაატარა. ამით 37 წლის ბროდომ გააუმჯობესა ლეგენდარული **ტერი სავჩუკის** რეკორდი, რომელიც 45 წელი იყო ძალაში.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბროდომ მეკარეებს შორის ოთხი მთავარი რეკორდი გააუმჯობესა. შარშანდელ სეზონში ლეგენდარულ **პატრიკ რუას** გაუსწრო მოგებული მატჩების რაოდენობით, გასულ თვეში მოედანზე გატარებული წუთების რაოდენობით იგივე სავჩუკი ჩამოიტოვა, რამდენიმე დღის წინ რუას კიდევ ერთი რეკორდი გააუმჯობესა - მას მეკარეებს შორის ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. და აი ახლა, ბროდო ყველა დროის ლიდერი გახდა შათაუტების რიცხვით. სხვათა შორის, პირველი „მშრალი" მატჩი „ეშმაკთა" მეკარემ 1993 წლის 20 ოქტომბერს „ანაჰაიმის" წინააღმდეგ ითამაშა.

სავჩუკს 103 შათაუტის შესასრულებლად 971 მატჩის ჩატარება დასჭირდა, ბროდომ კი გუშინდელი რეკორდი რიგით 1030-ე შეხვედრაში დაამყარა. „პიტსბურგთან" გამარჯვება 580-ე იყო მარტინის კარიერაში.

*„ტერი სავჩუკმა დაამყარა რეკორდი, რომელსაც 45 წელი ვერავინ შეეხო,* - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბროდოს ახალ მიღწევას ლიგის კომისარმა **გარი ბეტმენმა**. - *მის გაუმჯობესებას ამაოდ ცდილობდა დაახლოებით 500 მეკარე. ასეთი შედეგის ჩვენებით მარტინ ბროდომ თავისი უპირატესობა დაამტკიცა".*

**ტორონტო-ბაფალო 2:3 (ო)**
0:1, 2:0, 0:1, 0:1
გოლები: 0:1 პაეტში-1 (ელისი-4, მონტადორი-6), 1:1 სტალბერგი-2 (ტ. კაბერლე-30), 2:1 ი. უაიტი-6 (სტემნიაკი-9, კულემინი-5), 2:2 ჰეხტი-5 (სტეფორდი-9, დ. როი-19), 2:3 დ. როი-9 (ჰეხტი-9, მონტადორი-7).

**აილენდერსი-ტამპა ბეი 2:4**
1:0, 1:2, 0:2
გოლები: 1:0 ჰანტერი-6 (ზეილი-4, პილენი-8), 1:1 სტემკოსი-21 (სენტ ლუისი-32, მელოუნი-15), 2:1 ტომპსონი-1 (ოკსოპო-18, ნილსენი-9), 2:2 ლეკავალიე-9 (ტანგეი-16, მელოუნი-16), 2:3 მელოუნი-17 (სტემკოსი-14, ფოსტერი-6), 2:4 მელოუნი-18 (სენტ ლუისი-33, ლეკავალიე-24).

**ფილადელფია-ფლორიდა 1:4**
0:1, 0:1, 1:2
გოლები: 0:1 ჰორტონი-12 (ბალარდი-10, უეისი-17), 0:2 უეისი-18 (ფროლიკი-11, საიდენბერგი-13), 0:3 ფროლიკი-11 (მაკეიბი-15, უეისი-18), 0:4 ჰორტონი-13 (უეისი-19, ფროლიკი-12), 1:4 ქობურნი-5 (ჯ. კარტერი-15, პრონგერი-17).

**კაროლინა-რეინჯერსი 1:3**
0:0, 1:1, 0:2
გოლები: 1:0 სამსონოვი-6 (სატერი-6, კარსონი-2), 1:1 გაბორიკი-25 (დუბინსკი-9, როჟსივალი-9), 1:2 დუბინსკი-4 (გაბორიკი-22, პროსპალი-24), 1:3 მ. სტაალი-4.

**ატლანტა-მონრეალი 3:4 (ო)**
1:0, 0:2, 2:1, 0:1
გოლები: 1:0 კოვალჩუკი-20 (ჰეინსი-7, აფინოგენოვი-19), 1:1 პლეკანეცი-7 (კამალერი-13), 1:2 ა. კოსტიცინი-10 (კამალერი-14, პლეკანეცი-31), 2:2 ანტროპოვი-8 (კუბინა-16, ენსტრიომი-25), 3:2 ანტროპოვი-9 (ენსტრიომი-26, ვიაჩ. კოზლოვი-11), 3:3 მ-ა. ბერჟერონი-8 (მარკოვი-1, პლეკანეცი-32), 3:4 მ-ა. ბერჟერონი-9 (პლეკანეცი-33, გორჯესი-4).

**ოტავა-ბოსტონი 0:2**
0:0, 0:0, 0:2
გოლები: 0:1 პ. ბერჟერონი-9 (მ. ტორნტონი-4), 0:2 შტურმი-10 (მ. სავარი-7, ხარა-18).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 0:4**
0:1, 0:3, 0:0
გოლები: 0:1 სალვადორი-2 (მაკამონდი-4, ე. გრინი-15), 0:2 ბერგფორსი-12 (პარიზე-23, ე. გრინი-16), 0:3 ელიაში-8 (მაკამონდი-5, პარიზე-24), 0:4 ფრეზერი-2 (პარიზე-25, ელიაში-12).

**მინესოტა-კოლორადო 3:4**
0:1, 0:1, 3:2
გოლები: 0:1 დუშენი-10 (ტაკერი-5, გალიარდი-9), 0:2 კ. სტიუარტი-9 (პ. შრასტნი-29), 0:3 ჰეიდუკი-14 (გალიარდი-10), 1:3 კლატერბეკი-7 (შულცი-7), 1:4 ჰენდრიქსი-4 (მაკლეოდი-5), 2:4 ნოლანი-8 (კობესიუ-5, კ. იონსონი-5), 3:4 ჰავლატი-6 (სტოუნერი-2, ბრუნეტი-20).

**დალასი-სან ხოსე 2:4**
0:0, 0:2, 2:2
გოლები: 0:1 პაველსკი-6 (ქლოუ-17), 0:2 მარლო-22 (ჯ. ტორნტონი-40, ჰიტლი-17), 1:2 ბენი-7 (მოროუ-11), 1:3 მარლო-23 (ჰიტლი-18, დ. ბოილი-23), 2:3 ლ. ერიქსონი-12 (რობიდასი-14, ბ. რიჩარდსი-30), 2:4 ქლოუ-8.

**ედმონტონი-სტ. ლუისი 2:7**
1:1, 1:4, 0:2
გოლები: 0:1 პერონი-10 (ბერგლუნდი-4, კრომბინი-5), 1:1 სემ განიე-8 (კოლიანი-6), 1:2 ე. მაკდონალდი-8 (ტკაჩუკი-11, ჯეკმენი-7), 2:2 პენერი-19 (ჰორკოფი-8), 2:3 ბოიესი-9 (ა. სტინი-4), 2:4 ბერგლუნდი-4 (კარია-11, ოში-12), 2:5 მაკლემანი-6 (ა. სტინი-4, ვიეერი-3), 2:6 ე. მაკდონალდი-9 (ბოიესი-15, ა. სტინი-5), 2:7 ა. სტინი-3 (სიდორი-6, ვინჩესტერი-3).

**ფინიქსი-კოლამბუსი 5:2**
2:0, 2:1, 1:1
გოლები: 1:0 აპშოლი-11 (ლომბარდი-15, დოუნი-13), 2:0 ლომბარდი-6 (აპშოლი-7, ა. ერიქსონი-1), 3:0 დოუნი-9 (ჟოვანოვსკი-11, აპშოლი-8), 3:1 ბრასარი-5 (ტორესი-7, მ. როი-5), 4:1 ვრბატა-12 (ჟოვანოვსკი-12, ჰანჟალი-12), 5:1 აპშოლი-12 (ლომბარდი-16, დოუნი-14), 5:2 ვერმეტი-10 (ვორაჩეკი-14, ჰეიდა-5).

# ანაჰაიმი სელიანეს უშვებს

„ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობა თავისი ვეტერანი ვარსკვლავის **ტეემუ სელიანეს** გაცვლის ვარიანტებს განიხილავს. იმის გამო, რომ მიმდინარე რეგულარულში „ანაჰაიმი" ძალიან სუსტად თამაშობს და სულ უფრო იუარესებს პლეი ოფში მოხვედრის შანსს, გუნდის შეფებმა გადაწყვიტეს, შეამსუბუქონ სახელფასო ბიუჯეტი. ამისთვის კი ისინი ფინელი ვეტერანის გაცვლას გეგმავენ.

კლუბის გენერალურ მენეჯერ **ბობ მიურეის** დიდი იმედი აქვს, რომ 39 წლის ფორვარდით უახლოეს პერიოდში რამდენიმე გუნდი დაინტერესდება. წელს ტეემუმ 27 მატჩში 21 ქულა მიითვალა.

თავად სელიანეს არ სურს სხვა გუნდში წასვლა, მაგრამ მიურეი დარწმუნებულია, რომ ისეთ გუნდში გადასვლის პერსპექტივა, რომელიც სტენლის თასის მოპოვებაზე აცხადებს პრეტენზიას, ფორვარდს აუცილებლად დააინტერესებს. ასეა თუ ისე, ლეგენდარული სკანდინაველის ბედი 3 მარტამდე (ტრანსფერების ბოლო დღე NHL-ში) გაირკვევა.

ფორმულა 1

# ფერარი აკადემიას ხსნის

ფორმულა 1-ის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი - „ფერარი" იმ სარბოლო ტალანტების შეკრებას აპირებს, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატში მოხვედრა სურთ. ახალი პროგრამის კურატორი გახდა ცნობილი ინჟინერი **ლუკა ბალდისერი**, პირველი მონაწილე - 20 წლის ფრანგი **ჟიულ ბიანკი**.

ახალგაზრდა პილოტთა მხარდამჭერი პროგრამა ბევრ ავტომწარმოებელს აქვს, რომლებიც ფორმულა 1-ში არიან წარმოდგენილნი. აგრეთვე კომპანიებს - „რედ ბულს", „ლუკოილსა" და სხვებს. ახლა იმავე პროგრამის განხორციელება განიზრახა „სკუდერიამ". ამ საქმეში „ფერარის" პარტნიორი იტალიის ავტოფედერაცია იქნება.

*„ჩვენი მიზანი მარტივია - დავეხმაროთ ახალგაზრდა სპორტსმენებს მაღალი დონის მიღწევაში, რათა მათ ერთ მშვენიერ დღეს შეძლონ ფორმულა 1-ის ჩემპიონატში „ფერარის" ბოლიდით გამოსვლა,* - განაცხადა „სკუდერიას" ბოსმა სტეფანო დომენიკალიმ. - *ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ საკუთარი ორიგინალური მიდგომა, რისი წყალობითაც პილოტები ყველა მიმართულებით უნდა გრძნობდნენ წინსვლას".*



ჯერჯერობით „ფერარის" აკადემიის ერთადერთი წევრია F3-ის ევროსერიის ჩემპიონი **ჟიულ ბიანკი**. ეს პილოტი „სკუდერიას" ყოფილი ხელმძღვანელის, ამჟამად კი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის **ჟან ტოდტის** ვაჟი გახლავთ.

# 200-მილიონიანი ზარალი

ფორმულა 1-მა 2009 წელს შარშანდელთან შედარებით 200 მილიონ დოლარზე ნაკლები გამოიმუშავა. შემოსავლის კლება რამდენიმე ავტოკონცერნისა და მსხვილი სპონსორის წასვლას უკავშირდება, - ასეთია Formula Money-ის ყოველწლიური ეკონომიკური მიმოხილვის მთავარი დასკვნა.

ფორმულა 1-ის საერთო შემოსავალმა 4.6 მილიარდი დოლარი შეადგინა - ეს 2008 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება, მაგრამ ამასთან იკლო გუნდების დანახარჯებმა - 1.1 მილიარდი შარშანდელ 1.6 მილიარდთან შედარებით, რაც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეფექტურ პოლიტიკაზე მეტყველებს.

Formula Money-ის ინფორმაციით, „ჰონდას" წასვლით სპორტის ამ სახეობამ 350 მილიონი დაკარგა, სპონსორების გადინებით კი გუნდების საერთო შემოსავალი 8 პროცენტით, ანუ 66.15 მილიონით დაეცა.

თუმცა ერთი მიმართულებით არსებობს მატება. კერძოდ, ავტოდრომებმა ფორმულა 1-ის ეტაპების მასპინძლობისთვის **ბერნი ექლსტოუნის** ბიზნესსტრუქტურებს შარშანდელთან შედარებით 11 პროცენტით მეტი გადაუხადეს, არადა 2009 წლის კალენდარში ერთი ეტაპით ნაკლები იყო. ექსპერტები ამ პროგრესს აბუ დაბის გრან-პრის გამოჩენას უკავშირებენ. საერთო ჯამში რბოლების ორგანიზატორებმა ამ წელს 448 მილიონი დოლარი გაიღეს. 2010 წელს ამ რიცხვის გაზრდას ელიან, რადგან ეტაპების რიცხვი 19-მდე მოიმატებს: ბრუნდება კანადის გრან-პრი და დებიუტი აქვს კორეის ეტაპს.

თუ გუნდები კარგავდნენ სპონსორებს, თავად ფორმულა 1-მა ახალი ინვესტორები იპოვა: ექლსტოუნმა კონტრაქტი გააფორმა კორეულ ელექტრონულ გიგანტ LG-ისთან და გართობის ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერ Universal Music-თან. ამის წყალობით სასპონსორო შემოსავლები 79 პროცენტით გაიზარდა. 18 პროცენტით ამაღლდა შემოსავლები ტელეტრანსლაციებიდან და ამ თანხამ 450 მილიონი შეადგინა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| კატალონია-არგენტინა | 4:2 |
| **ინგლისი** | |
| **FA Trophy** | |
| ლიუისი-ჰემპტონი | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ლანსი-სტ. ეტიენი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-ტური | 3:1 |
| შატორუ-აიაჩო | 1:2 |
| დიჟონი-ბრესტი | 1:3 |
| გინგამი-კლერმონი | 1:1 |
| ლავალი-ვანი | 2:1 |
| ნიმი-ისტრი | 2:1 |
| ჰავრი-სტრასბური | 3:0 |
| ნანტი-ანჟერსი | 1:2 |
| არლი-სედანი | გადაიდო |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| ბარონი-სპარტა | 0:5 |
| ფეიენოორდი-ალკმაარი | 1:0 |
| **ბელგიის თასი** | |
| გენტი-ბეერსხოტი | გადაიდო |
| **თურქეთის თასი** | |
| ანთალია-ესქისეჰირი | 1:0 |
| მანიშა-ბეშიქთაში | 2:1 |
| **უელსი** | |
| ქერსოუსი-ქონეჰსი | გადაიდო |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-გოტინგენი | 88:82 |
| ბამბერგი-პადერბორნი | 92:66 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მნ)-დინამო (რ) | 4:1 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ვენა | 4:2 |
| ზალცბურგი-ვილახი | 4:1 |
| კლაგენფიურტი-აკრონი | 3:3 |
| ლინცი-გრაცი | 0:3 |
| ოლიმპია-ზაგრები | 2:5 |
| **დანია** | |
| რუნგსტედი-ოდენსე | 1:4 |
| სონდერიისკი-ჰვიდოვრე | 6:1 |
| ფრედრიკშავნი-ჰერნინგი | 1:0 |
| ესბერგი-როდოვრე | 3:1 |
| **ნორვეგია** | |
| მანგლერუდი-სტიორნენი | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 1:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ბისტრიცა | 3:2 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 1:5 |
| ზვოლენი-მიკულაში | გადაიდო |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 5:4 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 3:3 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი პიოტა-ლანგნაუ | 0:3 |
| დავოსი-ბილი | 4:1 |
| ჟენევა-რაპერსვილი | 2:1 |
| ფრიბურგი-კლოტენი | 2:4 |
| ცუგი-ლუგანო | 6:3 |
| ციურიხი-ბერნი | 4:4 |

TV პროგრამა

**23 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:10 სპორტული ცეკვები.
09:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
12:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
14:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.
16:20 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. ხიმკი-პანათინაიკოსი.
18:15 სპორტული ცეკვები.
19:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჯენოა-ვალენსია.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ბარსელონა.
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
00:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი.
02:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
04:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ფილადელფია (LIVE).
07:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:25 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შახტარი-ბრიუგე.
10:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ლოს ანჯელესი.
11:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
14:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბეშიქთაში-ცსკა.
16:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
18:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბარი-იუვენტუსი.
20:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
21:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი.
23:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
01:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე.
03:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბეშიქთაში-ცსკა.
04:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
06:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბარი-იუვენტუსი.

**EUROSPORT**

11:35 ექსტრემალური სპორტი.
11:45 რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:00 მულტისპორტი.
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
15:45 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი.
16:00 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერლინი. ბრიტანეთი.
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
18:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
19:00 მულტისპორტი.
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა ფინალი. მილანი-ლივერპული.
23:00 საჩოგბურთო ისტორიები.
00:30 ფეხბურთი. ჟუსტინ ანენი.
00:50 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგოლშტადტი. გერმანია.
02:00 სპორტული ცეკვები.
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დინ ედისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



# სერენა პირველი, როჯერი მეორე

## სააგენტო AP-ის გამოკითხვაში კიმ კლაისტერსს ცხენმა აჯობა. ITF-მა წლის ჩოგბურთელებად ფედერერი და უმცროსი უილიამსი დაასახელა

■ ■ ■

ცნობილმა საინფორმაციო სააგენტო „ასოშაიტედ პრესმა" (AP) წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინა.

კაცებს შორის მოულოდნელი შედეგები დაფიქსირდა. იამაიკელმა სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა**, რომელმაც წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი ოქრო მოიპოვა და მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა, მხოლოდ 29 ქულა მიიღო სააგენტოში შემავალი ჟურნალისტების გამოკითხვაში და მესამე ადგილი დაიკავა.

იამაიკელზე ერთი საფეხურით ზემოთ აღმოჩნდა შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** - მას 30 ხმა ერგო. პირველი ადგილი კი 42 ქულით ნასკარის სერიის ავტომრბოლმა **ჯიმი ჯონსონმა** მოიპოვა. ეს ამერიკელი პილოტისთვის ზედიზედ მეოთხე აღიარება იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამასწინდელი სკანდალის გამო მხოლოდ ცხრა ხმა მიიღო მსოფლიოს საუკეთესო გოლისტმა **ტაიგერ ვუდსმა**.

სამაგიეროდ ქალებს შორის გამარჯვებული ჩოგბურთელი გახდა. ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** 158 შესაძლებლიდან 66 ხმა მიიღო და პირველი ადგილი დაიკავა. უმცროს უილიამსი 2002 წელსაც გახდა AP-ის ლაურეატი.

ქალებს შორის მეორე ადგილზე აღმოჩნდა... ცხენი სახელად - „ზენიატა", რომელსაც კარიერაში არც ერთი დოღი არ წაუგია. გარდა ამისა, „ზენიატა" პირველი მდედრი ცხენია, რომელმაც „ბრიდერს ქაფის" პრესტიჟული დოღი მოიგო. ცხენს 18 ხმა ერგო.

მესამე ადგილი ამერიკის ღია პირველობის ტრიუმფატორს, ბელგიელ ჩოგბურთელ **კიმ კლაისტერსს** ერგო.

როჯერ ფედერერმა მაინც მოიგო გუშინ ერთი გამოკითხვა - შვეიცარიელი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) მიერ წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი კი, რა თქმა უნდა, სერენა უილიამსი გახდა.

2009 წელს როლან გაროსისა და უიმბლდონის მომგებმა როჯერმა ეს პრიზი კარიერაში მეხუთედ მოიპოვა.

*„ეს დიდი პატივია ჩემთვის - მეხუთედ გავხდე ITF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი. წელვანდელი სეზონი ფანტასტიკური გამოვიდა, თანაც არამარტო კორტზე, არამედ მის მიღმა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო სეზონის პირველ ნომრად დასრულება"*, - ამბობს 28 წლის შვეიცარიელი.

სერენა უილიამსმა წელს ასევე ორი ტურნირი მოიგო „დიდი სლემზე" - ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი. ამერიკელი მეორედ გახდა ITF-ის ლაურეატი.

საერთაშორისო ფედერაციამ სხვა პრიზებიც დაარიგა. მაგალითად, სერენა და მისი და - **ვენუსი** წლის საუკეთესო დუეტად აღიარეს. ასე რომ, უმცროსი უილიამსი 1999 წლის შემდეგ პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა როგორც ერთეულებში, ასევე წყვილთა თანრიგში. ზუსტად ათი წლის წინ ასეთი შედეგი შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისს** ჰქონდა.

კაცებს შორის საუკეთესო წყვილი მეექვსედ კარიერაში ამერიკელი ტყუპი ძმების - **ბობ და მაიკ ბრაიანების** დუეტი გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ავსტრალია გაელისა და ცონგას გარეშე?

*„დიდი სლემის"* პირველმა ტურნირმა - ავსტრალიის ღია პირველობამ, შესაძლოა, ორი წამყვანი ჩოგბურთელის - **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **გაელ მონფილსის** გარეშე უნდა ჩაიაროს. ეს ინფორმაცია Masters France-ის ტურნირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ჟან-ლუი აიემ** გაავრცელა.

*„გაელს თავად უნდოდა პრესკონფერენციაზე მოსვლა და ჩვენს ტურნირზე უთამაშებლობის ახსნა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ამის აუცილებლობა არ იყო. მას მართლაც სერიოზული პრობლემები აქვს, იმდენად სერიოზული, რომ ავსტრალიაზე გაელის თამაშის შანსი მხოლოდ 50 პროცენტია. მონფილსს კვლავინდებურად მუხლთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს.*

*სხვათა შორის, ჯანმრთელობა ღალატობს ჟოვილფრიდ ცონგას - მას ჯერ კიდევ შანხაიდან მოყოლებული მოსვენებას არ აძლევს ფეხის დაზიანება. ამ ჩოგბურთელებს ძირითად ბადეში ჟერემი შარდი და პოლ-ანრი მატიო შეცვლიდნენ, მაგრამ მათაც ტრავმები აქვთ"*, - ამბობს ჟან-ლუი აიე.

ჩამოთვლილი ჩოგბურთელების არყოფნაში Masters France-ის გამარჯვებული **ჟულიან ბენეტო** გახდა, რომელმაც ფინალში **არნო კლემანი** დაამარცხა.



# ანჩიჩის მეშვიდე ცდა



2007 წლიდან მოყოლებული ხორვატი ჩოგბურთელი **მარიო ანჩიჩი** მონონუკლეოზს ებრძვის, რომელიც თავს არ ანებებს 25 წლის ნიჭიერ ჩოგბურთელს. ამ ავამდყოფობამ ექვსჯერ დარია ხელი ხორვატს და მას საჩოგბურთო კარიერის შეწყვეტა აიძულა. ახლა ანჩიჩი მეშვიდედ ცდილობს პროფესიულ ტურში დაბრუნებას.

ამჟამად ხორვატი ჩოგბურთელი შვედეთში გადის საწვრთნელ შეკრებას. ერთ დროს მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი, რომელიც ახლა 95-ე პოზიციაზეა კლასიფიკაციაში, არ აპირებს მოვლენათა ფორსირებას და დიდ ჩოგბურთში სტატისტის როლში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი.

*„არ განვიხილავ რეიტინგის პირველ ათეულში დაბრუნების შესაძლებლობას. ახლა მთავარია უბრალოდ კორტზე გავიდე და თამაში გავიხსენო"*, - ამბობს ანჩიჩი, რომელიც მარტში დევისის თასზე ეკვადორის ნაკრებთან თამაშს აპირებს.

# ნალბანდიანი არ აგებს

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებულმა არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა** ორ კვირაში მეორე საჩვენებელი ტურნირი მოიგო. ამჯერად მსოფლიოს ყოფილმა მესამე ჩოგანმა ბუენოს აირესში ზედიზედ ორი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან და ფინალში 2006 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტს, კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს** ხვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩოგბურთელთა წინა სამი შეხვედრა კუნძულელს ჰქონდა მოგებული, არგენტინელი შედარებით იოლად გაუსწორდა 24 წლის ბაღდატისს. ნალბანდიანმა ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოიგო.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას დავიდმა არგენტინის ქალაქ სან ხუანში მოიგო საჩვენებელი ტურნირი. ეს იყო ნალბანდიანის პირველი გასვლა კორტზე რვათვიანი შესვენების შემდეგ, რაც ბარძაყის ტრავმით იყო გამოწვეული.





კალათბურთი

# რეალმა იარიჩი გაიფორმა

მადრიდის „რეალმა" კონტრაქტი გააფორმა სერბ მცველ **მარკო იარიჩთან**. ამ ინფორმაციას გაზეთი „მარკა" ავრცელებს. 31 წლის კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდა მას შემდეგ, რაც „მემფის გრიზლისს" კონტრაქტის განყვეტაზე მოელაპარაკა.

იარიჩმა, რომელსაც აპრილის შემდეგ არ უთამაშია, NBA-ში შვიდი სეზონი გაატარა. ის „კლიპერსის", „მინესოტასა" და „მემფისის" ღირსებას იცავდა. ამერიკაში გამგზავრებამდე სერბი იტალიის „ვირტუსში" თამაშობდა, რომლის მწვრთნელი „რეალის" ამჟამინდელი დამრიგებელი **ეტორე მესინა** გახლდათ.

იარიჩი ბრაზილიელი სუპერმოდელის **ადრიანა ლიმას** ქმარია. 2009 წლის 15 ნოემბერს მათ გოგონა შეეძინათ. ეს წყვილი 2006 წლიდანაა ერთად, მათი ქორწინება კი ამა წლის 14 თებერვალს ამერიკის ზამთრის კურორტ ჯექსონ ჰოულში შედგა.

თმის გადანერგვის კლინიკა



თალიზი

ბაჟუნების ქ. 27 ტელ: 25 37 39
www.talizi.ge